საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ACADEMY OF SCIENCES OF THE GEORGIAN SSR

შოთა რუსთაველის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია

КОМИССИЯ ПО УСТАНОВЛЕНИЮ ТЕКСТА АКАДЕМИЧЕСКОГО ИЗДАНИЯ ПОЭМЫ Ш. РУСТАВЕЛИ «ВИТЯЗЬ В БАРСОВОЙ ШКУРЕ»

COMMISSION FOR AN ACADEMIC EDITION OF THE TEXT OF RUSTAVELI'S POEM „THE MAN IN THE PANTHER'S SKIN"

1973

МЕТР И РИФМА

В ПОЭМЕ РУСТАВЕЛИ „ВИТЯЗЬ В БАРСОВОЙ ШКУРЕ“

под редакцией
Г. В. ЦЕРЕТЕЛИ

THE METER AND RHYME

IN RUSTAVELI'S POEM OF THE 12th CENTURY „THE MAN IN THE PANTHER'S SKIN“

edited by
GEORGE V. TSERETELI

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА“, ТБИЛИСИ, 1973
PUBLISHING HOUSE „MECNIEREBA“, TBILISI, 1973

მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში

რითმათა სიმფონია და სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილები

გამოსაცემად მოამზადეს
გიორგი წერეთელმა,
გურამ კარტოზიამ, ცოტნე კიკვიძემ, სარგის ცაიშვილმა

გიორგი წერეთლის
რედაქციითა და გამოკვლევით

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი — 1973

8г1
899.962.1.092 [რუსთველი]
მ 596

პირველად ქვეყნდება ვეფხისტყაოსნის რითმათა ისეთი სიმფონია, რომელშიც ანბანის რიგზეა განლაგებული პოემის რითმები, წარმოდგენილი კრედებში. რითმებთან გაერთიანებულია სტროფები, რომლებიც ერთნაირ რითმებს ატარებენ. სიმფონიას ერთვის რითმებისა და სარითმოდ გამოყენებულ სიტყვათა საძიებლები.

მეორე ნაწილი შეიცავს პოემაში გამოყენებული სიტყვების მარცვლობრივი განაწილების ცხრილებს.

სიმფონიასა და სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილებს წინ უძღვის გამოკვლევა ვეფხისტყაოსნის მეტრსა და რითმაზე, რომელშიც ახლებურადაა გაშუქებული ვეფხისტყაოსნის ლექსთწყობის ძირითადი საკითხები.

7—2—2

109—73 ადგ.
М—607

©

გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973

რედაქციისაგან

წინამდებარე შრომა წარმოადგენს კრებულს, რომელიც შედგება ვეფხისტყაოსნის რითმათა სიმფონიისა და სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილებისაგან.

რითმები დალაგებულია სარითმო ერთეულების ანბანის რიგზე, სათანადო კარედების ჩვენებით, ამასთან დაბალი და მაღალი შაირის რითმები ცალ-ცალკეა წარმოდგენილი.

სიმფონიაში რითმის მაწარმოებელი სიტყვები გაწყობილია ანბანზე, თანაც ნაჩვენებია კონტექსტი, ე. ი. მთელი კარედი, სადაც სიტყვაა ნახმარი, რათა თვალსაჩინო გახდეს, თუ როგორ და რა სიტყვებისაგან არის რითმები ნაწარმოები. ამიტომ იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც რითმა მხოლოდ ერთ სტროფში გვხვდება, სტრიქონები სარითმო სიტყვის ანბანის მიხედვით არის წარმოდგენილი, რაც იწვევს, რა თქმა უნდა, სტრიქონების გადასმას. თითოეული სტრიქონი სიმფონიაში დამოუკიდებელი, რითმის საილუსტრაციოდ მოტანილი ერთეულია და სხვა სტრიქონებთან დაკავშირებულია მხოლოდ რითმით და არა შინაარსობლივად. სიმფონია ვეფხისტყაოსნის რითმათა შესასწავლად არის განკუთვნილი და არა ტექსტის საკითხავად.

სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილებში მოცემულია პოემის სიტყვათა მარცვლების რიცხვობრივი ეკვივალენტები მთავარი ცეზურის ჩვენებით ნახევარი კარედის შემდეგ. კარედის მარცვლობრივი განაწილების რიგთან ნაჩვენებია სარითმო სიტყვა ან სიტყვები და რითმის მაწარმოებელ მარცვალთა რაოდენობა.

ნაშრომს ერთვის აგრეთვე რითმებისა და რითმებში გამოყენებულ სიტყვათა საძიებლები.

კრებული შედგენილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის თანამშრომელთა მიერ. რითმათა სიმფონიის მასალა ბარათებზე ამოწერა ბარბარე დადიან-მასხარაშვილმა. რითმების გაწყობაში მონაწილეობდნენ გიორგი არაბული, ნანა კოტეტიშვილი და იზოლდა წაქაძე.

სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილები შეადგინეს: ნანა ავალიშვილმა, მანუჩარ ანთაძემ, გიორგი არაბულმა, ელისო ბილანიშვილმა, ლუცინა გუგუშვილმა, ლეილა თუშმალიშვილმა, ლია კიკნაძემ, ნანა კოტეტი-

შვილმა, ეკატერინე ტურაბელიძემ, თინათინ ცქიტიშვილმა, ნათელა ცქიტიშვილმა, ნანი წაქაძემ.

კრებული გამოსაცემად მოამზადეს გიორგი წერეთელმა, გურამ კარტოზიამ, ცოტნე კიკვიძემ და სარგის ცაიშვილმა. მთელი სამუშაო შესრულებულია გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. მასვე ეკუთვნის გამოკვლევა „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“, რომელიც წინ უძღვის კრებულს.

გიორგი წერეთელი

მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში

I

მეტრი და რიტმი[1]

1. 1. 1 თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი ვეფხისტყაოსნის ლექსთწყობის საკითხებს შეჰხებია[2], სამართლიანად აღნიშნავს რუსთველის ლექსის იშვიათ სიმდიდრეს, მელოდიურობასა და ჰარმონიულობას, რითაც იგი პოლიფონიური ქართული ხალხური მუსიკის ჟღერადობას გვაგონებს. ამავე დროს ლექსის პროსოდიულ თვისებათა კვალიფიკაცია, რომელსაც არსებულ ლიტერატურაში ვხვდებით, როგორც წესი, იმპრესიონისტულ ხასიათს ატარებს და არ ემყარება მთლიანად მთელი ტექსტის[3] მეტრიკული სტრუქტურის ანალიზს, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გაგვერკვია, თუ რაში მდგომარეობს მისი ჰარმონიულობა და სხვა მხატვრული ღირსებები, მკითხველს რომ აჯადოებს და აცვიფრებს. საქმე საგრძნობლად გაართულა იმ გარემოებამ, რომ რუსთველის ლექსის სტრუქტურის კვლევისას საფუძვლად იღებდნენ ისეთ ერთეულებს (ქორე, დაქტილი, მეორე პეონი და სხვ.)[4], რომლებიც კლასიკური (ძველი ბერძნული) მეტრიკული სისტემისათვის არიან დამახასიათებელი და რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო რუსთველის ლექსთან.

ამ მიზეზების გამო დღემდე შეუმჩნეველი დარჩა, რომ ვეფხისტყაოსნის პროსოდია ძირითადად „ოქროს კვეთს“ (sectio aurea) ემყარება. ვეფხისტყაოსანში „ოქროს კვეთის“ ანუ „ღვთაებრივი პროპორციის“ გამოვლენა ახლებურად სვამს საკითხს რუსთველის ლექსის მეტრიკული სტრუქტურის შესახებ, ხოლო მის ავტორს სრულებით განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს მსოფლიო პოეზიის ისტორიაში.

1. 1. 2 ვეფხისტყაოსნის ტექსტი, როგორც ცნობილია, ნაწერია სტროფებად, რომელთა რაოდენობა მერყეობს, სხვადასხვა გამოცემის[5] მიხედვით, დაახლოებით 1500-ისა და 1700-ის ფარგლებში. იმ გამოცემაში, რომელიც წინამდებარე შრომას უდევს საფუძვლად[6], 1587 სტროფია. სტროფი წარმოადგენს კატრენს, ე. ი. შედგება ოთხი კარედის[7] ან სტრიქონისაგან, რომელთაც აერთიანებს რითმა. კარედთა რაოდენობა 1587 სტროფის მიხედვით უდრის 6.348-ს. კარედი შედგება თექვსმეტი მარცვლისაგან და აგებულია დიქოტომიურ პრინციპზე: იყოფა ორ თანაბარ ნაწილად, ორ ნახევარკარედად მთავარი ცეზურით მათ შორის, რვა-რვა მარცვლით თითოეულში. ნახევარკარედთა რაოდენობა ქმნის 2×6.348=12.696 ერთეულს.

1. 1. 3 ნახევარკარედის სტრუქტურაც თავის მხრივ დიქოტომიური ხასიათისაა: იგი გაყოფილია ორ სეგმენტად, ისე რომ კარედის (სტრიქონის) ფარგლებში ოთხი სეგმენტია (ორ-ორი სეგმენტი ყოველ ნახევარკარედში), რაც სტროფისათვის თექვსმეტ სეგმენტს იძლევა. ამგვარად, გვაქვს ზუსტი შეფარდება: სტროფში 16 სეგმენტი და ოთხი სტრიქონი, სტრიქონში 16 მარცვალი და ოთხი სეგმენტი. სულ მთელ პოემაში 25.392 სეგმენტია (S2x2=S4 x 4=S16 x 1587=S25.392).

1. 1. 4 ამ 25.392 სეგმენტის საწარმოებლად გამოყენებულია, გამეორების ჩათვლით, 41.990 სიტყვა[8]. სილაბური შედგენილობის თვალსაზრისით სიტყვათა მთელი ეს რაოდენობა შემდეგნაირად არის განაწილებული: ერთმარცვლიანი სიტყვები: 7.113; ორმარცვლიანი: 16.897; სამმარცვლიანი: 10.780; ოთხმარცვლიანი: 5534; ხუთმარცვლიანი: 1543; ექვსმარცვლიანი: 82; შვიდმარცვლიანი: 15; რვამარცვლიანი: 26.

თუ ამ სხვადასხვა სილაბური შედგენილობის სიტყვების ხმარების სიხშირეს პროცენტებში გადავიყვანთ და სხვა ენებს[9] შევადარებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

	x	x́x	xx́	x́xx	xx́x	xxx́	4 მარც.	5 მარც.	6 და მეტი მარც.
ქართული	17.0	40.2	—	25.6	—	—	13.2	3.6	0.2
ჩეხური	26.4	31,9	—	22.5	—	—	13.6	4.3	0.9
რუსული	15.5	15.9	16.4	6.8	13.5	8.1	15.9	6.0	1.7
		32.3		28.4					
ინგლისური	69.3	16.2	4.9	3.5	3.4	0.2	2.0	0.4	0.06
		21.1		7.1					

შვიდმარცვლიანი და რვამარცვლიანი სიტყვები კომპოზიტებია, რომელთა შემადგენელი სიტყვების ქცევა ლექსის სტრუქტურაში იგივეა, რაც დამოუკიდებელი, მარტივი სიტყვებისა. ამიტომ ისინი, როგორც რთული სიტყვები, მეტრიკულ სისტემაზე გავლენას არ ახდენენ და შეიძლება მხედველობაში არ იქნენ მიღებული. მხოლოდ ერთი შემთხვევაა მარტივი შვიდმარცვლიანი სიტყვის ხმარებისა (342,4), რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. იგივე ითქმის ექვსმარცვლიან სიტყვებზე: 82 შემთხვევიდან 60 — კომპოზიტს წარმოადგენს და მხოლოდ 22 დამოუკიდებელი ექვსმარცვლიანი სიტყვაა, რომლებსაც ლექსის სტრუქტურის ანალიზის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს. ამგვარად, 25.392 სეგმენტს, რომლებსაც ვეფხისტყაოსნის ლექსი მოიცავს, არსებითად შეადგენს 1, 2, 3, 4 და 5-მარცვლიანი სიტყვები.

1. 1. 5 ნახევარკარედის დანაწილება სეგმენტებად ორგვარია:

A. სიმეტრიული, როდესაც ნახევარი სტრიქონის ფარგლებში გვაქვს თანაბარი ზომის ორი წყვილმარცვლიანი სეგმენტი ოთხ-ოთხი მარცვლით თითოეულში.

B. ასიმეტრიული, მაგრამ აგრეთვე ბინარული ხასიათისა, როდესაც ნახევარკარედი შედგება ორი სხვადასხვა ზომის კენტმარცვლიანი სეგმენტისაგან: 5 3 ან 3 5.

A და B ტიპის სეგმენტების მონაცვლეობა ნახევარკარედის, სტრიქონის ან მთელი სტროფის ფარგლებში გამორიცხულია. ისინი ერთმანეთს ენაცვლე-

ბიან მხოლოდ სტროფების მიხედვით, ქმნიან რა სხვადასხვა რიტმული სტრუქტურის კატრენებს:

A — ე. წ. მაღალ შაირს;
B — ე. წ. დაბალ შაირს.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დაყოფა მაღალ შაირად და დაბალ შაირად, ამგვარად, მთლიანად დამოკიდებულია სიმეტრიული და ასიმეტრიული სეგმენტების მონაცვლეობაზე.

1. 2. 1 მაღალი შაირი. როგორც აღვნიშნეთ, მაღალ შაირში ნახევარკარედი სიმეტრიულად[10] არის ორად გაყოფილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნახევარკარედი შედგება ორი თანაბარი ან ეკვივალენტური[11] (ერთნაირად განაწილებული) სეგმენტისაგან, რომლებიც ქმნიან სიტყვათგასაყარს და გამიჯნული არიან ერთმანეთისაგან მცირე ცეზურებით („პოტენციალური პაუზებით"):

4 4 4 4
სიყვარული | სიყვარულსა || შეგიცალო, | შეგიწონო. სტრ. 763,4.
4 4 4 4
გასწაელულსა | გააშმაგებს, || უსწავლელსა | გაასწავლებს. სტრ. 904,4
და სხვ.

1. 2. 2 როგორც ვხედავთ, 16-მარცვლიანი ლექსი გაყოფილია ორად, რვა-რვა მარცვლით თითოეულ ნახევარკარედში, რომელიც თავის მხრივ კიდევ ორად იყოფა, ოთხ-ოთხი მარცვლით თითოეულ სეგმენტში. ეს ოთხმარცვლიანი სეგმენტები ნახევარი კარედისა არის მაღალი შაირის მუდმივი სიდიდეები, რომლებიც არ შეიძლება სხვა ერთეულებით შეიცვალოს.

ვეფხისტყაოსნის თითქმის ყველა მკვლევარისათვის (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) ძველთაგანვეა ცნობილი, რომ მაღალი შაირის სტრიქონში სიტყვათგასაყარი ყოველი მეოთხე მარცვლის შემდეგაა. განსაკუთრებით ნათლად ჩანს ეს სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილებიდან, რომლებიც პირველად ქვეყნდება. სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების თვალსაზრისით მაღალი შაირი შემდეგ სურათს იძლევა:

xxxx | xxxx || xxxx | xxxx

მაგალითისათვის რომ ავიღოთ პირველი ამ ოთხი სეგმენტიდან, ვნახავთ, რომ კარედის დასაწყისში შეიძლება გვქონდეს ერთმარცვლიანი სიტყვა: სტროფი 8,1:

მე, რუსთველი, | ხელობითა || ვიქმ საქმესა | ამა დარი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთმარცვლიანი სიტყვა იწყება სტრიქონის პირველ მარცვალთან და მთავრდება იქვე:

1	2	3	4
x	x	x	x

მე

სხვა შემთხვევებში სიტყვა შეიძლება დაიწყოს იმავე პირველ მარცვალთან და დამთავრდეს მეორესთან. მაგ.: სტროფი 83,1:

ნახეს, უცხო | მოვმე ვინმე || ჯდა მტირალი | წყლისა პირსა

აქ კარედის დასაწყისში ორმარცვლიანი სიტყვაა, რომელიც იწყება პირველ მარცვალთან და მთავრდება მეორესთან.

1	2	3	4
x	x	x	x
ნა	ხეს		

თუ სტრიქონის დასაწყისში სამმარცვლიანი სიტყვაა, და იგი დაიწყება პირველ მარცვალთან, დამთავრდება მესამესთან. მაგ., სტროფი 154,1:

ლაშქართა და | დიდებულთა || ალაშქრებდი, | ჰპატრონობდი;

მაშასადამე, აქ გვაქვს:

1	2	3	4
x	x	x	x
ლაშ	ქარ	თა	

არის შემთხვევები, როდესაც სტრიქონი იწყება ოთხმარცვლიანი სიტყვით, მაგ., სტროფი 162,1:

განგებაა, | სწორად მოჰკლავს, || ერთი იყოს, | თუნდა ასი;

აქ სიტყვა დაიწყება სტრიქონის პირველ მარცვალთან და დამთავრდება მეოთხესთან:

1	2	3	4
x	x	x	x
განგ	გე	ბა	ა

1. 2. 3 ზემოთ ჩვენ მოცემული გვაქვს სტატისტიკური ცნობები, საიდანაც ჩანს, რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტში 1543 ხუთმარცვლიანი სიტყვაა ნახმარი. იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა, რომ მაღალი შაირის კარედი დაიწყოს ხუთმარცვლიანი სიტყვით, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხუთმარცვლიანი სიტყვა დაიწყოს მაღალი შაირის კარედის პირველ მარცვალთან და დამთავრდეს მეხუთესთან? ჩვენ დავადგინეთ, რომ არ შეიძლება, რადგან მაღალ შაირში სიტყვათგასაყარი მეოთხე მარცვალთანაა, აქ გადის საღემარკაციო ხაზი, რომლის გადალახვა სიტყვას არ შეუძლია. ამით აიხსნება, რომ 1543 ხუთმარცვლიანი სიტყვიდან, რომელიც ვეფხისტყაოსანშია ნახმარი, ყველა დაბალ შაირს ეკუთვნის და არა გვაქვს არც ერთი შემთხვევა, თუნდაც გამონაკლისის სახით, რომ ხუთმარცვლიანი სიტყვა იყოს გამოყენებული მაღალი შაირის რომელიმე სტროფში.

ამავე მიზეზის გამო არ შეიძლება მაღალ შაირში ორმარცვლიანი სიტყვა, რომელთა რაოდენობა 16.897-ს აღწევს, მეოთხე მარცვალთან დაიწყოს და მეხუთეში გადავიდეს. ასევე ვერ დაიწყება მაღალ შაირში სამმარცვლიანი სიტყვა მეოთხე ან მესამე მარცვალთან. ოთხმარცვლიანი სიტყვა აუცილებლად სეგმენტის პირველ მარცვალთან უნდა დაიწყოს, რადგან არ შეიძლება, რომ იგი ოთხმარცვლიანი სეგმენტის ფარგლებს გასცდეს. იგივე მდგომარეობაა მეორე სეგმენტში, მესამე სეგმენტში, ყველა კარედში, ყველა სტროფსა და მთელ პოემაში.

1. 2. 4 ზემოთქმულის შემდეგ, ცხადია, შეცდომა იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ მაღალი შაირის ძირითადი პროსოდიული ერთეული „ორმარცვლიანი ტერფია“ („ქორე“), რომელზედაც არის, თითქოს, აგებული ეკვივალენტური სიმეტრიით ნაწერი კატრენები. ეს რომ სწორი არაა, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ მაღალი შაირის 12.696 ნახევარკარედში არა გვაქვს არც ერთი შემთხვევა მიმართებისა: 2 4 2. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ორმარცვლიანი სიტყვები (ისე, როგორც ერთმარცვლიანი და სამმარცვლიანი სიტყვები) მაღალ შაირში იხმარება მხოლოდ როგორც ოთხმარცვლიანი სეგმენტის შემადგენელი ელემენტები, მაგრამ არა როგორც დამოუკიდებელი პროსოდიული ერთეულები. რადგანაც სეგმენტთა შორის არ შეიძლება სიტყვის განაწილება და სეგმენტის მაწარმოებელ ოთხმარცვლიან სიტყვას ვერ გამოეყოფა ორმარცვლიანი წინამავალ ან მომდევნო ორმარცვლედთან ერთად „ტერფის“ ან სეგმენტის შესადგენად, ამიტომ გასაგებია, რომ თანმიმდევრობა 2 4 2 და მისთ. დაუშვებელია. ამავე მიზეზის გამო არ გვხვდება მაღალი შაირის სტროფებში მიმართება: 1 1 4 2; 1 1 3 3; 3 2 3; 3 3 2 ან 2 3 3 და მისთ. რადგან სიტყვათგასაყარი ოთხმარცვლედის შემდეგაა, ხოლო სიტყვის გაყოფა არ შეიძლება, ამიტომ მაღალ შაირში ასეთი მიმართებებიც შეუძლებელია. აქედან ცხადია, რომ, წინააღმდეგ ზოგიერთი ავტორის მიერ გამოთქმული შეხედულებისა, ვეფხისტყაოსანში ორმარცვლიანი ტერფი („ქორე“) არ არსებობს.

1. 2. 5 საერთოდ ვეფხისტყაოსნის მთელი ტექსტის მანძილზე, გარდა თითო-ოროლა გამონაკლისისა, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, არა გვაქვს ისეთი შეფარდება, რომელიც მოშლის სიტყვათგასაყარს მაღალ შაირში ოთხმარცვლედის ბოლოს. სიტყვის განაწილება სეგმენტთა შორის, როგორც ამას ადგილი აქვს ბერძნულში, ლათინურში, რუსულში, არაბულში და მთელ რიგ სხვა ენებში, დაუშვებელია. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: სეგმენტის საზღვარი აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს სიტყვის საზღვარს. რამდენადაც სეგმენტის შესადგენად ხშირად რამდენიმე სიტყვა არის გამოყენებული, ბუნებრივია, რომ ცალკეული სიტყვების საზღვარი სეგმენტის საზღვარს არ დაემთხვევა, მაგრამ თვით სეგმენტი კი აუცილებლად თავდება იქ, სადაც თავდება სიტყვა. ამიტომ არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს ასეთი დაყოფა:

შა̀ვი | ცხე̀ნი | სა̀და | ვი̀თა || ჰყვა̀ ლომ|სა̀ და | ვი̀თა | გმი̀რსა.

ეს კარგად ჩანს აგრეთვე მახვილის დისტრიბუციის მიხედვითაც და საბოლოოდ დასტურდება ხუთმარცვლიანი სიტყვების გამორიცხვით მაღალი შაირიდან, აგრეთვე გარკვეულ შეფარდებათა (2 4 2, 3 2 2 1*, 2 3 3, 3 3 2 და მისთანანი) უქონლობით იმავე მაღალ შაირში. წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი უშლიდა ხელს პოეტს, რომ ხუთმარცვლიანი სიტყვიდან გამოეყო ერთი მარცვალი და წინამავალი ან მომდევნო სამი მარცვლისათვის მიეკუთვნებინა და ამით მაღალი შაირი მიეღო.

1. 3. 1 **დაბალი შაირი.** როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგივე 16-მარცვლიანი ლექსი, რომლის ნახევარკარედი რვამარცვლედს ქმნის, დაბალ შაირში ასიმეტრიულად არის გაყოფილი აგრეთვე ორ სეგმენტად, რომელთაგან

* ასეთი შემთხვევა გვხვდება მე-17 სტროფის პირველ კარედში, რაც აშკარა დარღვევაა. ამის შესახებ იხ. ქვემოთ, გვ. 36.

ერთი ხუთმარცვლიანია და მეორე სამმარცვლიანი. სიტყვათგასაყარი აქ სამმარცვლიან და ხუთმარცვლიან სეგმენტებთან იქმნება.

1. 3. 2 სამმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი სეგმენტების მიმართება ნახევარი კარედის ფარგლებში თავისუფალია, ე. ი. შეიძლება გვქონდეს თანმიმდევრობა 3 5 ან 5 3. ეს თანმიმდევრობა განსაზღვრულია სეგმენტთა საწარმოებლად გამოყენებული სიტყვების სილაბური ხასიათით და შეიძლება სტრიქონიდან სტრიქონამდე ან სტროფიდან სტროფამდე იცვლებოდეს ან უცვლელი რჩებოდეს. თუ სიტყვათა სილაბური ხასიათი ნახევარკარედის ფარგლებში იმგვარია, რომ ვღებულობთ მიმართებას 3 2 3 (ან მათ ეკვივალენტებს: 3 1 1 3, ან 1 2 2 3 ან 3 1 1 2 1 და სხვ.) მაშინ 3- და 5-მარცვლიანი სეგმენტების განურჩევლად ორგვარი თანმიმდევრობა შეიძლება გვქონდეს, ე. ი. შეიძლება 3 2 3 დავყოთ ამგვარად: 3+2 (=5) 3 ან 3 2+3 (=5). ზოგჯერ სეგმენტთა შორის საზღვრის დადგენა დამოკიდებულია ლექსიკურ-გრამატიკულ და სემანტიკურ ფაქტორზე. ზოგჯერ კი მათ შორის ნეიტრალური მიმართებები გვაქვს. არსებითად ლექსის სტრუქტურის თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს, წინამავალ სამმარცველედს მიეკუთვნება შუამავალი ბისილაბური სიტყვა თუ ბოლოკიდურს.

1. 3. 3 პირველ ნახევარკარედში მოცემული თანმიმდევრობა დაბალი შაირის სეგმენტებისა მეორე ნახევარკარედში შეიძლება იმგვარად იყოს ასახული, რომ მივიღოთ ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ უ რ ი სიმეტრია, ე. ი. ამოსავალი მდგომარეობისათვის დამახასიათებელი მიმართებანი, ამის ნიმუშია:

5 3 5 3
სტროფი 508,2: გახარებოდა | ხვარაზმშას || სიხარულითა | დიდითა;

3 5 3 5
სტროფი 794,4: მიღვწიან, | მომიგონებენ, || დამლოცვენ, | მოეგონები.

ამ შემთხვევაში კარედის მეორე ნახევარში დაცულია პირველი ნახევრისათვის დამახასიათებელი მიმართებები: 5 3 || 5 3 (სტროფი 508,2) ან 3 5 || 3 5 (სტროფი 794,4).

1. 3. 4. მეორე მხრივ, მეორე ნახევარკარედში შეიძლება მივიღოთ ინვერსიული სიმეტრია[12], როდესაც ადგილი აქვს მიმართებათა სარკისებურ ასახვას. მაგ.,

5 3 3 5
სტროფი 531,1: მოლმობიერდა, | მომიტკბა || გამწყრალი, | გამქისებული


3 5 5 3
სტროფი 1371,3: დამოსნა | ტურფა-ტურფითა || ერთმანერთისა | მჯობითა.

როგორც ვხედავთ, პირველი ნახევარკარედის თანმიმდევრობა 5 3 მეორე ნახევარში შეიცვალა თანმიმდევრობით 3 5 (სტროფი 531,1), ხოლო 1371 სტროფის მესამე სტრიქონში გვაქვს შეფარდება 3 5 || 5 3.

1. 3. 5 ამგვარად, დაბალ შაირში გვაქვს შეფარდება 3 5 : 8. ეს კი არის ოქროს კვეთის (sectio aurea) შეფარდება.

ოქროს კვეთი არის ისეთი დაყოფა მთელისა, როდესაც დიდი მონაკვეთი იმგვარ გეომეტრიულ მიმართებაშია მთელთან, როგორშიც მცირე მონაკვეთი დიდთან. ე. ი. დიდი მონაკვეთი არის „გეომეტრიული საშუალო“ მთელსა და მცირე მონაკვეთებს შორის. მაგ., AB მონაკვეთი რომ ოქროს კვეთზე გაიყოს,

ამისათვის საჭიროა AB ხაზის ბოლო წერტილში B-სთან აღიმართოს BC ვერტიკალი AB-ს ნახევრის $\left(\frac{AB}{2}\right)$ სიმაღლისა. C-ს გარშემო შემოავლებენ წრეს CB-ს საშუალებით. C-ს დაუკავშირებენ A-ს ხაზით, რომელიც გადაკვეთს ამ წრეს D წერტილში. ამის შემდეგ A-ს გარშემო AD-ს საშუალებით შემოავლე-



ბენ წრეს, რომელიც გადაკვეთს AB ხაზს E წერტილში და გაყოფს მას ორად ოქროს კვეთზე: EB მონაკვეთი ისეთსავე მიმართებაშია AE-სთან, როგორც AE — მთელ AB ხაზთან: EB : AE = AE : AB.

არსებობს ოქროს კვეთის მიღების სხვა საშუალებებიც. ოქროს კვეთი ჩნდება სწორი პენტაგონისაგან მიღებულ პენტაგრამაზე, რომლის დიაგონალების საშუალებით იქმნება მცირე და დიდი მონაკვეთები იმგვარად, რომ მცირე ნაწილები ისეთ მიმართებაში არიან დიდთან, როგორშიც დიდი ნაწილები დიდისა და მცირის ჯამთან[13].

1. 3. 5. 1 ამ პენტაგრამას ძველ საბერძნეთსა და საშუალო საუკუნეების დასავლეთში მიეწერებოდა მისტიკური და მაგიური ძალა, როგორც ავი სულებისაგან დასაცავ თილისმას. ეს წარმოდგენები ასახულია გ ო ე თ ე ს ფაუსტში[14], სადაც ნათქვამია, რომ ფაუსტის ოთახში შესული მეფისტოფელი უკან ვეღარ გამოვიდა, რადგანაც ზღურბლთან პენტაგრამა იყო მოთავსებული იმგვარად, რომ მისი ერთი მწვერვალი ოთახისაკენ იყო გაშვერილი, ხოლო საპირისპირო კუთხის მწვერვალი, იმის გამო, რომ ნახაზი დაუდევრად იყო შესრულებული, ოდნავ ღია დარჩენილიყო. ამიტომ ბოროტმა სულმა ოთახში შესვლა მოახერხა, მაგრამ უკან გამოსვლა ვეღარ შეძლო. ამის გამო მეფისტოფელი ეუბნება ფაუსტს:

Gesteh' ich's nur! Dass ich hinausspaziere,
Verbietet mir ein kleines Hindernis,
1395 Der Drudenfuss[16] auf Eurer Schwelle.

ფაუსტი: Das Pentagramma macht dir Pein?
Ei, sage mir, du Sohn der Hölle,
Wenn das dich bannt, wie kamst du denn herein?
Wie ward ein solcher Geist betrogen?

Мефистофель: Beschaut es recht! es ist nicht gut gezogen;
1400 Der eine Winkel, der nach aussen zu,
Ist, wie du siehst, ein wenig offen.[16]

მეფისტოფელი: უნდა გამოეტყდე! უკან გასვლაში
ხელს მიშლის მცირე რამ დაბრკოლება,
ჯადოქრის ტერფი თქვენი ზღურბლის წინ.

ფაუსტი: პენტაგრამაა, შენ რომ გაწვალებს?
მითხარი, ეი, ქვესკნელის შვილო,
თუ ეს შენ გბოჭავს, როგორ მოხვედი?
როგორ მოტყუედა ასეთი სული?

მეფისტოფელი: სწორად განსაჯე! ცუდად შეგითხზავს;
ერთ-ერთი კუთხე, გარ-მიქცეული,
როგორცა ხედავ, ოდნავ ღიაა.

ამის შემდეგ მეფისტოფელი დააძინებს ფაუსტს, რომ მღრღნელებმა გაღრღნან პენტაგრამის კუთხის მწვერვალი, რომელსაც ბოროტი სული ვერ ეკარებოდა.

1. 3. 5. 2 ოქროს კვეთის ალგებრული გამოხატულებაა $a : x = x : (a-x)$. x-ის მოსაძებნად მიიღება კვადრატული განტოლება $x^2+ax-a^2=0$, რომლის გადაწყვეტა მოგვცემს $x=\frac{a}{2}(\sqrt{5}-1)\approx 0{,}62a$. ოქროს კვეთის ნაწილების ზუსტი შეფარდებაა 0,61803 და 0,38197, რაც უფრო ახლოსაა ნაწილები ამ შეფარდებასთან, მით უფრო სრულყოფილია შეფარდება.

ეს პირობა შეიძლება გადაწერილი იქნეს ამგვარად:

$$\frac{x}{a}\left(1+\frac{x}{a}\right)=1 \quad \text{ან} \quad x=\frac{a}{\left(1+\frac{x}{a}\right)}$$

საიდანაც

$$x=a\cfrac{1}{1+\cfrac{1}{1+\cfrac{1}{1+}}}$$

ე. ი. მივიღებთ ე. წ. უწყვეტ წილადებს, რომლის შესაფერი წილადები იქნება[17]:

$$\frac{1}{1},\ \frac{1}{2},\ \frac{2}{3},\ \frac{3}{5},\ \frac{5}{8},\ \frac{8}{13},\ \frac{13}{21},\ \frac{21}{34},\ \frac{34}{55},\ \frac{55}{89},\ \frac{89}{144},\ \frac{144}{233},\ \frac{233}{377}$$

და ა. შ., სადაც ყოველი რიცხვი, დაწყებული მესამიდან, უდრის წინა ორის ჯამს: $1+1=2+1=3+2=5+3=8+5=13+8=21+13=34+21=55+34=89+55=144+89=233+144=377$ და ა. შ. ამ რიგებს ეწოდება ფიბონაჩის რიგები[18], იტალიელი (პიზელი) მათემატიკოსის Leonardo Fibonacci-ს (დაიბ. 1170 წლის ახლო ხანებში, გარდ. 1228 წლის შემდეგ) მიხედვით, რომელმაც აღმოსავლეთში მოგზაურობის შედეგად გაიცნო არაბული მათემატიკის მიღწევები და გააცნო იგი დასავლეთს.

1. 3. 5. 3 პენტაგრამა უკავშირდება ძველი ბაბილონის კულტურას. უკვე ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში პითაგორელებისათვის ცნობილი იყო ოქროს კვეთის შეფარდება[19], როგორც ეს ჩანს ევკლიდეს ელემენტების მეორე წიგნიდან[20]. გეომეტრიული ალგებრა, მეორე წიგნის შინაარსს რომ შეადგენს, ემყარება ირრაციონალური სიდიდეების აღმოჩენას, რომელსაც V ს. ძვ. წ. უნდა ჰქონოდა ადგილი. პირველ აღმომჩენად მიაჩნიათ პითაგორას მოწაფე ჰიპასოს მეტაპონტელი, V ს. პირველი ნახევრის მოღვაწე[21].

პენტაგრამის გამოკვლევისას პითაგორელებმა აღმოაჩინეს დიაგონალისა და გვერდის არათანაზომადობა (Inkommensurabilität) ამ მრავალკუთხედში. შემდეგ ამ ხაზების მიმართებათა დასაბუთების პროცესში ისინი მივიდნენ გეომეტრიულ დეფინიციებამდე და ოქროს კვეთამდე[21ა].

ამ აღმოჩენამ მისცა პლატონს ბიძგი ცოდნის დასაბუთებისათვის, არისტოტელემ გამოიტანა იქიდან ეთიკური ანალოგიები, ხოლო საშუალო საუკუნეების ზოგიერთი სქოლასტიკოსი განიხილავდა მას ღვთაებრივ პროპორციად.

ნეოპლატონიზმის ათენური სკოლის უდიდესი წარმომადგენლის პროკლე დიადოხოსის (410—485 ა. წ.) საშუალებით წარმოდგენა ასეთ მიმართებათა შესახებ გავრცელდა ბიზანტიურ სამყაროში და საშუალო საუკუნეების ლათინურ დასავლეთში, როდესაც მისი ფიზიკის ელემენტები და თეოლოგიის ელემენტები ითარგმნა ლათინურად (XIII საუკ.).

განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ოქროს კვეთის პროპორციამ იტალიური რენესანსის ეპოქაში, როდესაც ის მიჩნეული იყო „სრულყოფილებისა და ჰარმონიის უმაღლეს გამოვლინებად ბუნებასა[22] და ხელოვნებაში“. ტრადიციით, გამოყენება ტერმინისა „ოქროს კვეთი“ ამ პროპორციის აღსანიშნავად ლეონარდო და ვინჩის მიეწერება. ხოლო მისმა მეგობარმა, მათემატიკოსმა Luca Pacioli-მ (Luca di Borgo, დაიბ. 1445 ან 1450 — გარდ. დაახლოებით 1514 წ.) მას ტრაქტატი მიუძღვნა სათაურით De divina proportione (Venezia, 1509; ილ. გამ. Milano, 1956; გერმანული თარგმანით, Wien, 1889), რომელშიც ამტკიცებს, რომ, მსგავსად მეხუთე სუბსტანციისა, რომლის საშუალებითაც გამოწვეულია ოთხი სხვა მართივი სხეულის, ოთხი ელემენტის — მიწის, წყლის, ჰაერისა და ცეცხლის არსებობა, ხოლო მათი მეოხებით ყველა ნივთისა ბუნებაში, წმინდა პროპორციაც, პლატონის „ტიმეოსის“ მიხედვით[23], აძლევს ფორმალ არსს თვით ზეცას, რადგან მას მიეწერება ფორმა სხეულისა, რომელსაც ეწოდება დოდეკაედრი. მისი წახნაგები წარმოადგენენ სწორკუთხედებს და შეუძლებელია იგი შეიქმნას ოქროს კვეთის პროპორციის გარეშე[24].

XIX საუკუნეში A. Zeising-ი ამტკიცებს, რომ ნაწილების აგება ოქროს კვეთის მიხედვით არის საერთოდ ძირითადი პრინციპი ყოველგვარი შემოქმედებისა, რომელიც მიისწრაფის სიმშვენიერისა და მთლიანობისაკენ, როგორც ბუნების სამყაროში, ისე ხელოვნებაში[25].

განსაკუთრებული როლი ითამაშა ოქროს კვეთის პროპორციამ არქიტექტურასა და მხატვრობაში[26]. ოქროს კვეთზეა აგებული ფრიგიის აკლდამები და ათენის პართენონი, პეტრეს ბაზილიკა რომში, ტიციანის „ღვთისმშობლის მოგზაურობა ზეცაში“ და ლეონარდო და ვინჩის Mona Liza, რაფაელის მადონა სიქსტის კაპელიდან ვატიკანში, დიურერის ავტოპორტრეტი და მთელი რიგი სხვა შედევრები მსოფლიო ხელოვნებისა[27].

ჩვენს ეპოქაში თანამედროვეობის უდიდესმა არქიტექტორმა და მხატვარმა Le Corbusier-მ (Charles Eduard Jeanneret) ოქროს კვეთზე ააგო თავისი Le Modulor[28]-ი, რომელმაც მსოფლიო სენსაცია გამოიწვია და რომლის შესახებ ეინშტეინი აღნიშნავდა, რომ ეს არის ზომის ახალი სისტემა, რომელიც „აძნელებს ცუდს და ააღვილებს კარგს"[29]. 1951 წ. 26—29 სექტემბერს მილანში „ღვთაებრივ პროპორციას" („De Divina Proportione") მიეძღვნა საერთაშორისო კონგრესი, რომელსაც ესწრებოდნენ მათემატიკოსები და ესთეტიკოსები, არქიტექტორები და მხატვრები მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან.

1. 3. 5. 4 ოქროს კვეთის პროპორციები დეტალურად არის დამუშავებული სივრცისეული, პლასტიკური ხელოვნების დარგში, მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ს. ეიზენშტეინი, «в приложениях к искусствам временным... они имеют, пожалуй, еще большее поле приложения»[30]. ეს სავსებით სწორია, რადგან ოქროს კვეთის პროპორცია დინამიკური პროპორციაა და შემთხვევით არ უწოდა მას Jey Hambidge-მა „დინამიკური სიმეტრია". ამ სიმეტრიის ესთეტიკური ზემოქმედების ძალა კარგადა აქვს ნაჩვენები ს. ეიზენშტეინს. ზედმეტი არ იქნება, მოვიყვანოთ მისი სიტყვები, თუნდაც შემოკლებით. «... Анализ лучших произведений оказывается построенным по шкале пропорции, отвечающей соотношениям векторов отдельных поворотных точек так называемой логарифмической спирали. То есть той спирали, по которой в равной мере разрастаются в объеме рога диких коз, головки подсолнухов и морские раковины». ... «Спираль же эта сама по себе тоже весьма примечательна. Ей посвящено подробное исследование Джея Хембиджа (Jey Hambidge, The Elements of Dynamic Symmetry, New York, 1919—1926). Она этого вполне заслуживает, ибо именно эта спираль определяет собой пропорцию так называемого «золотого сечения», которая лежит в основе наиболее замечательных произведений древности. Ее особое эстетическое воздействие строится на том, что она есть переложенная в пространственные пропорции основная формула процесса органического роста и развития в природе, охватывая в равной мере раковину Nautilus, головку подсолнуха и человеческий скелет. Эта пропорция является, таким образом,наиболее полным отражением в законе строения произведения, закона строения всех органических процессов развития. Больше того, это отображение единой закономерности, в равной мере лежащей в основе обоих.

«Примитивная геометрическая пропорциональность есть лишь относительное и относительно грубое приближение к этой гораздо более сложной и изысканной пропорциональности. Принадлежность к одной или другой системе придает группам произведений искусства обозначение принадлежности либо к «динамической», либо к «статической» «симметрии», ...«используя обозначение симметрии в первоначальном греческом смысле как аналогии; дословно оно обозначает соотношение элементов формы в рисунке или в организме по отношению к целому. В рисунке это то начало, которое устанавливает правильное соотношение многообразия в единстве...» (Джей Хембидж, Введение, стр. XIV)».

«... Греческое и египетское искусство базируется на «динамической симметрии». Превосходство второй (დინამიკური სიმეტრიისა) над первой (სტატიკურ სიმეტრიაზე)очевидно, как только они подвергаются сличению. Вспомним хотя бы отношение Маркса к античному искусству. Вообще

же «возможно, что статическая симметрия не более, как специальный случай динамической, в той же мере, как круг есть частный случай эллипса...»[31].

ცხადია, ს. ე ი ზ ე ნ შ ტ ე ი ნ ი, რომელიც ასეთი შეხედულების იყო ოქროს კვეთის ანუ დინამიკურ პროპორციაზე, თავის შემოქმედებაში შეგნებულად და ფართოდ იყენებდა მას კინოხელოვნებაში[32], რაც თეორიულადაც დაასაბუთა.

მუსიკაში ოქროს კვეთზე დააფუძნა თავისი ნაწარმოებები გამოჩენილმა უნგრელმა კომპოზიტორმა Béla Bartók-მა[33].

პოეზიაში[31] რვამარცვლიანი ლექსის დაყოფას ხუთ-და სამმარცვლედებად პარალელები მოეპოვება ინდოევროპულ ენებშიც, მაგ., სამხრეთ და დასავლურ სლავურში (ბულგარულში, სერბულ-ქროატულში, სადაც იგი გამოყენებულია ეპიკური ლექსებისათვის)[35] და საერთო სლავურისათვისაც ივარაუდება[36].

ქართულ ლექსში ასეთი შეფარდების გამოყენების ცალკეული შემთხვევები რუსთველამდეც გვხვდებოდა. ასეთი რიტმით არის ნაწერი ორი სტროფი ჩახრუხაძის თამარიანში[37], ცნობილია აგრეთვე რამდენიმე სტრიქონი ლეონტი მროველის თხზულებაში, არსენი იყალთოელისეულ „დავით აღმაშენებლის ეპიტაფიაში", თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი" და სხვ.[38], ამ რიტმს ემყარება ძირითადად ხევსურული ხალხური პოეზია. მაგრამ ყველაფერი ეს ინტუიციის ხასიათს ატარებს.

რუსთველი პირველია მსოფლიოში და შეიძლება ერთადერთი, რომელმაც ოქროს კვეთზე ააგო ესოდენ დიდი მოცულობისა და მნიშვნელობის პოეტური ნაწარმოები, სადაც „ღვთაებრივი პროპორციით" ნაწერი კატრენები კანონზომიერად ენაცვლება ეკვივალენტური სიმეტრიის საფუძველზე აგებულ სტროფებს. მისი პოემის 1587 სტროფიდან 863 — ოქროს კვეთზეა აგებული, 723 — ეკვივალენტური სიმეტრიის საფუძველზე, ხოლო ერთი — ნაწერია ოცმარცვლიანი ზომით.

1. 3. 5. 5 იბადება კითხვა: პოეტმა გენიალური ინტუიციის საფუძველზე გამოიყენა ოქროს კვეთის მიმართება თავის პოემაში, თუ ავტორი იცნობდა ამ მიმართებას და შეგნებულად იყენებდა მას?

ამჟამად ძნელია ზუსტი პასუხი გაეცეთ ამ კითხვას, მაგრამ არსებობს საკმაო საფუძველი, რომ ერთგვარი ვარაუდი გამოვთქვათ.

პოეტი მიზნად ისახავდა შეექმნა დიდი მოცულობის მხატვრული ნაწარმოები, პოემა ან რომანი[39] ლექსად. ესოდენ დიდი ზომის ნაწარმოები (1587 სტროფი, ექვსი ათასზე მეტი სტრიქონით) რომ მას ერთი ზომითა და რიტმით დაეწერა (როგორც, მაგ., ფირდოუსის შაჰ-ნამეა თავიდან ბოლომდე მუთაკარიბით ნაწერი), ეს იქნებოდა ერთფეროვანი და მონოტონური. მეორე მხრივ, ლექსის მეტრის ცვლა სხვადასხვა ნაწილების მიხედვით ან სტროფიდან სტროფამდე პოემას მთლიანობას დაუკარგავდა პროსოდიული თვალსაზრისით.

პოეტის წინაშე იდგა ამოცანა: შეერჩია ისეთი ზომა, რომლის ფარგლებში შესაძლებელი იქნებოდა სხვადასხვა რიტმის კანონზომიერი მონაცვლეობა ისე, რომ სტრიქონთა სილაბური სტრუქტურა არ დარღვეულიყო. ამ განზრახვის განხორციელება აღვილი იყო თექვსმეტმარცვლიან ლექსში, რომლის ნახევარკარედი რვა მარცვლისაგან შედგება. 8 კი ერთადერთია რიცხვთა რიგებში, რომელიც საშუალებას იძლეოდა ამ ზომაზე ოქროს კვეთის სრულყოფილი პროპორციაც მიგვეღო და ეკვივალენტური სიმეტრიის შეფარდებაც. თუ ჩვენ

სილაბური ლექსის ძირითად ელემენტს, ერთმარცვლედს ავიღებთ, აქედან შეგვიძლია მივიღოთ რიგები:

A: გაორკეცების გზით: 1 2 4 8 16 32 64,

B: ფიბონაჩის რიგები: 1 1 2 3 5 8 13 21 34 55 89.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთეულებსა და ორმარცვლედებს, რომლებიც სტრიქონებს ვერ შექმნიან, საერთო რიცხვი ორივე ამ რიგში არის მხოლოდ 8, რომელიც შეიძლება დაიყოს როგორც ოქროს კვეთის სრულყოფილ პროპორციაზე, ისე ეკვივალენტური სიმეტრიის საფუძველზე. მხოლოდ რვამარცვლიანი ნახევარკარედისაგან შეეძლო პოეტს მიეღო ერთის მხრივ „ღვთაებრივი პროპორცია“: 8 : 5 : 3, ხოლო მეორე მხრივ ეკვივალენტური სიმეტრია: 8 : 4 : 4. რა თქმა უნდა, სხვადასხვაგვარად დაყოფა სხვა რიცხვებისაც შეიძლებოდა, მაგ. (20:) 10=5 5 და 4 4 2; 5 5 ან 5 3 2; (12:) 6=3 3 და 2 4 და სხვ. მაგრამ ეს არ იქნებოდა სრულყოფილი ოქროს კვეთის პროპორციის თვალსაზრისით. ამიტომ რუსთველმა თავისი ლექსის ზომად აიღო სწორედ ეს ერთადერთი რიცხვი, რომელიც მას საშუალებას აძლევდა ერთი მეტრის ფარგლებში ორი სრულყოფილი რიტმი შეექმნა. არც ოცმარცვლიანი ლექსი, არც თორმეტმარცვლიანი კარედი, არც რომელიმე სხვა ზომა მას ამის საშუალებას არ მისცემდა. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ არის ვეფხისტყაოსანი ნაწური 16-მარცვლიანი (8||8) ლექსით. საფიქრებელია, რომ ოქროს კვეთის პროპორცია შეგნებულად არის არჩეული და კანონზომიერად ენაცვლება ეკვივალენტური სიმეტრიის საფუძველზე შექმნილ მაღალ შაირს. უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსთველი იცნობდა ორივე ამ პროპორციას და შეგნებულად იყენებდა მათ თავის პოემაში. შეეძლო თუ არა რუსთველს ჰქონოდა ცოდნა ოქროს კვეთის მიმართების შესახებ?

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ როგორც ბიზანტიურმა კულტურულმა სამყარომ, ისე საშუალო საუკუნეების ლათინურმა დასავლეთმა პროკლე დიადოხოსის[40] საშუალებით გაიცნო ევკლიდეს თეორია ოქროს კვეთის შესახებ. პროკლე დიადოხოსს კარგად იცნობდნენ XI—XII საუკ. საქართველოში. მისი ერთ-ერთი მთავარი შრომა „თეოლოგიის ელემენტები“ („კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“) თარგმნილი იყო ქართულად და კომენტირებული XI ს. დამლევისა და XII ს. დამდეგის ფილოსოფოსისა და მოაზროვნის იოანე პეტრიწის მიერ[41]. თვით იოანე პეტრიწი კი გვამცნობს, რომ ეს ძეგლი ქართულად სხვებსაც გადმოუღიათ უფრო ადრე, როგორც ეს ჩანს მისი სიტყვებიდან: „არამედ მიზეზი აწ კუალად გარდმოღებად ჩემ მიერ წიგნისა ამის ესეობს: პირველ რამეთუ განმრავლდეს გარდმომღებელნი და სხუასა აღუჩნდის სხუად“[42].

ძნელად საფიქრებელია, რომ XI—XII სს. საქართველოში ესოდენ პოპულარული პროკლე დიადოხოსი არ სცოდნოდა რუსთველს, რომელსაც საშუალება ჰქონდა არა მარტო ქართულად, არამედ ბერძნულ ორიგინალშიც კი ეკითხა იგი, ხოლო ევკლიდეს ელემენტების გაცნობა არაბულ თარგმანებშიც შეეძლო.

ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ რუსთველი, როგორც თვით ვეფხისტყაოსნიდან ჩანს, ღრმა მცოდნე იყო იმ დარგებისა, რომლების შესწავლაც ევალებოდა იმდროინდელ განათლებულ საზოგადოებას ბიზანტიასა[43] და საქართველოში. ეს დარგები ჩამოთვლილია იოანე პეტრიწის კომენტარების ბო-

ლოსიტყვაობაში: „გეომეტრია (ქუეყნის-სამზომლო), მათემატიკა (და თუ ვითარ რიცხუნი თან დაედასებიან), მუსიკა (სამუსიკელოჲ), რიტორიკა (რიტორობა), გრამატიკა (ღრამმატიკოსობა), ფილოსოფია (=ფილოსოფოსობა) და ვარსკულავთმრიცხუელობა“[14]. ამ საგნებს ღრმად იყო დაუფლებული იოანე პეტრიწი და ასევე განსწავლული ჩანს ვეფხისტყაოსნის ავტორი მეცნიერების ამ დარგებში. თვით პოეზიასაც იგი ფილოსოფიის დარგად (**ჲაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი**, სტრ. 12,1) მიიჩნევს[45], ხოლო ფილოსოფიის ცოდნა გეომეტრიისა და მათემატიკის გარეშე ძნელად თუ შეიძლებოდა. თვით პროკლეც ხომ ავტორი იყო არა მარტო ტრაქტატისა „თეოლოგიის ელემენტების“ შესახებ, არამედ ევკლიდეს გეომეტრიის კომენტარებისა.

რუსთველის კავშირი იოანე პეტრიწისა და პროკლე დიადოხოსის ნეოპლატონიზმთან დიდი ხანია ცნობილია. ჯერ კიდევ 1910 წელს ნ. მარი აღნიშნავდა, რომ 864,4 (ჩვენი გამოცემით 874,4) „სტროფის მთელი ფრაზეოლოგია ტარიელის სიტყვებში მოწმობს, რომ შოთა ნაკითხი იყო ქართულ ნეოპლატონიკურ ფილოსოფიაში“. ამასთან ნ. მარს მოჰყავს სტრიქონი: **„დამშლიან ჩემნი კავშირნი, შეჰრთჳან სულთა სირასა“** და აღნიშნავს, რომ ტერმინები კავშირი და სირა (ბერძნ. σειρά) ჩვეულებრივია იოანე პეტრიწის შრომაში[46], რომელიც პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის ელემენტების“ თარგმანსა და კომენტარს წარმოადგენს[47].

შემდეგში, პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის ელემენტების“ პეტრიწისეული ქართული თარგმანისა და კომენტარების გამოქვეყნების[48] მერე, უფრო თვალსაჩინო გახდა ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლხედვის მჭიდრო კავშირი პროკლე დიადოხოსის ფილოსოფიასთან[49].

ყველაფერი ეს საფუძველს იძლევა ვიეარაუდოთ, რომ შოთა რუსთველი იცნობდა ოქროს კვეთის[50] პროპორციას[51] და შეგნებულად იყენებდა მას ეკვივალენტური სიმეტრიის პრინციპზე აგებული ლექსის გვერდით.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ავტორი ლექსის თხზვის დროს ითვლიდა სეგმენტებსა და სეგმენტებში შემავალ მარცვლებს. უნდა ვიფიქროთ, რომ მარცვალთა დანაწილება სეგმენტების მიხედვით ინტუიციურად ხდებოდა, ისე, როგორც მოცარტთან — გამოყენება მიმართებისა: 4 4=8, ხოლო ბელა ბარტოკთან ოქროს კვეთისა: 3 5=8[52]. საფიქრებელია, რომ რუსთველმა შეგნებულად ააგო თავისი პოემა ორივე ამ პროპორციის მიხედვით, მაგრამ ლექსის თხზვის პროცესში პოეტი ალბათ თავის ინტუიციას ემყარებოდა.

1. 4. 1. **სეგმენტთა სტრუქტურა.** მაშასადამე, ვეფხისტყაოსნის ლექსის მუდმივი სტრუქტურული ერთეულებია ოთხმარცვლიანი სეგმენტი მაღალ შაირში და სამმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი სეგმენტები ოქროს კვეთის პროპორციაში (დაბალ შაირში).

ამ მუდმივ სტრუქტურულ ერთეულებში არ უნდა ავურიოთ შემთხვევითი მოვლენები, რომლებიც სეგმენტის ფარგლებში ჩნდებიან და რიტმულ ვარიაციებს ქმნიან. ეს ვარიაციები მთლიანად დამოკიდებულია სეგმენტის ხასიათზე, სახელდობრ იმაზე, თუ როგორი სილაბური სტრუქტურისაა მასში შემავალი სიტყვები, ამ მხრივ დამახასიათებელია მათი განაწილება მაღალი და დაბალი შაირის სტროფების მიხედვით.

1. 4. 2. 1 მაღალი შაირის სეგმენტები. (1). მაღალი შაირის ოთხმარცვლიანი სეგმენტების შესადგენად ხშირად არის გამოყენებული

ერთმარცვლიანი სიტყვები: არის შემთხვევები, როდესაც სეგმენტი მთლიანად ოთხი თითომარცვლიანი სიტყვისაგან არის შედგენილი:

2 2 1 3 1 1 1 1 2 2
ქალმან უთხრა: | „რას შეგესწარ, || მე ვინ ვარ და | ანუ შენო? (234,1)

1 1 1 1 2 2 2 2 2 2
მე ვით ღირს ვარ | ამას, რომე | თვალნი ჩემნი | გჭვრეტდენ მრთელსა! (665,4)

1 1 1 1 2 1 1 1 3 1 1 2
შენ მას ჰგავ და | იგი შენ გგავს, | თქვენ ანათობთ | მთად და ბარად (944,2)

1 1 1 1 2 2 2 2 2 2
მე, გლახ, რა ვარ? | მიწა ცუდი; || თავით ჩემით | რამცა ვქმენი? (1039,2)

1 1 1 1 1 3 3 1 2 2
რა ექმნა, რა ვყო, | რა მერგების, || სიცოცხლე მჭირს | მეტად ძნელი! (1178,4)

1 1 1 1 2 2 1 2 1 2 2
მით არ ჯერ ვარ | ქმარსა ჩემსა, || მჭლე არის და | თვალად ნასი. (1193,1)

უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთმარცვლიანი სიტყვა ორ-და სამმარცვლიან სიტყვებთან ერთად ქმნის ოთხმარცვლიან სეგმენტს.

(2). 1,1 და 2-მარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი სეგმენტი:

2 2 1 1 2 2 2 4
გახსოეს, ოდეს | შენ და როსტანს || მინდორს მხეცი | დაგეხოცა, (127,1)

1 1 2 4 4 4
მე რომ თქვენგან | მოვისმინენ || წყალობანი, | მედიადა. (134,3)

1 1 2 1 3 2 1 1 4
თუ არ მომკლავ, | არ მოკვდები, || მრთელი ვარ და | მოუკლავი. (237,2)

1 1 2 4 2 2 4
რად არ გითხრა, | სადამდისცა || ვიყო ჭირთა | უნახავი? (237,3)

1 3 4 1 1 2 4
მით ეტიროდი, | მომეგონა || მე, გლახ, ჩემი | წარმწყმედელი. (289,4)

(3) 2, 1 და 1-მარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი სეგმენტი:

1 3 4 1 3 2 1 1
ვერ ვასმინე | საუბარი, || მით დავყოვნე | ხანი მუნ, და-. (89,4)

2 1 1 4 4
ესე თქვა და | სიხარულით || თამაშობა | ადიადა. (118,1)

2 2 2 2 2 1 1 2 2
მაგრა გითხრა | პირველ ხვალმე, || სენი მე მჭირს | რაცა ჭირად (126,4)

2 2 4 4 2 1 1
ვითა მონა, | სამსახურად || განაღამცა | წავე, წა-, მე! (133,4)

2 1 1 2 2 4 4
პირველ, ყმა ვარ, | წასლვა მინდა || პატრონისა | სამსახურად. (152,1)

3 1 2 1 1 4 4
უყიცა, თუ: | „ძმანო, ვინ ხართ? || მეკობრეთა | დაგამსგავსენ!“ (195,1)

2 1 1 4 2 2 4
ყმამან ცნა, თუ: | „გონებანი || ჩქარნი ჩემთვის | დააწყნარნა“. (242,3).

4 1 3 1 3 2 1 1
ღრუბელიცა ვერ მიხვდების, || მე მისრულვარ | სადა, მი-, სად! (247,3)

(4) 1, 2 და 1-მარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი სეგმენტი:

2 2 4 1 2 1 2 2
შავი ცხენი | სადავითა || ჰყვა ლომსა და | ვითა გმირსა, (83,2)

1 2 1 4 1 1 2 1 3
ყმა ადგა და | წამოვიდა, || მას დღე მათი | ჩანს გაყრილი. (145,3)
2 2 4 1 1 2 1 2 1
ქალსა უთხრა: | „გაგარისხე, || აწ, არ ვიცი, | ვით დავრჩე, ვა!“ (240,4)
2 2 2 2 1 2 1 1 3
ნუთუ გაბრჭოს, | გული ჩემი || ვით იწვის და | ვით ენთების; (760,2)
4 4 1 2 1 1 1 2
ერთმანერთსა | შემოსტყორცის, || რეა ცხრასა და | ცხრა ჰკრის რვასა;
(1032,3)

(5) 1 და 3-მარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი სეგმენტი:

1 3 4 1 3 4
მე სიკვდილსა | მოველოდი, || შენ სიცოცხლე | გამიწამე, (133,3)
1 3 4 3 1 4
მე წავიდე, | მოვიარო, || ეილაშქრო და | ეინაპირო, (142,1)
1 3 4 2 2 4
რა მოვიდა, | სიხარული || შიგან გახდა | სამეფოსა. (147,1)
1 3 4 4 4
რა მონამან | მოისმინა, || გაუკვირდა, | შეეზარა, (158,1)

(6) 3 და 1-მარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი სეგმენტი:

3 1 4 2 2 4
ღაშქრობა და | ნადირობა || შენი ჩემსა | დაასახე, (155,1)
3 1 4 2 2 4
ერთგულნო და | მისანდონო, || ამას ზედა | გამოცდილნო, (163,2)
3 1 4 2 2 4
აეთანდილ სჭვრეტს | გაკვირვებით, || მალვით ხესა | მოეფარა, (225,3)
3 1 4 2 2 1 3
ეგონა, თუ: | დაბრუნდაო || პირი ვარდი, | ბროლ-ბაგმული. (227,4)

(7) ბუნებრივია, რომ ოთხმარცვლიანი სეგმენტის შესაქმნელად ძალიან მოხერხებულია ორი ორმარცვლიანი სიტყვის გამოყენება. ასეთს შემთხვევებს მართლაც მრავლად ვხვდებით:

2 2 2 2 1 3 2 2
ნახეს, უცხო | მოყმე ეინმე || ჯდა მტირალი | წყლისა პირსა,
2 2 4 1 2 1 2 2
შაეი ცხენი | სადაეთა || ჰყვა ლომსა და | ვითა გმირსა, (83,1-2)

კიდევ მეტი, ვეფხისტყაოსანში ჩვენ გვაქვს მთელი სტრიქონები, სადაც ყველა ოთხმარცვლიანი სეგმენტი მაღალი შაირისა ორმარცვლიანი სიტყვებისაგან არის შედგენილი.

2 2 2 2 2 2 2 2
ყმამან უთხრა: | „ეგე საქმე || ამას ჰგავსო, | არა სხვასა: (252,1)
2 2 2 2 2 2 2 2
მტერი მტერსა | ეერას აენებს, || რომე კაცი | თავსა იენებს. (752,4)
2 2 2 2 2 2 2 2
ეარდსა ჰკითხეს: | „ეგზომ ტურფა || რამან შეგქმნა | ტანად, პირად?“ (868,1)
2 2 2 2 2 2 2 2
ფატმან უხმო: | „მოდი, შნახე, || მარტო ვარო, | თავის წინა“. (1247,4)
2 2 2 2 2 2 2 2
ხელი ხადეს | ხრმალთა მათთა, || არა ცუდად | წელთა ებნეს. (1521,4)

ვინაიდან ორმარცვლიანი სიტყვები ვეფხისტყაოსანში 40.2% აღწევენ, ცხადია, რომ ოთხმარცვლიანი სეგმენტების საწარმოებლად მათი დიდი რაოდენობაა გამოყენებული, რაც ინტუიციურ დონეზე ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ეს ორმარცვლედებია მაღალი შაირის ძირითადი მეტრიკული ერთეულები, „ტერფებს“ რომ ქმნიან. სინამდვილეში ჩვენ აქ საქმე გვაქვს რიტმული სიჭარბის მოვლენასთან, რაც „ტროქეული“ ტენდენციის შთაბეჭდილებას ქმნის. მაგრამ ეს ტენდენცია არ უნდა ავურიოთ ინვარიანტულ სიდიდეებთან, რასაც მაღალ შაირში ოთხმარცვლიანი სეგმენტი წარმოადგენს.

ვეფხისტყაოსნის ძირითად სტრუქტურულ ერთეულად ორმარცვლიანი ჰორეს მიჩნევა ზოგიერთი მკვლევარის მიერ სწორედ იმის შედეგია, რომ ძირითად, მუდმივ სტრუქტურულ ერთეულებს არ განასხვავებდნენ ტენდენციებისგან, რომლებიც ვარიაციებში იჩენს თავს. ეს ნაკლი, როგორც თავის დროზე R. Jakobson-ი აღნიშნავდა, ლექსთწყობის რიგ მკვლევარს ახასიათებდა.

ეს საკითხი, — ინვარიანტული, ძირითადი სიდიდეებისა და ვარიაციების გამომწვევი ტენდენციების ერთმანეთისაგან გამიჯვნის აუცილებლობისა — არ დასმულა ვეფხისტყაოსნის ლექსთწყობის მკვლევართათვის.

მიუხედავად ამისა, კ. დოდაშვილი, ს. გორგაძე და მთელი რიგი სხვა ავტორები, რომლებიც ვეფხისტყაოსანში ჰორეებს ხედავდნენ, გრძნობდნენ, მათთვის ბუნებრივი, მშობლიური ენობრივი ალღოს წყალობით, რომ მაღალი შაირის კარედები ოთხმარცვლიან ერთეულებად უნდა დაიყოს, და ამასთან დაკავშირებით შექმნეს თეორიები დიჰორეს, პეონისა და მისთ. შესახებ. ზოგიერთი მომდევნო ავტორი, რომელიც ამ ენობრივ ალღოსაც მოკლებული იყო, შეეცადა ეს ორმარცვლიანი „ჰორეები“ ძირითად სტრუქტურულ ერთეულებად გამოეცხადებინა და ამ „აღმოჩენით“ სულ დაბნელეს ვეფხისტყაოსნისა და საერთოდ ქართული ვერსიფიკაციის საკითხები.

თუ ჩვენ ორმარცვლედებს ტერფის მაწარმოებელ ერთეულებად („ორმარცვლიანი ტერფი“) მივიწნევდით, მაშინ ისეთს შემთხვევებში, როდესაც ნახევარკარედი შედგება 1-, 3-, 4-მარცვლიანი სიტყვებისაგან, მოგვიხდებოდა სიტყვების დაყოფა ნაწილებად და ერთისა და იმავე სიტყვის სხვადასხვა ნაწილის დაკავშირება სხვადასხვა სეგმენტთან. ეს კი, როგორც დავინახავთ, არსებითად ეწინააღმდეგება იმ პრინციპებს, რაზედაც რუსთველის ლექსის სტრუქტურაა აგებული.

ყველა, ვისთვისაც ქართული მშობლიურია, იგრძნობს, რომ მისი ენისათვის არაბუნებრივი და მიუღებელია მახვილების ასეთი განაწილება სიტყვებში:

სა́და|ვი́თა | ჰყვა́ ლომ|სა́ და (83,2)

ყმა́ აღ|გა́ და (145,3)

სა́ნს გა|ყრი́ლი (145,3)

ვი́თ დავრ|ჩე́, ვა (240,4)

ვი́თ იწ|ვი́ს და (760,2)

რვა́ ცხრა|სა́ და (1032,3)

მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე დასაშვებია ორმარცვლიან სიტყვებში* (ნა́ხეს, უ́ცხო, მო́ყმე ვი́ნმე და სხვ.), მაგრამ არა მოგონილ, ფიქტიურ „ტერფში“, რომელიც ოთხმარცვლიანი სეგმენტის ნაწილს წარმოადგენს და მხოლოდ იმ შემთხვევაში გვევლინება რიტმული სიჭარბის ერთეულად, თუ ორმარცვლიან სიტყვას ემთხვევა. ამის გაუთვალისწინებლად მივიღებთ მახვილის ისეთს განაწილებას, როგორიცაა: ადგა́, გაყრი́ლი, დავრჩე́. იწვის, ცხრა-სა́ და სხვ. ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ სიტყვებში მახვილის ასეთი განაწილება ქართული არ არის. საქმეს ვერ უშველის მტკიცება, რომ სავალდებულო არაა ტერფისა და სიტყვის მახვილი ემთხვეოდეს ერთმანეთს. ეს ცნობილია კლასიკური ბერძნულისათვის, მაგრამ ქართულში სულ სხვა ვითარებაა

ორმარცვლედის მიჩნევა მაღალი შაირის მაწარმოებელ ძირითად ტერფად იწვევს აუცილებლობას, რომ სიტყვები „ტერფებს“ შორის გავანაწილოთ სტრიქონში, ხოლო თუ ამას დავუშვებთ, მაშინ აზრი აღარ ექნება სტროფების დაყოფას მაღალ და დაბალ შაირად, რადგან შესაძლებლობა ჩნდება ნებისმიერი სტროფი წავიკითხოთ ან როგორც მაღალი შაირი, ან როგორც დაბალი შაირი. მაგ., შეგვიძლია დაბალი შაირის სტრიქონი წავიკითხოთ მაღალ შაირად: ხე́ლთა | ნა́ჭე|დი́ მათ|რა́ ხი | ჰქო́ნდა | უ́სხო|სი́ მკლა|ვი́სა!

მაშასადამე, ორმარცვლედები ოთხმარცვლიან სეგმენტში, რომლებიც ამკღავნებენ „ტროქეულ ტენდენციას“, არიან რიტმული სიჭარბის ხასიათისა და დამოუკიდებელ ერთეულებს არ ქმნიან, ისე როგორც ერთმარცვლედები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ რიტმულ ერთეულებს.

(8) ოთხმარცვლიან სეგმენტში შემავალი სამმარცვლიანი სიტყვების შემთხვევები უკვე ზემოთ გვქონდა განხილული. მათ მხოლოდ ერთმარცვლიან სიტყვებთან შეუძლიათ შექმნან სეგმენტი: 3 1 ან 1 3.

(9) ბუნებრივია, რომ ოთხმარცვლიანი სიტყვა ყველაზე მეტად არის შესაფერი ოთხმარცვლიანი სეგმენტისათვის. მართლაც, მაღალ შაირში ჩვენ დიდი რაოდენობა გვაქვს ოთხმარცვლიანი სიტყვებისა; ხშირია შემთხვევები, როდესაც სტრიქონის ოთხივე სეგმენტი ოთხმარცვლიანი სიტყვებისაგან შედგება, მაგ.,

4 4 4 4
იყიდიან, | გაჰყიდიან, || მოიგებენ, | წააგებენ; (1055,2)

4 4 4 4
უქონელნი | წელიწდამდის || საქონელსა | დაიდებენ. (1055,4)

4 4 4 4
მხიარულმან | უსალამა, || სიხარული | დაიჩინა; (1064,2)

---

* ამის შესახებ იხ. ქვეით, გვ. 38 შმდ.

4 4 4 4
გეაჯები, | საყვარელსა || შემახვეწვე, | შემაბრალე, (1276,3)
4 4 4 4
გაგიცხადა | დამალული || გონებაშან | დაფარულმან. (1282,4)
4 4 4 4
გვიშველეთო, | გვიშველეთო, || მეკობრეთა | ამოგვწყვიდნეს! (1364,3)
4 4 4 4
მუზარადი | მოიხადა, || გაიღიმნა, | გაიცინა; (1366,2) და სხვ.

ამ სიტყვების დანაწილება ორად, თითო სეგმენტისაგან ორ-ორი „ტერფის“ შესაქმნელად, გამოიწვევს მახვილების გადაწევას უადგილო ადგილას და მთელი მეტრიკული სტრუქტურის დამახინჯებას.

მაშასადამე, 1, 2, 3-მარცვლიანი სიტყვები ქმნიან ოთხმარცვლიანი სეგმენტის ფარგლებში რიტმულ ვარიაციებს, მაგრამ არა დამოუკიდებელ პროსოდიულ ერთეულებს, რაზედაც ლექსის სტრუქტურა არის დამყარებული. ეს ვარიაციები ერთგვარად რიტმული სიჭარბის ხასიათისა არიან და, მსგავსად ჰარმონიკებისა, გავლენას ახდენენ რიტმსა და ტემბრზე, მაგრამ არსებითად არ განსაზღვრავენ ლექსის სტრუქტურას, რომლისთვისაც მაღალ შაირში დამახასიათებელია ეკვივალენტური შეფარდება 4 : 4(=8) || 4 : 4(=8)=16.

1. 4. 3. 1 დაბალი შაირის სეგმენტები. დაბალ შაირში სეგმენტთა სტრუქტურა შედარებით რთულია, რადგან აქ მონაწილეობს ხუთმარცვლიანი სეგმენტიც, რომლის შედგენის მრავალი საშუალება არსებობს. გარდა ამისა 1, 2, 3 და 4-მარცვლიან სიტყვებს, რომლებიც მაღალ შაირში იყო გამოყენებული, აქ ემატება კიდევ ხუთმარცვლიანი სიტყვები.

განვიხილოთ სამმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი სეგმენტების სტრუქტურული თავისებურებანი.

სამმარცვლიანი სეგმენტის ოთხი სახეობა გვაქვს:

(1) სამი ერთმარცვლიანი სიტყვისაგან შედგენილი სამმარცვლიანი სეგმენტი: 1 1 1; მაგ.,

1 1 1 5 3 5
კვლა ნუ მიქმ | ერთგულობისა || გამტეხლად, | და-ცა-მლეწელად. (1470,4)
1 4 1 1 1 1 1 1 5
მან დაგარჩინნა; | მე რა ვარ? || მე, გლახ, რა | მომილხენია! (1043,3)
2 1 2 3 1 1 3 1 1 1
დავარ თქვა: | „მქმნელი ამისი || ვინ არ დამქოლოს, | ვინ არ და-! (574,2)
1 2 2 3 1 1 1 5
ხარ დიდი | მეფე ინდოთა, || რა ვით ვინ | მოგაწონოსა! (633,3)

(2) 1 და 2 მარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი სეგმენტი:

5 1 2 3 5
მიუყოლობა | არ ვარგა, || დამწამებს | უზრახობასა, (353,2)
2 3 3 1 2 5
თვალთა დავიდევ | უსტარი || შე მისგან | მონაწერია, (374,1)
2 1 2 2 1 1 2 5
ესე კმა ნიშნად, | სავსე ვარ || სხვად ხელის | შესაბამითა. (378,4)
2 3 3 1 2 5
რაცა დაგვედრო | საქმნელად, || ქმენ, არა | საზოზღნელია. (468,4)
1 2 2 3 1 2 1 4
კელა წყალსა ასხამს, | უშველის, || ხმა ისმის | მუნ წკანწკარისა (491,4)

(3) 2 და 1 მარცვლიანი სიტყვებისგან შედგენილი სეგმენტი:

3 2 3 2 1 5
პასუხად გაეცა: | „ჟამია, || მართალ ხარ | გაკვირვებასა; (357,3)

2 2 1 3 2 1 5
ვულსა ვარქვი, თუ: | „ლახვარნი || ეგე ვით | დაგაღონებენ? (358,1)

1 2 2 3 2 1 5
აწ მათნი ჯაერნი | ჩვენზედა || ჩვენგან არ | დასათმონია! (370,4)

3 2 3 2 1 5
მაშინღა შეევე | ხატაეთს || მოელად და | მოსათვალავად. (452,1)

3 2 3 2 1 5
მოეიდა კაცი | მეფისა, || ცისკრობს, არ | დანაღამია; (466,1)

(4) სამმარცვლიან სეგმენტში ჩვეულებრივია სამმარცვლიანი სიტყვა:

5 3 3 2 3
დაეეკაზმენით | საომრად || ჯაჭვითა, | ჯავშან-ჭაფითა, (434,2)

5 3 3 5
სატაეთისა | ხელმწიფე || მომყვანდა | შეპყრობილია. (458,1)

5 3 2 2 1 3
მოეინადირეთ | მინდორი, || ძირი მთისა და | გორისა; (470,1)

5 3 5 3
გახარებოდა | ხვარაზმშას || სიხარულითა | დიდითა; (508,2).

(5) სამმარცვლიან სეგმენტში ოთხმარცვლიანი სიტყვა არ გვხვდება, იმავე მიზეზის გამო, რომელიც ხუთმარცვლიან სიტყვას გამორიცხავს მაღალი შაირის სტროფებიდან: სიტყვისაგან ნაწილის გამოყოფა და სხვა სეგმენტისათვის მიკუთვნება არ შეიძლება. ეს ფაქტიც იძლევა კიდევ დამატებითს საბუთს სეგმენტთა შორის სიტყვების დანაწევრების წინააღმდეგ.

მით უმეტეს შეუძლებელია ხუთმარცვლიანი სიტყვის გამოყენება სამმარცვლიან სეგმენტში.

1. 4. 3. 2 ყველაზე მრავალფეროვან სურათს იძლევა ხუთმარცვლიანი სეგმენტი. ეს ბუნებრივია, რადგან 1, 2, 3, 4, 5-მარცვლიანი სიტყვებისაგან ხუთმარცვლედი სეგმენტის შექმნის 16 შესაძლებლობა არსებობს. აქედან უნდა გამოირიცხოს შემთხვევები ხუთმარცვლიანი სეგმენტის შედგენისა ხუთი თითომარცვლიანი სიტყვისაგან. პრინციპში ეს შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად მთელი ტექსტის მანძილზე ასეთი შემთხვევა არ გვხვდება*.

(1) ხუთმარცვლიანი სიტყვების შესახებ ზევით გვქონდა საუბარი. ყველა 1543 ხუთმარცვლიანი სიტყვა, რომელიც ვეფხისტყაოსანში არის დადასტურებული, მხოლოდ დაბალ შაირშია გამოყენებული ხუთმარცვლიანი სეგმენტის საწარმოებლად.

აქ აღსანიშნავია მხოლოდ ერთი გარემოება. ხუთმარცვლიანი სეგმენტის შემცველ ნახევარკარედში არ შეიძლება გვქონდეს მიმართება 2 (ან მისი ეკვივალენტი 1 1) 5 1 ან 1 5 2 (ან მისი ეკვივალენტი 1 1), 2 4 2 და მისთ. იმავე მიზეზების გამო, რომელიც მაღალ შაირში გამორიცხავს თანმიმდევრობას 2 4 2 ან 2 3 3, 3 3 2, 3 2 3 და მისთ. რადგანაც ორმაცვლიანი სეგმენტი არც

* მაღალ შაირში არის შემთხვევა ხუთი ერთმარცვლიანი სიტყვის ერთმანეთზე მიჯრით ხმარებისა 1 1 1 1 1 (1178.4), მაგრამ აქედან ერთი—მომდევნო სეგმენტს ეკუთვნის, ისე რომ სინამდვილეში იქ ოთხმარცვლიანი სეგმენტი გვაქვს.

დაბალ შაირში არსებობს, ხოლო სიტყვა არ შეიძლება ორ ან სამ სეგმენტს შორის განაწილდეს, ამიტომ დასაწყისი ან ბოლოკიდური ორმარცვლიანი სეგმენტისაგან შეუძლებელია სამმარცვლიანი სეგმენტის მიღება მომდევნო ან წინამავალი სიტყვისაგან ერთი მარცვლის მიმატებით. ამიტომ 1547 შემთხვევიდან არა გვაქვს არც ერთი მაგალითი 2 5 1 ან 1 5 2 თანმიმდევრობისა. აქედან ცხადია, რომ „ქორეული ტერფი" სრულებით უცხოა დაბალი შაირისთვისაც.

(2) ოთხმარცვლიანი სიტყვა მხოლოდ ორ შესაძლებლობას იძლევა ხუთმარცვლიანი სეგმენტის საწარმოებლად: 1+4, ან 4+1. ამიტომ ზუსტად შეგვიძლია დავადგინოთ: თუ დაბალ შაირში ოთხმარცვლიანი სიტყვა გვხვდება, მას ან წინ უნდა მიუძღოდეს ერთმარცვლიანი სიტყვა, ან ბოლოს მისდევდეს. ამისდა მიხედვით გვაქვს:

(3) 1 და 4 მარცვლიანი სიტყვები ხუთმარცვლიანი სეგმენტის საწარმოებლად.

1 4 3 3 2 3
არ დამეხსნები, | გაგიხდი || ქალაქსა | ვითა ტრამასა!» (537,4)
1 4 3 1 2 5
ღღედ სიკვდილამდის | სიცოცხლე || შენ ჩემი | დაგემონებისა», (602,4)
1 4 2 1 3 5
კვლა მოახსენა: | „რამცა სცან || სიტყვითა ესოდენითა, (746,2)
1 4 3 5 3
სჯობს უყოლობა | კაცისა || მომდურაეისა | ყოლასა. (759,4)
1 4 3 1 2 2 3
რა უარეა | მამაცსა || სულ-დიდსა, | წასლვა-გვიანსა! (789,4)
1 4 3 3 5
სჯობს სახელისა | მოხვეჭა || ყოველსა | მოსახვეჭელსა! (790,4)

ისეთი შემთხვევები, როდესაც დაბალ შაირში ოთხმარცვლიან სიტყვას წინ ორმარცვლიანი სიტყვა მიუძღვის (მაგ., სტროფი 472,4: შევხედენ, დავჰკრთი ელვასა ღაწვთა მზეებრ ნათელთასა) მხოლოდ იშვიათი გამონაკლისის სახით გვხვდება. ეს წყობა მაღალი შაირისაა და ლექსის სტრუქტურა აქ დარღვეულია[52 a]

(4) საკმაოდ ხშირია 4- და 1-მარცვლიანი სიტყვების გამოყენება ხუთმარცვლიანი სეგმენტების საწარმოებლად.

4 1 3 3 5
სუფევითმცა ხარ | თავითა, || მტერთაგან | საკრძალველითა!» (798,4)
4 1 3 3 2 3
მოეხვია და | ატირდა || ცრემლითა | სისხლთა ფერითა. (799,4)
4 1 3 1 4 3
გვეუცხოვე და | გვეკეთე, || მით გეუბნებით | ქებითა; (958,2)
4 1 3 2 3 3
მოელენილო და | მორჭმულო, || მტერთა სისხლისა | მჩქეფეო! (1305,3)

ხუთმარცვლიანი სეგმენტის მაწარმოებელ 1 და 4 (ან 4 და 1) მარცვლიან სიტყვებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თუ ნახევარი კარედის დასაწყისში გვაქვს თანმიმდევრობა 1 4 ან ნახევარი კარედის ბოლოში — 4, 1, ნახევარი კარედი აუცილებლად დაბალი შაირის იქნება: 1+4(=5) 3 ან 3 4+1(=5); მაგრამ თუ ნახევარი კარედის დასაწყისში გვაქვს 4 1, ხოლო ბო-

ლოში 1 4, ჩვენ არ შეგვიძლია ნახევარი კარედის (ხოლო თუ ეს მეორე ნახევარკარედშიც მეორდება — მაშინ მთელი სტრიქონის) ფარგლებში განვსაზღვრით ნახევარი კარედი ან სტრიქონი დაბალი ზაირისაა (4+1 3 ან 3+1 4), თუ მაღლისა (4 1+3 ან 3+1 4). ამისთვის საჭიროა გავითვალისწინოთ სხვა სტრიქონები, აგრეთვე რითმა, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

(5) ორი ერთმარცვლედისა და ერთი სამმარცვლედისაგან ნაწარმოები ხუთმარცვლიანი სეგმენტი.

1 2 2 3 1 1 3 3
ნუ სჭმუნავთ ჩემთვის | მეფენი, || ნუ ხართ მოსილნი | ბნელითა, (798,3)
1 1 3 3 5 3
შენ ხარ მომცემი | მიჯნურთა || მიჯნურობისა | სენისა, (829,2)
1 1 3 3 5 3
შენ გაქეს წამალი | მისისა || მოთმინებისა | თმენისა, (829,3)
1 1 3 3 1 1 3 3
ვინ არ ყოფილა | მიჯნური, || ვის არ სახმილნი | სდებიან? (867,1)
2 1 2 1 2 1 1 3 3
ასრე არ სჯობდეს, | არ გეტყვი, || რად მეჭვ რასაცა | თნებასა. (870,4)

(6) ერთი ერთმარცვლიანი, ერთი სამმარცვლიანი და ერთი ერთმარცვლიანი სიტყვისაგან შედგენილი ხუთმარცვლიანი სეგმენტი.

1 3 1 2 1 5 3
ქვად ფაზარი სხდა, | კუბო დგა || იაგუნდისა, | ლალისა, (322,2)
1 3 1 1 2 2 3 3
შენ მიშველე რა | ტყვე-ქმნილსა, || ჯაჭვნი მაბიან, || რკინანი! (827,2)
1 3 1 3 1 4 3
შენ უმართლე ხარ, | ემდურვი, || შენ გაეყარე | ძმობილსა, (839,1)
1 2 2 3 1 3 1 3
თუ მკვდარი მნახოს, | დამმარხოს, || თქვას ვაგლახი და | უები, (842,3)
5 3 1 3 1 3
გამცუდებელად | თავისად, || მის გულისა და | ძალისად. (1252,4)

(7) ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი ხუთმარცვლიანი სეგმენტი:

1 4 3 2 3 3
ქვე დაუწინდავს | საცოლედ || როსან ცოტასა | ყმისადა. (1227,4)
2 3 3 2 3 3
ამოდ მმსახურეს, | თქვენიმცა || გული ამათთვის | სრულია! (1310,2)
2 3 2 1 2 3 3
მსგავსი ყველაი | მსგავსსა შობს, || ესე ბრძენთაგან | თქმულია". (1310,4)
3 2 3 2 3 3
ტარიელ | მადლსა გარდიხდის || ტურფა სიტყვითა, | ენითა:
2 3 3 2 3 3
დიდად ვიამე, | მეფეო, || პირველ, ნახვითა | თქვენითა,
2 3 3 2 3 3
მერმე, აგვავსენ | მრავლითა || ტურფა ფერითა | ძღვენითა,
2 3 3 1 2 2 3
ვიცი, შორი-შორ | არ-ჩაველა || ჩვენ თქვენი კარგად ექმენითა". (1427,1-4)

როგორც ვხედავთ, სტროფის რვა ხუთმარცვლიანი სეგმენტიდან შვიდი ნაწარმოებია ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი სიტყვების საშუალებით:

3 2 3 2 3 3
2 3 3 2 3 3
2 3 3 2 3 3
2 3 3 1 2 2 3

ამგვარად შედგენილი ხუთმარცვლიანი სეგმენტები მრავლად მოიპოვება.

უფრო ძნელია მოინახოს მაგალითები, როდესაც სეგმენტი შედგენილია ერთი სამმარცვლიანი და ორი ერთმარცვლიანი სიტყვისაგან. ეს საკმაოდ ბუნებრივია, რადგან თანმიმდევრობა 3 2 3 ან 3 1 1 3 ქმნის სპეციფიკურ ვითარებას, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, ხოლო საწინააღმდეგო თანმიმდევრობა (3 3 2 ან 3 3 1 1) სამმარცვლიანი რითმის მქონე დაბალ შაირში არც თუ სავსებით შესაფერია. წყვილმარცვლიანი ან ორი ერთმარცვლიანი სიტყვა სეგმენტის ბოლოს უპირატესად მაღალი შაირის პრივილეგიაა, განპირობებული რითმისაგან. შდრ. მაგ., სტროფები:

2 2 1 3 4 2 1 1
მაგრა ჩემსა | რა გიამბობს, || გამოჭრილვარ | ასრე თუ რად! (297,3)
2 2 2 2 2 2 1 1
მისგან ეჭვი | არა მქონდა, || სევდად მაწვა | გულსა მით ხე. (352,4)
4 4 4 2 1 1
დედოფალი | წამოვიდა, || შეეყარა | მწუხრსა დღე რა. (481,3)
2 2 2 2 4 2 1 1
ვისგან მოვკვდე, | ვისთვის მოვკვდე, || მიიხვედროს | იგი ვერ მან. (569,4)
4 2 2 1 3 2 1 1
გამიცადა, | ღმერთსა ჰკადრა: || „შენ ასეთსი | ხენი ვით ხენ!“ (582,1)
2 2 4 4 2 1 1
მეცა თანა | წამოგყვები, || დაიხოცნენ | იგი მუნ, და-! (601,3)
2 2 4 2 2 2 1 1
ნავი წინა | მომეგება, || არა ვიცი, | იყო თუ რვა. (606,2)
4 4 1 3 2 1 1
დავაპირე | შეტევება, || ვთქვი: „წავიდე | მათკე მე, წა-, (619,3)
3 1 2 2 2 2 2 1 1
მონათა და | ამა ასმათს || სიტყვა ვუთხარ | შვიდი თუ რვა: (642,3)
2 2 4 2 2 2 1 1
ყმამან ჰკადრა: | «სიახლითა || შევრთე ჭირი | შვიდსა მე რვა, (698,1)
2 2 1 3 2 2 2 1 1
აგრე შმაგი | არ ვაზირად, || არად ვარგხარ | არცა სხვად რად! (748,4)
1 3 2 2 1 3 2 1 1
ვით მიამბე | წასლვა მისი, || ვინ ალვისა | მორჩი ხე წნა!“ (751,3)
2 2 4 4 2 1 1
ჩემსა მზესა | დავეთხოვე, || გავუშვივარ, | დავდგე მე რად! (777,3)
2 2 4 2 2 2 1 1
დაო, მეტსა | საუბარსა || აღარ მომცემს | ჟამი და დრო, (849,1)
2 2 1 3 1 3 2 1 1
ანუ დავხოც | იმ ყველასა, || ან სიკვდილი | ჩემი დღეს-ა. (1026,4)
1 1 2 4 1 3 2 1 1
სვეს და ჭამეს, | დასაწოლად || ყმა გავიდა | ღამით გარ, გა-. (1066,4)

1 3 1 2 1 2 2 2 1 1
აწ უმისოდ | ვით ცოცხალ ვარ, || ჰაი ჩემთვის, | ვაგლახ მე, ვა! (1133,4)
2 2 4 4 2 1 1
ფრიდონ უთხრა: | „შემიგნია, || გამიგია, | ვიცი მე რა. (1392,1)
4 4 1 3 2 1 1
ტარიელსცა | უსალამეს, || მას ალვისა | შორჩსა ვით ხეს, (1410,1).

ასეთი მაგალითები დაბალ შაირში არ გვხვდება, თუმცა, გამონაკლისის სახით არის შემთხვევები, როდესაც ორი თითომარცვლიანი სიტყვა შეიძლება განვიხილოთ წინამავალ სამმარცვლიან სიტყვასთან ერთად როგორც სეგმენტის დაბოლოება ან მომდევნო სეგმენტის დასაწყისი. მაგ., 1092 სტროფის მე-2 სტრიქონი შეიძლება წავიკითხოთ ამგვარად:

3 1 1 1 2 2 1 2 3
უბრძანა: „რა გჭირს, | რას იტყვი || რასთვის ხარ | აგრე ვებული?

ან კიდევ:

3 1 1 1 2 2 1 2 3
უბრძანა: | „რა გჭირს, რას იტყვი, || რასთვის ხარ | აგრე ვებული?

(8) ასევე იშვიათია ერთი სამმარცვლიანი და ერთი ორმარცვლიანი სიტყვებისაგან ხუთმარცვლიანი სეგმენტის შედგენის შემთხვევები, თუმცა გვაქვს ასეთი თანმიმდევრობის რამდენიმე ამკარად გამოხატული მაგალითი:

3 2 3 2 3 3
ამარტის ფერად | შეცვალა || ბროლი ცრემლისა | ბანამან. (263,1)
3 2 3 3 2 3
სიკვდილი მახლავს, | დამეხსენ, || ხანსაღა დავჰყოფ | მცირასა; (874,2)

უფრო ნათლადაა გამოხატული ხუთმარცვლიან სეგმენტში შემავალ სიტყვათა ასეთი თანმიმდევრობა შემდეგ სტროფებში:

2 1 2 3 2 1 3 2
ჩემმან ხელ-მქმნელმან | დამმართოს || ლაღმან და | ლამაზმა ნები. (9,4)
1 2 2 1 2 2 1 3 2
თქვეს: „ბნელი გემართებს | დღე-კრულთა, || რათგან მზე | მიგვიდრკა ცისა!“ (816,4)
2 1 2 3 1 2 3 2
იტყვის: „რა წახვე, | გაიჭრა, || ქვაბს ყოფა | მისჭირდა ვითა; (834,3)
3 2 3 3 3 2
ამბაჟი ჩემი | სალხინო || მითხრაო | ვისმანღა დამან!“ (1232,4)
2 1 2 3 2 1 3 2
იტყვის, თუ: | „მნახეთ, მიჯნურნო, || იგი, ვინ | ვარდია ვისად, (1241,3)

უმეტეს შემთხვევაში კი ორ სამმარცვლიან სიტყვას შორის მოქცეული ორი მარცვალი, იქნება ეს ერთი სიტყვით წარმოდგენილი თუ ორით, შეიძლება ან წინამავალ სიტყვასთან ქმნიდეს ხუთმარცვლიან სეგმენტს, ან მომდევნოსთან ერთად.

ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი სიტყვებისაგან ხუთმარცვლიანი სეგმენტის შესადგენად თეორიულად 7 შესაძლებლობა არსებობს: 2+2+1

2+1+2; 1+2+2; 1+2+1+1; 1+1+1+2; 2+1+1+1; 1+1+2+1.

ყველა ეს შესაძლებლობა იშვიათად, მაგრამ მაინც გამოყენებულია ვეფხისტყაოსანში.

(1). 2+2+1.

2 3 3 2 2 1 1 1 1
ჰგვანდეს შვიდთაექ | მნათობთა, || სხვადმცა რისად ვთქეი | მე და რად! (278,4)
1 4 3 2 2 1 3
მას გაექცევი, | ვისგანცა || ჩემი არა ვცნა | ამება; (292,2)
2 2 1 2 1 3 2 3
ტანად სარო და | პირად მზე, || მამაცად | მსგავსი გმირისა, (293,2)
2 2 1 3 2 3 3
რათგან ეგე ჰქმენ | მეფემან, || ჩემებრ ენდოეთს | მპყრობელმან, (310,3)
2 2 1 3 2 1 5
ჩვენნო ძმანო და | პატრონნო, || თქვენვან არ | გაეიმწარებით; (381,1)

(2). 2+1+2.

1 4 3 2 1 2 1 2
თქვის: „საყვარელო, | მოგშორდი, || გული შენ დაგრჩა, | ვთქვა ვისად? (179,3)
2 1 2 1 2 1 2 5
ჰმუნეით თქვეს: | „მკლავნი ცუდ ქმნილან, || ვა, გმირთა | მემუქარენი!“
(338,4)

1 1 1 2 3 2 1 2 1 2
ვთქვი, თუ: ‹რა იცის | ამბავი, || ნეტარ, ან იმან, | ან ამან?» (351,4)
2 1 2 1 2 2 1 5
ჩემი რა გითხრა, | რა ვიყავ, || ლხინი რა | დამეთვალეოდა! (373,2)
2 1 2 2 1 1 2 5
‹ესე კმა ნიშნად, | საესე ვარ || სხვად ხელის შესაბამითა», (378,4)
1 1 1 2 1 2 3 2 1 2
‹მზე თუ არ ენახო, | არ ეიცი, || ვიარო | ვითა და ვითა!» (397,4)

(3) 1+2+2.

ასეთი შემთხვევები ცოტაა იმ მიზეზების გამო, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, მაგრამ მაინც გვხვდება შემთხვევა, სადაც ერთმარცვლიან და ორ ორმარცვლიან სიტყვათა თანმიმდეეროზა ეჭვს არ იწვევს.

1 2 2 3 3 5
ეა, კარგი თავი | უებრო || დავკარგე | დავაშავითა!» (754,4)
1 2 2 3 3 5
მე იმა ყმისა | საძებრად || მოვშორდი | საგაზრდილოსა, (209,2)

(4). 1+1+2+1.

1 1 2 1 3 2 1 2 3
„თუ არ შმაგი ხარ, | დამეხსენ; || შმაგი ხარ, | მოდი ცნობასა! (231,2)
3 2 3 1 1 2 1 2 1
ასმათის მონა | შემოდგა, || მე ვჯე ლაღი და | ჯანი სად, (510,2)
1 1 2 1 1 2 3 5
ვთქვი, თუ: „არცა რა | მე ვიცი || ამისი | ხორციელობა, (1144,1)

(5). 2+1+1+1.

2 1 1 1 1 2 3 2 3
ამას თუ ღირს ვარ, | ვერ ვიტყვი, || მაკლია | ღმრთისა წყალობა». (367,4)
2 1 2 3 2 1 1 1 3
უთხრა: „არ გიშლი, | დიაცო, || ფერთა მი და მო | კრთოლასა, (1088,3)
3 2 3 2 1 1 1 3
უჩვენებს, ეტყვის: | „ხედოო || ბანსა ზე და ქვე | მდგომელსა? (1101,3)

(6). 1+1+1+2.

1 1 1 2 1 2 2 1 5
თქვენ თუ არ მოხვალთ, | ჩვენ მოვალთ, || ზედა არ | მოგეპარებით. (381,3)
1 1 1 2 2 1 1 2 1 4
თუ რას სცნობ ჩემთვის, | არა ვეჭვ || მე შენგან, | არ, დანამალსაო». (391,4)
1 1 1 2 1 2 2 1 2 3
„რა სთქვი, რას იტყვი, | არ მესმის, || არცა მცალს | სმენად ამისად, (875,1)
1 1 1 2 3 1 1 3 3
აწ მე მუნ მივალ, | მასწავლე || გზა ძმად-ფიცისა | შენისა“. (935,4)

(7). 1+2+1+1.

ასეთი თანმიმდევრობა ძალიან იშვიათია. მხოლოდ ორიოდე შემთხვევა თუ იქნება, რომ ერთმარცვლიანი სიტყვის შემდეგ გვქონდეს ერთი ორმარცვლიანი და შემდეგ ორი თითომარცვლიანი სიტყვა ხუთმარცვლიან სეგმენტში.

1 2 1 1 3 2 3 3
მე გარე ვდეგ და | მეფემან || შეელო ფარდაგი | კარისა; (336,2)
1 2 1 1 3 1 2 5
«არც რამე ჩვენ ვართ | ჯაბანნი, || არც ციხე- | უმაგრონია, (393,3)
2 1 2 3 1 2 1 1 3
„ზედა ჯდა | შაესა ტაიჭსა, || აწ ესე მე მითქს | რომელი, (586,1)

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მუდმივი პროსოდიული სიდიდეები არიან: A. მაღალ შაირში — ოთხმარცვლიანი სეგმენტები; B. დაბალ შაირში — სამმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი სეგმენტები[53]. ეს სიდიდეები ყოველთვის უცვლელნი არიან და მკაცრად ექვემდებარებიან ეკვივალენტური სიმეტრიის ან ღეთაებრივი პროპორციის კანონებს. მათ შესადგენად შეიძლება გამოყენებული იქნეს სიტყვათა ყოველგვარი კომბინაცია, იმ პირობით, თუ სიტყვათა საზღვრები სეგმენტის საზღვარს არ გასცდება. ისეთი მიმართება, რომელიც ამ პირობას დაარღვევს, დაუშვებელია. ამიტომ მაღალ შაირში გამორიცხულია მიმართებანი 2 4 2, 2 3 3, 3 3 2, 2 5 1; 1 5 2 და მათი ეკვივალენტები, ხოლო დაბალ შაირში — 2 4 2, 2 5 1, 1 5 2 და სხვ. როგორც ვხედავთ, ვეფხისტყაოსნის ტექსტში გარკვეული მიმართებანი საერთოდ დაუშვებელია, რადგან ისინი არც ოთხმარცვლიანი სეგმენტის შედგენის საშუალებას იძლევიან და არც სამ- და ხუთმარცვლიანი სეგმენტების შესადგენად გამოდგებიან.

სეგმენტის ფარგლებში სიტყვათა მრავალგვარი კომბინაციაა შესაძლებელი. ეს მრავალგვარობა მთელ რიგ სხვა ფაქტორებთან ერთად, რომლების შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, ქმნის მრავალფეროვან რიტმულ ვარიაციებს შემთხვევიდან შემთხვევამდე, მოცემული რიტმის ფარგლებში, იმისდა მიხედვით, თუ როგორი სტრუქტურისაა სეგმენტი.

1.5.1 **ექვსმარცვლიანი და შვიდმარცვლიანი სიტყვები.** როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვეფხისტყაოსნის ტექსტში გვხვდება აგრეთვე რამდენიმე ექვსმარცვლიანი და ერთი შვიდმარცვლიანი სიტყვა. ეს სიტყვებია:

A. მაღალ შაირში:

(1) გაუუმეცარდა.

2 1 1 2 2 2 6
იგი ტირს და | არა ესმის || მისგან, გაუუმეცარდა. (86,4)

(2). გაიმამაცურნა.

1 3 4 2 6
ხრმალ-კაპარჭი | მოიმაგრა, || მკლავნი გაიმამაცურნა, (92,2)

(3). გაითავისწინა.

4 4 2 6
მონებიცა | მოიშორეა, || თავი გაითავისწინა, (169,2)

(4). გაათანისთანე.

2 2 4 2 6
მკვდარი მნახო, | დამიტირე, || სულთქმა გაათანისთანე, (302,3)

(5). გამოიმართალე.

1 3 4 2 6
აწ ეგრეცა | შეპყრობილმან || თავი გამოიმართალე, (449,2)

(6). ჩავაკარაბაკე.

2 2 4 2 6
„კარვის კალთა | ჩახლათული || ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე, (551,1)

(7). გაიდარბაზესა.

1 3 2 2 2 6
სახლ-საყოფი | არა მართებს, || ცამცა გაიდარბაზესა! (676,4)

B. დანარჩენი ექვსმარცვლიანი სიტყვები ყველა დაბალ შაირში გვხვდება:

(8). სასაუბნაროსა.

3 2 3 2 6
უბრძანა: | „გკითხავ საქმესა, || ერთგან სასაუბნაროსა: (35,1)

(9) დანაბეჭდულევი.

(10) ნაუფლისწულევი.

3 2 3 2 6
უბრძანა: | „ჩემი საჭურჭლე, || შენგან დანაბეჭდულევი,
3 2 3 2 6
მომართვი | ჩემი ყეელაი, || ჩემი ნაუფლისწულევი“. (52,2,3)

(11). სიამაყენია.

5 2 1 2 6
გასცუდებოდეს | მკლავნი და || მისნი სიამაყენია, (190,3)

(12). სახარავჯონია.

3 2 3 2 6
ხატაეთს | მყოფნი ყოველნი || ჩვენნი სახარავჯონია, (370,3)

(13). ავალაღებინე.

2 3 3 2 6
ერთობ საესენი | მოვიდეს, || თავი ავალაღებინე, (448,2)

(14). მესაზაროების.

(15). მესაღამოების.

1 2 2 2 1 2 6
„მე ფრიდონს ვუთხარ: | «ესე დღე || ვითა მესაზაროების,
3 2 2 1 2 6
უშენოდ მყოფსა | ღამე და || დღეცა მესაღამოების, (635,1,3)

(16). იანაზდენითა.

2 1 2 3 2 6
მართალ ხართ, | თუმცა რისხვანი || ჩემთვის იანაზდენითა“. (746,4)

(17). ნაგუშინდელევი.

1 4 3 2 6
კვლა მოახსენა | ვაზირმან || სიტყვა ნაგუშინდელევი, (807,1)

(18). მულღაზანზარისა.

1 2 2 3 2 6
მან უთხრა: | „ფრიდონ ხელმწიფე, || მეფე მულღაზანზარისა, (966,3)

(19). გამესისხლებია.

2 3 3 2 6
„ქვაბნი წაუხმან | დევთათვის, || სრულად გამესისხლებია; (986,1)

(20). გასამსალებისა.

1 1 3 3 2 6
შენ ხარ მიზეზი | სოფლისა || ასრე გასამსალებისა“. (1014,4)

(21). გახელოვნებულნი.

2 3 3 2 6
კაცნი გრძნებისა | მცოდნენი, || ზედა გახელოვნებულნი, (1235,2)

(22). მულღაზანზარია.

3 2 3 2 6
მივიდეს, სადა | ქალაქი || დიდი მულღაზანზარია; (1446,1)

(23). დასაღრეჯილოსა

3 2 2 1 2 6
ღმერთიმცა ნურას ნუღარ იქმს || თქვენსა დასაღრეჯილოსა! (209,4)

დასასრულ არის ერთი შვიდმარცვლიანი სიტყვა:

(24). გამაბელზებელითა.

2 3 3 1 7
მუყრნი მოასხნეს, | სენითა || მთქვეს გამაბელზებელითა. (342,4)

1,5,2 როგორც ვხედავთ, 41.990 ერთეულიდან მხოლოდ 24 სიტყვა სცილდება სეგმენტის (25.392 სეგმენტი) ფარგლებს. ეს იმდენად უმნიშვნელო პროცენტია, რომ შეიძლებოდა მხედველობაში არც კი მიგვეღო, მაგრამ საყურადღებოა, რომ ამ გამონაკლისშიც შეიმჩნევა გარკვეული კანონზომიერება.. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ოცდაოთხივე სიტყვა სტრიქონის ბოლოს არის მოთავსებული და გამოყენებულია რითმის საწარმოებლად. ეს რითმებია: (1) არდა; (2) ურნა; (3) იწა; (4) ანე; (5) ალე; (6) აკე; (7) ზესა; (8) ნაროსა; (9), (10) ულევი; (11) ყენია; (12) ონია; (13) ღებინე; (14), (15) ოების; (16) დენითა; (17) ელევი; (18) არისა; (19) ხლებია; (20) სამსალებისა; (21) ებულნი; (22) ზარია; (23) ილოსა; (24) ბელითა. როგორც ჩანს, მეტრიკულ-პროსოდიული სტატუტი სიტყვისა, რომელიც რითმას აწარმოებს, გარკვეული მხრივ განსხვავდება მისი ქცევისაგან სტრიქონის სხვა სეგმენტებში და შეიძლება ეს გარემოება ერთგვარად ხელს უწყობდეს ასეთი სიტყვების მოთმენას ხსენებულ სტროფებში. აქ შეიძლება გარკვეულ როლს თამაშობდეს აგრეთვე რითმა და მიჯნის ფაქტორი, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. მიუხედავად ამისა, ტექსტის კითხვისას აშკარად იგრძნობა, რომ სტრიქონი „ხატაეთს მყოფნი ყოველნი ჩვენნი სახარაჯონია“ და მისთანანი ვეფხისტყაოსნის სრულყოფილი სიმეტრიული სტრუქტურის მქონე

ლექსის დონეზე არა დგას, ამიტომ, თუ გამოვრიცხავთ მერმინდელ დამახინჯებებს, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ მაგალითებში ჩვენ გვაქვს ნიმუში, როდესაც ნახევარკარედი სეგმენტებად არ არის დაყოფილი, არამედ წარმოადგენს ერთ მთლიან სეგმენტს, ე. ი. რუდიმენტალურად ასახულია მეტრიკული სისტემის განვითარების წინა საფეხური, რომელიც ვეფხისტყაოსნის რთული მეტრიკული სისტემის ჩამოყალიბებას უძღოდა წინ. ეპიკური ხასიათის პოეტური ნაწარმოების თხრობისას, მისი ჩამოყალიბების პროცესში, კარედის ასეთი სტრუქტურა, საფიქრებელია, პირველადი უნდა ყოფილიყო. ამ მსრივ დამახასიათებელია, რომ ეს ექვსმარცვლიანი სიტყვები განურჩევლად გვხვდება როგორც მაღალ შაირში (7 შემთხვევა), ისე დაბალ შაირში (16 შემთხვევა), ისე რომ განსხვავება მაღალ შაირსა და დაბალ შაირს შორის ამ შემთხვევებში არსებითად აღარ არსებობს.

აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ იტალიურ სილაბურ ლექსთწყობაში და ფრანგული ალექსანდრიული ლექსის კლასიკურ ნიმუშებში სეგმენტებად დაყოფა ნახევარკარედისა სრულებით არაა სავალდებულო.

1. 5. 3 დასასრულ უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი გამონაკლისი. მაგ., მეჩვიდმეტე სტროფის პირველი სტრიქონის პირველ ნახევარში ვხვდებით:

3 2 2 1 4 4
მესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერელად,

პირველ ნახევარკარედში სიტყვები ისეა განაწილებული, როგორც ეს დაბალ შაირს შეეფერება (3 2 2 1), მიუხედავად იმისა, რომ სტროფი მთლიანად მაღალ შაირთა რიგს ეკუთვნის. ეს, ვფიქრობ, ან შემთხვევითია, ან შეიძლება სიტყვებია გადასმული. და იქნებ მართალი იყო ნ. მარი, როდესაც

1 3 2 2
სიტყვების სხვაგვარ განლაგებას გვთავაზობდა: **არს მესამე ლექსი კარგი,** როგორც მაღალ შაირს შეეფერება.

1. 6. 1 გარდა ამისა ვეფხისტყაოსანში არის ერთი ოცმარცვლიანი სტროფი, 752:

2 3 2 3 2 2 1 2 3
შეკრა წითელი | ასი ათასი || პირად მზემან და | ტანად სარომან,
3 2 2 3 2 3 5
სამასი თავი | სტავრა-ატლასი || უხვმან, ნიადაგ | მიუმცთარომან,
3 2 1 4 2 1 2 5
სამოცი თვალი | ლალ-იაგუნდი || ფერად მართ ვითა | მიუმხვდარომან.
2 3 5 2 3 2 2 1
კაცი გაგზავნა | ვაზირისასა, || ესე ყველაი | მისთვის არო მან.

ჩახრუხაულის ზომით დაწერილი ეს სტროფიც აგებულია დიქოტომიურ პრინციპზე. კარედი შედგება ოცი მარცვლისაგან და იყოფა ორ ნახევარკარედად ათ-ათი მარცვლით თითოეულ ნახევარში. ნახევარკარედი თავის მხრივ სიმეტრიულად არის გაყოფილი ორ სეგმენტად, თითოეული ხუთი მარცვლით. ხუთმარცვლიან სეგმენტში ზოგჯერ თავს იჩენს მეტრიკული სიჭარბის მოვლენა, რის გამო იგი შეიძლება ორ ასიმეტრიულ ნაწილად გაიყოს, რაც მეტ-

2 3 2 3
რიკულ სტრუქტურაზე გავლენას არ ახდენს (**შეკრა | წითელი, || ასი | ათასი** და სხვ.); არის შემთხვევები ხუთმარცვლიანი სეგმენტის შედგენისა 1 4 და 2 2

და 1 მარცლიანი სიტყვებისაგან, როგორც ამას დაბალ შაირში აქვს ადგილი. რითმა დაბალი შაირისაა, ე. ი. კენტ- (სამ-) მარცლიანი, კარედში გამოყენებული კენტ- (ხუთ-) მარცლიანი სეგმენტების შესაბამისად (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

ამგვარად, პრინციპი, რაზედაც ოცმარცლიანი სტროფის სეგმენტებია აგებული, ზუსტად იგივეა, რაც თექვსმეტმარცლიანი კატრენების ხუთმარცლიანი პროსოდიული ერთეულებისათვის. ისეთივეა რითმაც, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

1. 7. 1 ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ყველა შესაძლებელი ვარიანტი სეგმენტების საწარმოებლად, რომელიც ვეფხისტყაოსნის ტექსტში გვხვდება. ჩვენ დავინახეთ სიტყვათა მარცლობრივი დისტრიბუციის სხვადასხვა სახეობანი სხვადასხვა სილაბური სიგრძის სეგმენტის საწარმოებლად. ამ ანალიზიდან, აგრეთვე ქვემოთ გამოქვეყნებული ცხრილებიდან კარგად ჩანს, რომ ზოგიერთი კომბინაცია გარკვეული სილაბური სიგრძის სიტყვებისა ძალიან ხშირია და ზოგიერთ ვითარებაში პრეფერენციალურია (მაგ. 4 ,2 2 მაღალ შაირში, 5 3 ან 3 5, 2 3 3, 3 2 3 დაბალ შაირში და სხვ.), ზოგი მიმართება დასაშვებია, მაგრამ იშვიათია, ზოგიერთი მიმართება მხოლოდ მეტად შეზღუდულ ვითარებაში გვხვდება, ხოლო ზოგიერთი მიმართება საეჭვოდ აკრძალულია (მაგ., 2 4 2, 3 3 2, 2 3 3 და სხვ. მაღალ შაირში; 4 4, 2 2 2 2, 4 2 2 და სხვ. დაბალ შაირში).

მაშასადამე გვაქვს მიმართებები:

1. დასაშვები, რომელიც თავის მხრივ ორგვარია:

A. უპირატესი ან პრეფერენციალური;

B. იშვიათი ან რაიმე მხრით შეზღუდული;

C. შეიძლება კიდევ იყოს მიმართება, რომელიც დასაშვებია, შესაძლებელი, მაგრამ პრაქტიკულად არხმარებული, არარეალიზებული.

2. აკრძალული. აქ შედის ზემოთ აღნიშნული მიმართებები, რომლებიც არც გვხვდება და არც შეიძლება შეგვხვდეს, რადგან ეს გამოიწვევდა მეტრის ან რიტმის დარღვევას, მოშლიდა განსხვავებას დინამიკურ პროპორციასა და ეკვივალენტურ სიმეტრიას შორის და სხვ.

ამ კატეგორიაში შედის აგრეთვე აკრძალვა მარცლის მიმატების ან დაკლებისა. შაირში უნდა გვქონდეს აუცილებლად 16 მარცვალი, არც მეტი, არც ნაკლები, ხოლო ე. წ. ჩახრუხაულში (რომლის ერთი ნიმუში ვეფხისტყაოსანშიც არის) — 20 მარცვალი, შესაბამისად 8 და 10 მარცვალი ნახევარკარედებში.

ეს ფაქტორები თანაბრად ერთი ძალით არ მოქმედებენ ლექსის სტრუქტურაში. მსგავსი კატეგორიები განხილული აქვს R. Jakobson-ს[54] თავის გამოკვლევაში ჩინური ლექსის გამო. ამასთან დაკავშირებით ავტორი მიუთითებს C. Lévi-Strauss-ის[55] შრომაზე ნათესაობის სისტემის შესახებ, სადაც დასმულია საკითხი, ხომ არ უნდა იქნეს განხილული განსხვავება პრესკრიპტიულსა და პრეფერენციალურს შორის როგორც წმინდა ხარისხობრივი? რ. იაკობსონის აზრით, ვინაიდან ცნება პრესკრიპტიულისა და აკრძალულისა აუცილებლად ემთხვევა ერთმანეთს ყოველგვარ მოდელში, ჩვენ შეგვიძლია მხედველობაში მივიღოთ მხოლოდ განსხვავება აკრძალულსა და პრეფერენცი-

ალურს შორის. მოდელის დონეზე პრეფერენციალური პირობა არის ის, რომელიც არ მოიცავს აკრძალვით წესებს. მეტრიკა მოითხოვს, რომ ზუსტად იქნეს განსაზღვრული როგორც კონსტანტები, ისე ტენდენციები, ე. ი. ლექსის მოდელის აკრძალული და პრეფერენციალური კომპონენტები.

ამის შესაბამისად, აკრძალვა სიტყვათა ისეთი შეფარდებისა, რომელიც მოშლის სიტყვათგასაყარს მეოთხე მარცვალთან მაღალ შაირში, ხოლო მესამესთან და მეხუთესთან დაბალში, აგრეთვე ცოტად თუ მეტად გამოხატული „ტენდენცია", რომ წყვილმარცვლიანი სეგმენტები ნაწარმოები იქნეს წყვილმარცვლიანი სიტყვებით (უფრო მეტად ორმარცვლიანით, რადგან ესის შესაძლებლობა ამის საშუალებას იძლევა), ხოლო კენტმარცვლიანი სეგმენტები — კენტმარცვლიანით (სამ- და ხუთმარცვლიანით), არის ვეფხისტყაოსნის ლექსის ძირითადი სტრუქტურული თავისებურება.

1. 8. 1 **მახვილი, მარცვალი, მიჯნა.** მახვილს[56] ქართულში დისტინქციური ფუნქცია არა აქვს, თუმცა სიტყვაში ყოველთვის გამოირჩევა ერთი მარცვალი არტიკულაციის სიძლიერითა და ტონის სიმაღლით, განსაკუთრებით პათოსით თუ ფსევდოპათოსით წარმოთქმულ რიტორიკულ მეტყველებაში. სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ქართული მახვილი სუსტია და რომ თითქოს იგი ამით განსხვავდება სხვა ენათა მახვილისაგან. მაგრამ მთავარი ეს არაა. ამაზე უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართული მახვილის ფუნქციონალური დატვირთვაა მინიმალური[57], დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორი სიძლიერით წარმოითქმის იგი. ამიტომაა, რომ ქართული ენა ერთგვარად იტანს მახვილის გადანაცვლებას „უადგილო" ადგილს (ხშირად ერთისა და იმავე სიტყვის ფარგლებში)[58], რის გამოც ინტუიციურ დონეზე იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მახვილი მოძრაობა ან თავისუფალი. სინამდვილეში ქართული მახვილი საერთოდ ფიქსირებულია და დაკავშირებულია ბოლოდან მეორე მარცვალთან ორმარცვლიან სიტყვებში და ბოლოდან მესამესთან — სამმარცვლიან სიტყვებში. ოთხმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე მოდის, თუმცა, ზოგიერთი გამოკვლევების მიხედვით მესამე და მეოთხე მარცვლები ერთნაირი მახვილით წარმოითქმის[59]. ამავე მონაცემებით ასეთსავე ერთნაირ მახვილს ატარებენ მესამე, მეოთხე და მეხუთე მარცვლები ხუთმარცვლიან სიტყვებში.

მონოსილაბური სიტყვები ქართულში, მსგავსად ჩეხურისა, ამბივალენტური არიან და მათ მიერ მახვილის ქონა-არქონა (ერთისა და იმავე სიტყვის ფარგლებში) დამოკიდებულია მიჯნასა და მთელ რიგ სხვა ფაქტორებზე. ამ მხრივ ქართული არსებითად განსხვავდება ინგლისურისაგან, სადაც ერთმარცვლიან სიტყვათა ორი ტიპი გვაქვს: მახვილიანი და უმახვილო, რომელთა აქცენტუალური ღირებულება რიტმში იმთავითვეა მოცემული.

ენებს, რომელთაც მახვილი ყოველთვის გარკვეულ მარცვალზე მოუდის (ქართულს, ჩეხურს, ფრანგულს, პოლონურს), თითქოს სიტყვათა ტიპების ნაკლები რაოდენობა მოეპოვება, ვიდრე იმ ენებს, რომლებსაც თავისუფალი მახვილი აქვთ. ამის გამო კარედი მარცვალთა გარკვეული რაოდენობით გაცილებით უფრო მეტ კომბინატორულ შესაძლებლობას ქმნის თავისუფალი მახვილის მქონე ენებში, ვიდრე ისეთს ენებში, სადაც მახვილი ერთ ადგილზეა ფიქსირებული[60].

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტში (და საერთოდ ქართულში) სამმარცვლიანი სეგმენტის შესადგენად ოთხი შესაძლებლობა არსებობს (3, 2+1, 1+2, 1+1+1). ეს რომ სხვა ენების კომბინატორულ ვარიანტებს შევადაროთ, შემდეგ სურათს მივიღებთ[61].

ქართული	ჩეხური	რუსული		ინგლისური		
x́xx	x́xx	x́xx	x́x/x	x́xx	x́x/x	x́/x́/x́
x́x/x	x́x/x	xx́x	xx́/x	xx́x	xx́/x	x́/x́/x
x/x́x	x/x́x	xxx́	x/x́x	xxx́	x/x́x	x́/x/x́
x/x/x	x/x/x		x/xx́		x/xx́	x/x́/x́
			x/x/x		x́x/x́	x́/x/x
					xx́/x́	x/x́/x
					x́/xx́	x/x/x́
					x/xx́	x/x/x
4 შესაძლებლობა	4 შესაძლებლობა	8 შესაძლებლობა		19 შესაძლებლობა		

მაშასადამე, ქართული n-მარცვლიანი სეგმენტის კომბინატორული ვარიანტების რიცხვისათვის, მსგავსად ჩეხურისა[62], გამოდგება ფორმულა $v=2^{n-1}$. ინგლისური და რუსული ლექსის ზოგიერთი ვარიანტისათვის უფრო რთული ფორმულაა საჭირო.

კიდევ უფრო დიდია განსხვავება ოთხმარცვლიან და ხუთმარცვლიან სეგმენტთა კომბინატორული ვარიანტების წარმოებისას.

1.8.2 მეორე მხრივ, თუმცა ქართულში შეზღუდულია კომბინატორულ ვარიაციათა რაოდენობა, სამაგიეროდ მეტად მრავალფეროვანია მარცვლის სტრუქტურა და მასში შემავალ თანხმოვან ფონემათა დისტრიბუციის შესაძლებლობანი. ამ მხრივ ქართულ ენას ძნელად თუ შეიძლება მოეპოვოს პარალელი. ქართული ენის მარცვლის თავისებურება უფრო თვალსაჩინო იქნება, თუ მას რომელიმე სხვა ენის, მაგ., არაბული მარცვლის სტრუქტურას შევადარებთ.

არაბულში ჩვენ მარცვლის შემდეგი სახეობანი შეიძლება გვქონდეს: (1). CV (თანხმოვანი და მოკლე ხმოვანი): ba (ღია, მოკლე მარცვალი); (2). $\overline{\text{CV}}$ (თანხმოვანი და გრძელი ხმოვანი): bā (ღია, გრძელი მარცვალი); (3). CVC (დახურული მარცვალი მოკლე ხმოვნით, რაც გრძელ მარცვალს უდრის); (4). CVCC (ორმაგად დახურული მარცვალი, რაც აგრეთვე გრძელია).

არაბული მარცვლის ორ ტიპს (მოკლე მარცვალი — გრძელი მარცვალი) ქართულში ფონოლოგიურ დონეზე შეესატყვისება მარცვლის ერთი სახეობა, მაგრამ ოთხი ფონეტიკური ვარიაციის ნაცვლად ქართულში რამდენიმე ათეული ვარიანტი გვაქვს. ქართულში მარცვალი შეიძლება ხმოვნით დაიწყოს და დამთავრდეს კიდეც, არაბულისაგან განსხვავებით, სადაც მარცვლის დასაწყისში აუცილებლად თანხმოვანი (არა უმეტეს ერთისა) უნდა იყოს, ხმოვანს შეიძლება თანხმოვანი უძღოდეს, არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ხოლო ზოგჯერ ექვსი, შვიდი და რვა თანხმოვანიც კი.

ასევე მარცვლის ბოლოს, ხმოვნის შემდეგ, თუ არაბუღში, სულ დიდი, ორი თანხმოვანი შეიძლება გვქონდეს (ორმაგად დახურული მარცვალი), ქართულში ხშირად სამი და ოთხი თანხმოვანია გამოყენებული. მარცვლის წარმოების ეს შესაძლებლობები მრავალფეროვან სურათს იძლევა და არსებითად განასხვავებს ქართულს სხვა ენებისაგან.

ვეფხისტყაოსანშიც, რა თქმა უნდა, მარცვლის მრავალფეროვანი სახეობანი გვხვდება:

(1) V — მარცვალი ერთი ხმოვნით არის წარმოდგენილი:
ა — ცხენი-ა; კლდენი-ა; სიბრძნისა-ა; იეფად ა და სხვ.

(2) VC — ხმოვანი და თანხმოვანი:
ათ; ან; აწ, არ,

(3) VCC — ხმოვანი და ორი თანხმოვანი:
არს

(4) VCCC — ხმოვანი და სამი თანხმოვანი:
აქეს; ექვს-ნი,

(5) CV — თანხმოვანი და ხმოვანი:
და, ნუ, მი (მი და მო)

(6) CCV — ორი თანხმოვანი და ხმოვანი:
ვლა (ვლა არ გვინდა გზათა შორთა); დგა, ყმა და სხვ.

(7) CCCV — სამი თანხმოვანი და ერთი ხმოვანი:
ფრთა, მძლე, ბრძე-ნი.

(8) CCCCV — ოთხი თანხმოვანი და ხმოვანი:
მქმნე-ლი, მკლვი-და.

(9) CCCCCV — ხუთი თანხმოვანი და ხმოვანი:
მფრქვე-ვე-ლი; მკვდრი-სა.

(10) CVC — თანხმოვანი, ხმოვანი, თანხმოვანი:
შენ, ვინ, სად, რად, სით, ვით, ხარ.

(11) CCVC — ორი თანხმოვანი, ხმოვანი, თანხმოვანი:
მწედ; დგას.

(12) CCCVC — სამი თანხმოვანი, ხმოვანი, თანხმოვანი:
მძლედ, მკლავ- (მაგარსა).

(13) CCCCVC — ოთხი თანხმოვანი, ხმოვანი, თანხმოვანი:
მკრთალ-თა; ბრძნად.

(14) CCCCCVC — ხუთი თანხმოვანი, ხმოვანი, თანხმოვანი:
ესჭვრეტ-დი.

(15) CVCC — თანხმოვანი, ხმოვანი, ორი თანხმოვანი:
ხამს; მუხლ-თა.

(16) CCVCC — ორი თანხმოვანი, ხმოვანი, ორი თანხმოვანი:
კმარს.

(17) CCCVCC — სამი თანხმოვანი, ხმოვანი, ორი თანხმოვანი:
მკლავს.

(18) CCCCVCC — ოთხი თანხმოვანი, ხმოვანი, ორი თანხმოვანი:
სჭვრეტს.

(19) CCCCCVCC — ხუთი თანხმოვანი, ხმოვანი, ორი თანხმოვანი:
ესჭვრეტთ.

გარდა ამისა თეორიულად ქართულში შესაძლებელია თანხმოვანთა და ხმოვანთა კიდევ სხვა მრავალი კომბინაცია, რომელთაგან პრაქტიკულად დადასტურებულია ზოგიერთი: CCCCCCV (მწვრთნე-ლი, ფრცქვნა, ბრდღვნა); CCCCCCCV (გვწვრთნა, გფრცქვნა, გბრდღვნა); CCCCCCCCV (გვფრცქვნა, გვბრდღვნა); CCCCCCVC (ფრცქვნის, ბრდღვნის); CCCCCCCVC (გვწვრთნის, გფრცქვნის, გბრდღვნის); CCCCCCCCVC (გვფრცქვნის, გვბრდღვნის); CCCCCCVCC (მწვრთნელს, მწვრთნელთ); CCCCVCCC (მთხრებლს); CCCCVCCCC (მსხვერპლს, მსხვერპლთ); CVCCCCC (მარწყვს, ნერწყვს) და მისთ.

ამასთან შეიმჩნევა ერთგვარი წონასწორობა. თუ ვოკალური ფონემის წინამავალი თანხმოვანთა ჯგუფი მრავალწევრიანია, პოსტვოკალურ პოზიციაში იშვიათად გვაქვს მრავალწევრიანი ჯგუფი. მაგ., არ შეიძლება შეგვხვდეს მარცვალი CCCCCCCCVCCCCCCCან თუნდაც CCCCCCCCVCCCCCან კიდევ CCCCCCCCVCCCC და მისთ. როგორც წესი, როდესაც ხმოვნის მომდევნო ჯგუფია მრავალწევრიანი, ანლაუტში თითო-ოროლა თანხმოვანი გვაქვს მხოლოდ. საერთოდ თავკიდური და ბოლოკიდური თანხმოვნების ჯამი არ აჭარბებს იმ თანხმოვნების მაქსიმალურ რაოდენობას, რომლებიც ხმოვნის წინ შეიძლება შეგვხვდეს. ბოლოკიდური ჯგუფის წევრთა რაოდენობა თავკიდური ჯგუფის წევრთა რაოდენობის უკუპროპორციულია[63].

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მორფოლოგიური პროცესების (ზმნის პრევერბები და სხვა აფიქსები) წყალობით მარცვლის თავკიდური და ბოლოკიდური კონსონანტური ჯგუფები შეიძლება აღმოჩნდეს სიტყვის შიდა პოზიციაშიც (შდრ. გა-წვრთნა CV—CCCCCV, და-გვზერი-და CV—CCCCCV= CV და სხვ.), ხოლო თუ მორფოლოგიურ ფაქტორებს გამოვრიცხავთ, ძირის მედიალურ პოზიციაში (ორ- და მეტმარცვლიან ძირებში), უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ ერთი თანხმოვანია.

ძირის შიგნით ორთანხმოვნიანი კომპლექსები (ჩვეულებრივ დეცესიური ჰარმონიული წყვილები) ნაკლებაა გავრცელებული, ხოლო სამმარცვლიანი ჯგუფები კიდევ უფრო იშვიათია[64].

მრავალწევრა კონსონანტური კომპლექსები ძირის შიგნით არ გვხვდება.

მრავალფეროვანია აგრეთვე თავკიდურა და ბოლოკიდურა ჯგუფების ფონოლოგიური სტრუქტურა, რომელიც დამოკიდებულია მათ შორის თანხმოვანთა გარკვეულ კანონზომიერ განაწილებაზე.

მარცვალში თანხმოვანთა დისტრიბუცია დეტალურადაა შესწავლილი ქართველურ ენათმეცნიერებაში[65] და ამ პრობლემას აქ სპეციალურად აღარ განვიხილავთ. ჩვენ მხოლოდ მოკლედ შევეხებით თანხმოვანთა დისტრიბუციის ზოგიერთ საკითხს, რომელიც საყურადღებოა ლექსის სტრუქტურის თვალსაზრისით. ამასთან აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მიზნებისათვის მნიშვნელოვანია თანხმოვანთა განაწილების წესი არა მხოლოდ ძირებისა და ფუძეების მიხედვით, არამედ საერთოდ სიტყვებში, იქნება ეს ძირეული თუ ფლექსიური ელემენტები. ლექსის ჟღერადობის თვალსაზრისით ეს თანაბრად მნიშვნელოვანია.

მარცვლის ისეთ ტიპში, სადაც ხმოვანთან ერთი თანხმოვანია მხოლოდ (CV ან CVC), შეიძლება იყოს ნებისმიერი თანხმოვანი: ყრუ ხშული (ფშვინვიერი ან მკვეთრი): ფა-სი, თა-თი, ქა-ლა-ქი; პა-ტი-ვი, კა-კა-ბი, ყე-ლი; აფრი-

კატი: ცუ-დი, ჩა-ლა, წა-მი-თა, ჭი-რი; სიბილანტი: სა-რო, შე-ნი; სპირანტი: ხა-ნი, ხე-ლი; ფშვინვიერი აინზაცი ან აბზაცი: ჰა-ერთა, ა-ჰა, აჰ-ყო; მჟღერი ხშულები: ბე-დი, გა-ა-გო, და-ნა-დე-ბი; მჟღერი სიბილანტები: ზის, ზე-და-ზე-და, ჟა-მი; მჟღერი აფრიკატები: ძა-ლი, ძე, ჯა-ნი, ჯა-რი; მჟღერი სპირანტი: ვი-რე, ღო-ნე; სონორები: ლა-ლი, რა-მე, რი-დი; მო-ნა, მოყ-მე; ნა-ყი.

ორთანხმოვნიან ანლაუტში თანხმოვანთა დისტრიბუციის რამღენიმე სახეობაა დადასტურებული:

(1) ორივე თანხმოვანი მჟღერია: ელე-ნა; ბრო-ლი; დგას; მჯო-ბი; ძნე-ლი; ძვი-რი; ჯდა; ჯრა-სა; ჟღე-რა; ჟლე-ტად და მისთ.

(2) ორი თანხმოვნიდან ერთი მჟღერია, ხოლო ერთი — ყრუ (ხშული, სპირანტი, აფრიკატი ან სიბილანტი): კბე-ნა; კბი-ლი; ფლა-სი; ფრე-ნი-თა; სიყვა-რუ-ლი; ყბე-დი; მჭე-ცი; ლხე-ნა; მხი-ა-რუ-ლი; რხე-ვი-თა; ცრემ-ლი; რჩო-მი-სა; ჭრე-ლად; სმე-ნა, სრა; შვე-ნე-ბა; შვი-ლი; შმა-გი; შრო-მა-სა და სხვ.

უფრო იშვიათია შემთხვევები, როდესაც

(3) ორი თანხმოვნიდან ორივე ყრუ სპირანტია:სხე-ნან; სხიე-ნი.

(4) ერთი თანხმოვანი სიბილანტია და ერთი—ყრუ ხშული (ფშვინვიერი ან მკეეთრი აფრიკატი): შთა-მოს-თე-სი; სპა; სპე-ტი; სტავ-რა; შტო; სწო-რი; სწავ-ლა.

ფშვინვიერ აფრიკატებთან (/ც/, /ჩ/) გვხვდება მხოლოდ პრეფიქსალური /ს/: სცან; სცემ-დეს; სჩან.

(5) ორივე თანხმოვანი არის ყრუ ხშული, რომელთაგან ხშირად ერთი აფრიკატია. ასეთ შემთხვევაში თანხმოვნები წარმოადგენენ ჰარმონიულ დეცესიურ კომპლექსებს: თქარ-თქა-რი, პკუ-რება, ტკა-ცი, ტყუ-ბი, ტყუ-ვი-ლი, ცქა-ფი; ჩქა-რი; წკარ-ნი; წყა-ლი; ჭკუ-ა, იშვიათად გვხვდება აქცესიური წყვილებიც: ქცე-ვა.

სამწევრა დასაწყისში გვაქვს დისტრიბუციის სახეობანი:

(1) სამივე თანხმოვანი მჟღერია, აქედან ერთი, ზოგჯერ ორიც, სონორი: ბრძე-ნი; ბრძა-ნა, ბრმა, ბრძო-ლა; ზღვა, ზღვა-რი, ზრვი-და, ზრდა, ზრდი-ლი-სა, გრძე-ლი, დგმა, დგმუ-ლო-ბა, მგზავ-რი, მდგო-მა-რე, მზმე-ლი, მზრახ-მან, მლმო-ბე-ლი, მნდო-მე-ლი, მშვე-ნი, მრგო, ძღვე-ნი;

(2) ორი თანხმოვანი მჟღერია, აქედან, როგორც წესი, ერთი — სონორი და ერთი ყრუ: ბრჭა-ლი, ბრჭე, ბრჭო-ბა, მკრა; მთვა-რე; მთმო-ბე-ლი და სხვ.

(3) ორი თანხმოვანი ყრუა (ხშირად დეცესიური ჰარმონიული წყვილი ან სპირანტები) და ერთი — მჟღერი, უმეტეს შემთხვევებში სონორი: თრთო-ლა, ტრფი-ა-ლი, თქვენ, პყრო-ბა, ტყვე, ფრთა/ფრთე, ფრფე-ნა, ტკბი-ლი, ცხვა-რი, ცხრა, ცხრო, წყლი-ა-ნი, წყლუ-ლი, წყრო-მა.

(4) იშვიათია შემთხვევები, რომ სამივე თანხმოვანი ყრუ იყოს. ასეთ შემთხვევებში ორი თანხმოვანი ჰარმონიულ წყვილს ქმნის (ხშირად სპირანტის მონაწილეობით), ხოლო ერთი — პრეფიქსალური სიბილანტია, მაგ., სთხოვს, სცხე-ბო-და.

ოთხ-და მეტთანხმოვნიან ჯგუფებში ჩვეულებრივ მჟღერი სონორი თანხმოვნები სჭარბობს: მდგმე-ლი, მზღვა-რი, გრძნე-ბი-სა, გრძნე-უ-ლი, გრძნო-ბა, გრძნი-სა, გვრდემ-ლი, გრძლად, მკლევ-ლი, ბრკმო-ბა. შეიძლება შეგვხვდეს ორი ყრუ თანხმოვანიც: მთხრო-ბე-ლი, მკრთო-მა-რე, მკრდამ-დი, ხოლო ისეთი

შემთხვევები, რომ მრავალწევრა ჯგუფებში ყრუ თანხმოვნები სჭარბობდნენ მჟღერებს (სონორებს), ძალიან იშვიათია, მაგ., ტკრცი-ა-ლი (სტროფი 1400,4).

მარცვალში თანხმოვანთა დისტრიბუციასთან დაკავშირებით შეიძლება დავასკვნათ, რომ რაც უფრო მეტია ერთად თავმოყრილი თანხმოვნების რაოდენობა, მით უფრო მეტია ასეთ შემთხვევებში მჟღერებისა და სონორების ხმარების სიხშირე, მეორე ადგილზე მოდის სპირანტები და სიბილანტები, ხოლო ბოლოს ყრუ ხშულები, ხშირად ჰარმონიული წყვილების სახით. ერთი მარცვლის ფარგლებში თავმოყრილ მრავალ (ოთხ, ხუთ) თანხმოვანს შორის მოქცეული სონორი, წმინდა ფონეტიკურ (ფიზიკურ-აკუსტიკურ) დონეზე, სტოეებს ერთგვარი სილაბურობის შთაბეჭდილებას, მაგრამ ასეთს „მარცვლებს“ ქართულში ფონოლოგიური ღირებულება არა აქვს და ამ სონორების მიერ შექმნილი მწვერვალები არ აღიქმის როგორც მარცვლის შემქმნელი მწვერვალები და მარცვალთა სათვალაეში ისინი ვერ ჩაითვლება, რადგან მარცვალს ვეფხისტყაოსანში და, საერთოდ, ქართულში ქმნის მხოლოდ ხმოვანი[56] და არა თანხმოვანი, რაგინდ მჟღერად ან ხანგრძლივად წარმოითქმოდეს იგი.

მიუხედავად ამისა, თანხმოვანთა განაწილების ეს მრავალსახეობა სხვადასხვაგვარ ჟღერადობას აძლევს მარცვალს, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს რიტმზე. ამასთან დაკავშირებულია აგრეთვე მარცვლის სიგრძე-სიმოკლის საკითხი.

1. 8. 3 ქართულში მარცვალთა და ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე, მსგავსად მახვილისა, როგორც ცნობილია, არ არის ფონოლოგიური ღირებულების მქონე. შეიძლება ერთი და იგივე ხმოვანი წარმოითქვას გრძლად და მოკლედ, მახვილითა და უმახვილოდ, გრამატიკული ფუნქციის ან სიტყვის მნიშვნელობის განსხვავებისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს.

მთელ რიგ ენებში (მაგ., არაბულში, ბერძნულში) მოკლე ხმოვნებს ან მარცვლებს უპირისპირდება გრძელი ხმოვნები ან მარცვლები და ეს განსხვავება იწვევს სიტყვათა მნიშვნელობის განსხვავებას. მაგ., არაბ. ṣadāḳat „მეგობრობა“, ṣadaḳat „მოწყალება“, ʿālam „სამყარო“, ʿalam „ალამი“, „ნიშანი“ და სხვ.

ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხმოვანთა და მარცვალთა სიგრძე ბერძნულ, ლათინურ და მთელ რიგ სხვა ენათა მეტრიკულ სისტემაში. სეგმენტების სტრუქტურა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან სიტყვაში შემავალი გრძელი და მოკლე მარცვლები.

გრძელი მარცვალი (ე. ი. თანხმოვანი გრძელი ხმოვნით ღია მარცვალში ან მოკლე ხმოვნით დახურულ მარცვალში) ზოგჯერ უდრის ორ მოკლე მარცვალს, ისე რომ ერთეული ◡ — — ეკვივალენტურია ◡ ◡ ◡ — მიმართებისა. ასეთი რამ ქართულს არ ახასიათებს. გრძელი და მოკლე მარცვლები ქართულში არ უპირისპირდება ერთმანეთს და სულ ერთია, ხმოვანი გაგრძელებულად წარმოითქმის სიტყვაში თუ მოკლედ, სიტყვის მნიშვნელობა ამით არ შეიცვლება. ასევე არ უპირისპირდება ერთმანეთს ღია და დახურული მარცვალი, თუნდაც იგი ორმაგად, სამმაგად და ხუთმაგად იყოს დახურული, როგორც, მაგ., მარწყვს სიტყვაში გვაქვს.

მაშასადამე, ხმოვანთა და მარცვალთა სიგრძე-სიმოკლეს ქართულში ფონოლოგიური ღირებულება არა აქვს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფონეტიკურად და აკუსტიკურად მათ შორის განსხვავება არ არსებობს. მაგ., სრუ-

ლებით არ არის ერთი და იგივე ხანგრძლიობა ისეთი მარცვლებისა, როგორიცაა ერთის მხრივ CV (მაგ., და სიტყვა, ხმოვანი ხშული თანხმოვნით) და მეორეს მხრივ CCCCVCCCC (მაგ. სიტყვა მსხვერპლს). ორივე ეს სიტყვა ერთმარცვლიანია. ორივეში თითო ხმოვანია, რომლებიც ცოტად თუ ბევრად თანაბარი სიგრძისა არიან. მაგრამ მაშინ, როდესაც პირველ სიტყვაში ერთი ხშული თანხმოვანია, რომლის წარმოსათქმელად სეკუნდის 1/18-ია საკმარისი[67], მეორე სიტყვაში რვა თანხმოვანია, ოთხი — ხმოვნის წინ და ოთხი — ხმოვნის შემდეგ, რომელთა წარმოთქმას გაცილებით მეტი დრო სჭირდება, ვიდრე და სიტყვას ერთი ხშული (დ) თანხმოვნით. შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მსხვერპლს სიტყვის წარმოთქმას 10-ჯერ და 15-ჯერ მეტი დრო სჭირდება, ვიდრე ისეთი მარცვლისას, სადაც მხოლოდ ერთი თანხმოვანი გვაქვს და ერთი ხმოვანი. ეს განსხვავება დადასტურებულია ექსპერიმენტულად და იგრძნობა აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვითაც.

ამ განსხვავებას, რა თქმა უნდა, არა აქვს ფონოლოგიური ღირებულება, იგი არც ლექსის მეტრის თვალსაზრისით არის რელევანტური, მაგრამ ეს სხვადასხვა ხანგრძლიობის მქონე მარცვლები, იმისდა მიხედვით, თუ რამდენი და როგორი თანხმოვნებისაგან არიან შედგენილი, არ შეიძლება გაელენას არ ახდენდნენ ლექსის ტემპსა და რიტმზე. ამას უნდა დაემატოს თვისება და ბუნება იმ თანხმოვნებისა, რომლებიც გამოყენებული არიან მარცვლის შესადგენად. სხვადასხვა რაოდენობის მჟღერი და ყრუ თანხმოვნების მონაცვლეობა მარცვლებში, ზოგიერთი მათგანის ჰარმონიული შეხამება სიტყვებსა და სეგმენტებში, ალიტერაციას[68] რომ ქმნის, ზოგჯერ კონტრასტები, გამოწვეული შედგენილობის თვალსაზრისით განსხვავებული ამ მარცვლებისა და სეგმენტების გარკვეული შეფარდებით, ქმნის მუსიკალური ფერების მთელ სპექტრს, რომელიც რუსთველის ლექსს პოლიფონიური ქართული მუსიკის ჟღერადობას ანიჭებს. ამას უნდა დაემატოს ე. წ. მიჯნის ან გადასასვლელის ფაქტორი, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

1. 8. 4 ორი ფონემა თანმიმდევრულად წარმოთქმის დროს, როგორც ცნობილია, სხვადასხვაგვარად შეიძლება დაუკავშირდეს ერთმანეთს: 1. გადასვლა წინამავალი ფონემიდან მომდევნოზე არის ნარნარი (плавный) და ფონეტიკური სეგმენტები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ისე, როგორც მუსიკაში ორი ნოტი — legato-ს საშუალებით. ასეთ კავშირს ეწოდება დახურული მიჯნა; 2. ერთი მორფემის ბოლოკიდურ ფონემასა და მეორე მორფემის თავკიდურ ფონემას შორის იგრძნობა საზღვარი, რომელსაც განაპირობებს პაუზა, რიტმი და მახვილი[69]. ამ შემთხვევაში სეგმენტები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან როგორც მუსიკის ნოტები — staccato-ს საშუალებით. ასეთ კავშირს ეწოდება ღია მიჯნა, რომელიც თანამედროვე საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება /†/ ნიშნით (ზოგი ასხვავებს ფონემათა გამყოფ ნიშანს /†/ პაუზების — წინადადებების — გამყოფი ნიშნისაგან (=).

მიჯნა (ინგლ. juncture) ან გადასასვლელი არის კონტაქტის სახეობა, წესი, რომლის მიხედვითაც ორი წარმოთქმა უკავშირდება ერთმანეთს[70], ერთი წარმოთქმის დასასრულისა და მომდევნო წარმოთქმის დასაწყისის შეხვედრის ადგილი, რომელიც დაკავშირებულია რიტმთან და მახვილთან[71]. ამ წარმოთქმათა საზღვრების გარკვეული კავშირი (ღია მიჯნა) ქმნის დისტინქტიურ

კონტრასტებს სუპრასეგმენტალურ დონეზე და ამდენად მას ფონოლოგიური ღირებულება ენიჭება[72].

მიჯნის ფენომენი ყველა ენაში იერარქიული ხასიათისაა. პირველ საფეხურზეა მორფემის მიჯნა, უმაღლეს დონეზე — პაუზალური მიჯნა, ხოლო მათ შორის — ყველაფერი დანარჩენი (მაგ., სიტყვები). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა მიჯნა არის ყოველ შემთხვევაში მორფემის მიჯნა, ყველა პაუზალური მიჯნა არის ამავე დროს მიჯნა სიტყვებს შორის, მაგრამ არც ერთი უფრო დაბალი საფეხურის მიჯნა არ შეიძლება იყოს პაუზალური მიჯნა[73].

/†/ -ის ფაქტორის დადასტურება ინგლისურში და სხვა ენებში თავის დროზე აღმოჩენად იქნა მიჩნეული. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში და, მით უმეტეს, ლიტერატურაში ლექსთწყობის შესახებ ეს მოვლენა არავის აღუნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ მას ქართულშიც ისეთივე ფონოლოგიური ღირებულება აქვს, როგორც ინგლისურსა და მთელ რიგ სხვა ენებში.

ასე, მაგ., ერთი და იგივე არ არის არც ფონოლოგიურად და არც რიტმის თვალსაზრისით ერთი მხრივ მითხარ წარმოთქმა და მეორე მხრივ სიტყვები მით ხარ (=იმითი, იმით ხარ შენ). პირველ შემთხვევაში გვაქვს დახურული გადასასვლელი თ და ხ ფონემათა შორის, გადასვლა ერთი ფონემიდან მეორეზე არის ნარნარი (плавный, гладкий), მსგავსად მუსიკის ორი ნოტისა, რომელსაც legato აერთებს. ამ სიტყვის ორ მარცვალს არაფერი ჰყოფს ერთმანეთისაგან და ისინი ერთი მახვილის ქვეშ არიან გაერთიანებული: მითხარ; მეორე მხრივ იგივე ორი მარცვალი წარმოთქმაში მით ხარ გათიშული არიან ერთმანეთისაგან პაუზით, რიტმითა და მახვილით. გადასვლა ერთი სიტყვის ბოლოკიდური თანხმოვნიდან მეორე სიტყვის თავკიდურ ფონემაზე არის წყვეტილი, მსგავსად მუსიკის ორი ნოტისა, რომლებიც staccato-თია შესრულებული. ამ შემთხვევაში თითოეული ეს მარცვალი დამოუკიდებლად ატარებს მახვილს (მი́თ ხა́რ) — მითხარ სიტყვისაგან განსხვავებით, ამავე დროს მათ შორის იგრძნობა პაუზა.

ასევე აშკარაა განსხვავება, გამოწვეული მიჯნის ფაქტორით, სიტყვებში: და გულსა (ქალსა შეეხედენ, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა, სტროფი 337,2) ერთის მხრივ და მეორე მხრივ წარმოთქმაში: დაგულსა (მოვიდა, მივსცნე დურაჯნი, მთხოვა ცეცხლითა დაგულსა, სტროფი 337,3). პირველ შემთხვევაში ორივე სიტყვა ატარებს მახვილს: და́ გუ́ლსა, მეორე სიტყვაში კი ერთი მახვილია: და́გულსა. ასეთივე მდგომარეობაა გამოთქმაში:

1. და́ნასა (მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიმართის და́ნასა, (სტროფი 177, 2).

2. და́ ნა́სა (მოეშორდი ლხინსა ყველასა, ჩანგსა, ბარბითსა და́ ნა́სა, (სტროფი 177, 4).

როგორც ვხედავთ, მახვილი კი არ აერთიანებს სიტყვებს „დაქტილური ტერფის“ შესაქმნელად ერთი სეგმენტის ფარგლებში, არამედ, პირიქით, პაუზასთან ერთად ხელს უწყობს მათ გამიჯვნას ერთმანეთისაგან.

/†/ -ის მოვლენა მარტო მაჯამებს კი არ განასხვავებს ერთმანეთისაგან, იგი გამოყოფს აგრეთვე სიტყვებს, ხოლო ზოგჯერ მორფემათა შორისაც ქმნის

გასაყარს. ხშირად ასეთი შემთხვევები გვაქვს ზმნისწინის ხმოვნებისა და მომდევნო ხმოვნების მიჯნაზე. მაგ. /ŧ/ გვაქვს გაუუმეცარდა სიტყვაში, რომელიც გამოითქმის გა/ŧ/უ/ŧ/უმეცარდა, აგრეთვე სიტყვებში: შე /ŧ/ი/ŧ/ურვებს (755,2); შე /ŧ/უ/ŧ/ ტყორცია (80,3); გა /ŧ/ა/ŧ/ თანისთანე (302,3); ი/ŧ/ა/ŧ/ ნაზდენითა 746,4); ნა /ŧ/უ/ŧ/ ულისწულევი (52,3) და სხვ. შეიძლება ამ მოვლენამ ხელი შეუწყო იმას, რომ ასატანი გამხდარიყო ექვსმარცვლიანი და შვიდმარცვლიანი სიტყვები ზოგიერთ ნახევარკარედში, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი.

სწორი არ არის ვიფიქროთ, რომ ოთხმარცვლიან სიტყვებში, თუ სიტყვის დასაწყისში ორი ხმოვანი მეზობლობს ერთმანეთს, მახვილი მესამე ადგილიდან ბოლოდან მეოთხეზე გადაინაცვლებს, მაგ., გა́იცინა. სინამდვილეში ასეთ შემთხვევებში ჩვენ გვაქვს გა/ŧ/იცინა ლატენტური პაუზით ა-სა და ი-ს შორის, რომელთაგან შეიძლება ორივენი ატარებენ მახვილს: გა́.ი́ცინა.

ეს არის, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ზმნისწინის მომდევნო ხმოვანი ი შემოგვენახა ზმნის ფორმებში გაიცინა, გაიღიმა, წაიტანა და სხვ. ეს ფორმები რომ ერთი მახვილით (ბოლოდან მეოთხე მარცვალზე) ყოფილიყო წარმოთქმული (გა́იცინა, გა́იღიმა, წა́იტანა) მიჯნის გარეშე, მომდევნო ი აუცილებლად შესუსტდებოდა და ბოლოს სულ დაიკარგებოდა, როგორც ეს დაემართა სახელობითის ი დაბოლოებას ხმოვნით დამთავრებული ფუძეების შემდეგ (მამა-ი>მამა-ჲ>მამა) ან ნათესაობითი ბრუნვის აფიქსის ი ხმოვანს ო და უ-ზე დაბოლოებული ფუძეების შემდეგ (სასო-ისა>სასოჲსა> სასოსი), სადაც მახვილი მაინცდამაინც ხელს არ უწყობდა მომდევნო ხმოვნის დასუსტებასა და დაკარგვას, რადგან წინამავალი ფუძისეული ბოლოკიდური ხმოვანი მას არ ატარებდა. და თუ, მიუხედავად ამისა, ამ ი-მ ვერ გაძლო უმახვილო ხმოვნის შემდეგ, მით უმეტეს ვერ გაძლებდა პრევერბისეული „მახვილიანი“ ხმოვნის შემდეგ. ამიტომ წაკითხვა გა́იცინა, გა́იღიმნა არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს.

მიჯნის ფაქტორით გამოწვეული მინიმალური წყვილები ვეფხისტყაოსანში და საერთოდ ქართულში მრავლად მოიპოვება. მეხოტბეების მთელი პოეზია არსებითად იმ ფაქტორით არის განპირობებული. მაგ., აბდულ-მესიაში[74] გვხვდება ასეთი გამოთქმები:

მამცნონ სად არი? (3, 1, 4).
მზეებრ სადარი (3, 2, 4).
ღმერთმან სამოთხით | მოგვცა სამ-ოთხით (3,2).
და ვით ისა-და? | დავითისადა (5, 1).
ესე მისითა! | ე სემი სითა (5, 3).
გავსილო ამით, | ჰგავ სილოამით (9, 1).
გხედვენ რა ღამით, | მოსრნეს რაღა მით (9, 4).
მოსე და არონ | თხემსა დაარონ (12, 4).
ა ხალიფასი | ახალი ფასი (16, 4).
ხედვენ მზერითა: | სწორად მზე რითა“ (17, 4).
აღმოთქმად ვიწყო | ნეტა რებისა?

სამართლად ღირსი | ნეტარებისა (20, 2, 3).
ელი ამო სით | ეს რომ არა მით,
ელია მოსით, | ესრომ — არამით (24).
მას არა რითა | მასარარითა (24, 4).
ხარ უკედავება! ვით უკე დავება (26,1).
აწ ამე თავსა! | აწამე თავსა (26, 4).
ესავისითა | ეს ავი სითა? (27, 4).
ალაგა მითა — | ა ლაგამითა (33, 2).
ა ქარავანი! | აქ არა ვანი (34, 3).
ამათ ხე მისთვის! | ამა თხემისთვის (35, 4).
დიადიმითა: | დიადი მითა (38, 4).
თვალად ალმასად | გავნოს ალმა სად? (42, 4).
სახედ ეელისა: | სახედველისა (48, 1).
მო, ე კალმითა! | მოეკალ მითა (48, 2).
იმ ალვისა ხედ | იმალვი სახედ (54, 1).
ეგე ენიად: | ე გეენიად (54, 3).
გვრიტთა მართვისა | თვარ, აქვს მართ ვისა (62, 1).
აწყა რომითა | ა წყარო მითა (66,1).
თვით მის აქაზის | ნაცვლად აქა ზის (74, 3).
დრო შამოიგდო: | დროშა მოიგდო (75, 1).
დაწერა ქვითა | და წერაქვითა, (80, 1).
არაბ აშია! | არ აბაშია — (81, 1).
საბას რომისა | საბასრო მისა: (81, 4).

ასეთი პარალელური გამოთქმები, რომლებიც მიჯნის საშუალებით არიან გამოყოფილი ერთმანეთისაგან, მრავლად მოიპოვება აბდულ-მესიაში. ასევე ხშირია ასეთი წყვილები თამარიანშიც:

ესძებნეთ ქნა რისთა? | დღე ბნელ ქნარისთა (III, 3).
ანათობს ის ოს | მით არცხვენს ისოს! (III, 9).
არ ენა, სული | არენ ასული (III, 11).
უცნი ავითა: | უც ნიავითა (III, 13).
ვინ არსე ბანი, | ვინ არს ებანი? (IV, 1).
მან ცათამ არის | მან ცა თამარის (IV, 2).
არს ასულ ტანი | არსა სულტანი (IV, 8).
არამედ გარე | არა მედგარე (IV, 9).
მეტ ყვის მით ენოს, | მეტყვის: „მითენოს“, (IV, 10).
არ აქა, მანდა | არ აქამანდა (IV, 11).
ეგე ნათ, ელი! | ეგე ნათელი (IV, 12).
შენსა სადარსა | შენსა—სად არსა? — (IV, 13).
უბრძანა აქარს: | გაქვს რაცა, აქ არს! (V, 14).
იცისკარებით: | იცი სკა რებით (V, 41).
მაშა მე, ხელი, | მაშა მეხელი (VII, 27).
მაგრამ კალ, იბი, | რადგან კალიბი (X, 2).
ვინ ნახა სადა, | ვინა ხასადა (X, 3).
ანუ ვის ესმის: | ან უვის ეს მის (X, 4).

რადგან ცად ახვალ, | რა დგან ცადა ხვალ (X, 7).
— არა გეთნია! | არ აგეთნია (X, 9).
ვინა ტრედია? | ვინატრე დია (X, 11).
ვინანი, სადა | ვინ ანისადა (X, 13).
არ მით აენებდა, | არ მითაენებდა (X, 16).
მან გლისპი რითა? | მანგლის პირითა (X, 18).
აქამანდა ვით | აქა მან? დავით (X, 23).
ნათლითა სრულ ყო, | ედემს ასრულ ყო (X, 6).
რომელმან ღამე — | დღე ჰყო — ვსთქვაღა მე (XII, 28).
მოგყვა, მო, ნებად — | შენდა მონებად (XII, 31).
ისვრის ისარსა, | ვიტყვი: ის არსა (XII, 34).
თვით ამან დავით | ქმნა, უნდოდა ვით (XII, 43).
ანუ ენოსა | მე უენოსა (XII, 62) და სხვ.

მაგალითების გამრავლება შეიძლება დიდი რაოდენობით. მთელი ეს სიტყვათა თამაში[75] მეხოტბეების სიტყვაქარგული პოეზიისა[76] ემყარება იდენტურ ფონემათა ერთნაირ თანმიმდევრობას. ეს თანმიმდევრობანი რომ ჩვენ წერილობით დაუნაწევრებლად წარმოვადგინოთ, მივიღებთ იდენტურ გამოთქმებს: დაწერაქვითა; — აწყაროშითა; — არსასულტანი; — ვინატრედია; — — მანგლისპირითა და სხვ.

იმისდა მიხედვით, თუ როგორ დავყოფთ ამ გამოთქმებს წერილობით, მივიღებთ სხვადასხვა სინტაქსურ-სემანტიკურ ერთეულებს: დაწერა ქვითა — და წერაქვითა; აწყა რომითა — ა წყარო მითა; არს ასულ ტანი — არსა სულტანი; ვინა ტრედია — ვინატრე დია; მან გლისპი რითა — მანგლის პირითა და სხვ.

ეს სხვადასხვაგვარი დანაწევრება სიტყვისა წერილობითი დაყოფისას ხდება შპაციების საშუალებით (სიტყვათა შორის ცარიელი ადგილების, ინტერვალების დატოვებით), რომლის რეფერენტს ზეპირი მეტყველებისა და სკანდირების დროს /†/ წარმოადგენს. მაშასადამე, მიჯნა ისეთსავე ფუნქციას ასრულებს ზეპირი მეტყველების დროს, როგორსაც შპაცია წერაში. მიჯნა რომ არ არსებობდეს, ეს სიტყვები ისევე არ იქნებოდნენ ერთმანეთისაგან განსხვავებული ზეპირი მეტყველებისა ან ლექსის სკანდირების დროს, როგორც არ განსხვავდებიან შპაციების გარეშე დაწერის შემთხვევებში. როგორ უნდა გავიგოთ დაწერილობა დაწერაქვითა?: დაწერა ქვითა თუ და წერაქვითა და სხვ.

აქედან ცხადია, თუ რა დიდი ფონოლოგიური ღირებულება აქვს მიჯნას ქართულში.

საერთოდ წარმოთქმათა დიდი ნაწილი, რომლებიც სიტყვებად არის მიჩნეული, როგორც წესი, ემიჯნებიან ერთმანეთს ამ მოვლენის წყალობით. როგორც აღვნიშნეთ, /†/ თავს იჩენს პაუზებში, წინადადებათა შორის, სიტყვების მიჯნაზე და სიტყვების ფარგლებში, მორფემათა საზღვრებზე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიტყვის მორფემები ან სხვადასხვა სიტყვები აუცილებლად /†/ -ის მოვლენით უნდა იყვნენ ერთმანეთისაგან გათიშული. არის მთელი რიგი მორფემათა და სიტყვების შეხვედრის წერტილები, სადაც /†/ არ ჩანს, მაგრამ ზოგ შემთხვევებში, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, /†/ ერთადერთი გამასხვავებელი ნიშანია, რომელსაც ფონოლოგიუ-

რი ფუნქცია აქვს დაკისრებული. ასევეა ერთმანეთზე მიჯრით წარმოთქმული ერთმარცვლიანი სიტყვები. ამიტომ რიტმისა და პროსოდიის თვალსაზრისით სრულებითაც არ არის ერთი და იგივე ნახევარკარედი:

იყი́დიან, | გაჰყიდიან, || მოიგებენ, | წააგებენ,

სადაც თითოეული სეგმენტი შედგება ოთხმარცვლიანი სიტყვისაგან მახვილით ბოლოდან მესამე მარცვალზე: — ˊ — — ან ბოლოდან მესამე და მეოთხე მარცვალზე: ˊ ˊ — — ერთი მხრივ, და მეორე მხრივ სეგმენტი, რომელიც ოთხი თითომარცვლიანი სიტყვისაგან შედგება:

რა́ ექმნა́, რა́ ეყო́

ან

მი́თ არ ჯე́რ ვა́რ

ან კიდევ შე́ნ მა́ს ჰგა́ვ და́ და სხვ., სადაც შეიძლება ოთხი მახვილი გვქონდეს: ˊ ˊ ˊ ˊ ლატენტური პაუზებით, რომლებსაც/†/ ქმნის.

ამგვარად, იმისდა მიხედვით, თუ როგორი შემადგენლობისაა სეგმენტი, გვექნება მახვილისა და პაუზების სხვადასხვაგვარი განაწილება მის ფარგლებში.

ერთმარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილ სეგმენტში შეიძლება გვქონდეს ოთხი მახვილი: ˊ ˊ ˊ ˊ; ორმარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილ ოთხმარცვლიან სეგმენტში გვექნება ორი მახვილი ˊ — ˊ —; სამმარცვლიანი და ერთმარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილ სეგმენტში შეიძლება გვქონდეს: — — — ˊ ან ˊ — — —; ერთი ორმარცვლიანი სიტყვისა და ორი თითომარცვლიანი სიტყვისაგან შედგენილმა სეგმენტმა შეიძლება ასეთი სახე მიიღოს: ˊ — ˊ ˊ ან ˊ — — — და ასე შემდეგ, იმდენი ვარიანტი, რამდენი შესაძლებლობაც არსებობს სხვადასხვა სილაბური სტრუქტურის მქონე სიტყვების საშუალებით ოთხმარცვლიანი სეგმენტის შესადგენად.

ამგვარად, ცხადია, რომ ვეფხისტყაოსნისა და საერთოდ ქართული პოეტური ნაწარმოების კითხვის დროს სიტყვები უნდა წავიკითხოთ ისე, როგორც ეს ჩვეულებრივია და ნორმალური ქართულისათვის, ბუნებრივი მახვილებით, იმისდა მიხედვით, თუ როგორი სტრუქტურისაა სიტყვა:

ნა́ხეს უ́ცხო | მო́ყმე ვი́ნმე || ჯდა́ მტი́რალი | წყლი́სა პი́რსა

შა́ვი ცხე́ნი | სადა́ითა || ჰყვა́ ლო́მსა და | ვი́თა გმი́რსა

და არა ფსევდო-ქორეებისა და დაქტილების გავლენით აღმოცენებული „თეორიების“ საფუძველზე, სიტყვების განაწილებით არარსებულ „ტერფებს“ შორის და არაბუნებრივი მახვილებით ბოლოდან პირველ მარცვალზე:

ნა̀ხეს | უ̀ცხო | მო̀ყმე | ვი̀ნმე || ჯდა̀ მტი|რა̀ლი | წყლი̀სა | პი̀რსა

შა̀ვი | ცხე̀ნი | სა̀და|ვი̀თა || ჰყვა̀ ლომ|სა̀ და | ვი̀თა | გმი̀რსა.

ჩვენ დავინახეთ, რომ მახვილი კი არ განსაზღვრავს სეგმენტის სტრუქტურას, არამედ, პირიქით, თვითონ განაწილდება სეგმენტის ფარგლებში იმის და მიხედვით, თუ როგორი სტრუქტურისაა სეგმენტი. აქედან ცხადია, რომ სეგმენტებად და „ტერფებად“ დანაწილებას მახვილი ვერ დაედება საფუძვლად. იგი მას აძლევს მხოლოდ ტემბრს, ექსპრესიულობას და სხვ. ისე, როგორც სეგმენტში შემავალი სხვა კომპონენტები: /ŧ/, პაუზები, სხვადასხვა სტრუქტურის მარცვლები, სიტყვები და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ /ŧ/-ის ბუნება მეტად რთულია და იცვლება მოსაუბრიდან მოსაუბრემდე და შემთხვევიდან შემთხვევამდე. კიდევ მეტი, ერთი და იგივე პირიც კი შეიძლება სხვადასხვაგვარად იყენებდეს მას. ასე რომ არ იყოს, შეუძლებელი იქნებოდა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს H. A. Gleason-ი, ლიტერატურული ნაწარმოების ზეპირი ინტერპრეტაცია და შერჩევა იმ ვარიანტისა, რომელიც წამკითხველს მიაჩნია ყველაზე შესაფერად მოცემული კონტექსტისათვის. მაშინ მხატვრული კითხვა დაკარგავდა ექსპრესიულობას და შეიცვლებოდა მექანიკური კითხვით, რადგან მისი განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა[77].

1. 9. 1 რუსთველის ლექსის სტრუქტურული თავისებურება მეტად საყურადღებოა ლექსთწყობის თეორიის ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხის შესასწავლად. ეს არის პრობლემა მეტრისა და რიტმის მიმართებისა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ავტორს ეს პრობლემა დაძველებულად და დრომოჭმულად მიაჩნია[78], ლიტერატურაში ლექსთწყობის შესახებ დღემდე გრძელდება დავა. მკვლევართა ნაწილისათვის ეს ერთი და იგივე ცნებებია, მაშინ როდესაც სხვები რიტმსა და მეტრს მკვეთრად განარჩევენ ერთმანეთისაგან და ამ განსხვავებას უდებენ საფუძვლად ლექსთწყობის საკითხების კვლევა-ძიებას[79].

ზოგიერთი მკვლევარის[80] აზრით, რიტმი ისეთს მიმართებაშია მეტრთან, როგორც ალოფონი ფონემასთან, ე. ი. მეტრი არის ერთგვარი იდეალური სქემა, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ ფაქტობრივად რეალიზებული ელემენტებისაგან.

ამჟამად ჩვენ აქ არ შევეხებით ამ პრობლემის განხილვას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რუსთველის ლექსის ანალიზი, რომელიც ზემოთ არის წარმოდგენილი, აშკარად გვიჩვენებს, რომ ვეფხისტყაოსანში ერთი მეტრის ფარგლებში გვაქვს ორი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული რიტმი, რომლებიც კარედის სხვადასხვაგვარ სეგმენტაციაზე არიან დამოკიდებული. აქედან ნათელია, თუ როგორი ურთიერთობაა მეტრსა და რიტმს შორის ქართულში. ასეთი მიმართებები სხვაგანაც გვხვდება[81], თუმცა, შეიძლება, არც ისე ჩამოყალიბებულად, როგორც ვეფხისტყაოსანში. ეს დაპირისპირება ლექსთწყობის ზოგიერთ სისტემაში ასე აშკარად გამოსახული არა ჩანს. შეიძლება იყოს ლექსთწყობის ისეთი სისტემები, სადაც საერთოდ არ არსებობდეს ასეთი დაპირისპირება. ამიტომ იქნებ უფრო მართებული იყოს, რომ საკითხი მეტრისა და რიტმის ურთიერთობის შესახებ სხვადასხვა შემთხვევაში სხვა-

დასხვაგვარად გადაწყდეს, იმისდა მიხედვით თუ ლექსთწყობის როგორ სისტემასთან გვაქვს საქმე. ყოველ შემთხვევაში რუსთველის ლექსში ამ მოელენათა სხვადასხვა ხასიათი ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

1. 10. 1 ამასთან დაკავშირებით ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია უნივერსალური ხასიათი მიეცეს „მეტრის“ ცნების განსაზღვრას, რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში ეხვდებით. ცნობილია, მაგალითად, რომ კლასიკური ბერძნულის ჰექსამეტრში რიტმს ქმნის გრძელ და მოკლე მარცვალთა გარკვეული, კანონზომიერი თანმიმდევრობა და არა მარცვალთა რაოდენობა, რომელიც შეიძლება იმავე „ზომის“ კარედის ფარგლებში იცვლებოდეს ცამეტიდან ჩვიდმეტამდე. ერთგვარად მსგავსი მდგომარეობა გვაქვს არაბულ ʿარუ̄ძში, სადაც იდეალური საზომები buḥūr (მხოლ. baḥr „მდინარე“, შემდეგში „დიდი მდინარე, ზღვა“, შდრ. ბერძნ. ῥυθμος „რიტმი, პროპორცია, სიმეტრია, გაზომილი მოძრაობა“, ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია სიტყვებთან ῥέω, ῥεῖω, ῥεῦμα „მდინარება, დინება“, „მდინარე“), რომლებისგანაც შედგება არაბული მეტრიკული სისტემა, პრაქტიკულად რეალიზებულია ხოლმე განსხვავებული სიდიდეებით, არაბები awzān (მხოლ. wazn „წონა, ზომა“, შდრ. ქართული ვაზნა) aš-šiʿr „ლექსის ზომებს“ რომ უწოდებენ[82].

ინგლისურ ლექსს თავის ისტორიის მანძილზე ორგვარი ტიპის მეტრი ახასიათებდა: 1. სილაბურ-აქცენტუალური მეტრი (the syllable-stress meter), ინგლისური პოეზიისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ტიპი, მახვილიანი მარცვლების განსაზღვრული რაოდენობით, რომლებსაც მიუძღვის ან მისდევს კონსტანტური რაოდენობა უმახვილო მარცვლებისა; და 2. ძველერ-მახვილიანი მეტრი (the strong-stress meter), ძველი პოეზიისა და ზოგიერთი თანამედროვე პოეტისათვის დამახასიათებელი ზომა, რომელშიც სტრიქონი შეიცავს მახვილიანი მარცვლების გარკვეულ რაოდენობას, ხოლო მათთან (მახვილიან მარცვლებთან) დაკავშირებული სუსტი მარცვლების რაოდენობა ცვალებადია[83].

რუსულისათვის ჯერ კიდევ ა. ბელიმ[84] დააღგინა, რომ რუსულ კლასიკურ ლექსში ძალიან ხშირად მახვილი არ გვხვდება იქ, სადაც მოსალოდნელი იყო თეორიული სქემის შესაბამისად. მიმდინარე საუკუნის ოციან წლებში ვ. მ. ჟირმუნსკიმ[85] და ბ. ვ. ტომაშევსკიმ[86] დაამუშავეს თეორია, რომლის მიხედვითაც რიტმი, „ლექსის მახვილის ემპირიული რეალობა“, დაუპირისპირდა „იდეალიზირებული პოეტური მეტრის აბსტრაქტულ სქემას“[87].

ძნელი არ არის დავინახოთ, რომ აქ ჩამოთვლილი პოეტური მეტყველების სისტემებისათვის მეტრი მართლაც წარმოადგენს განყენებულ, იდეალურ სქემას, რომელიც სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოვლინდეს „ემპირიულ რეალობაში“, რომელსაც რიტმი ქმნის.

ამას გრძნობდნენ ჯერ კიდევ არაბები, რომლებმაც ზომათა აბსტრაქტული სქემები buḥūr დაუპირისპირეს პრაქტიკულად ხმარებულ awzān-ს, ხოლო რუსულ და დასავლეთევროპულ პრაქტიკაში შეიქმნა კონცეფცია მეტრის, როგორც აბსტრაქტული ცნების შესახებ. დამახასიათებელია, რომ W. K.

Wimsatt-მა და M. C. Beardsley-მ თავიანთ გამოკვლევას მეტრის შესახებ უწოდეს: „მეტრის ცნება: ვარჯიში აბსტრაქციაში“[86].

სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს ვეფხისტყაოსანში და, არსებითად, საერთოდ ქართულ პოეზიაში. აქ ლექსის მეტრი სავსებით რეალური სიდიდეა, რომელიც შეიძლება განიზომოს მარცვალთა რაოდენობის მიხედვით. ამასთან მთელი ტექსტის მანძილზე, ზემოთ ჩამოთვლილი სისტემებისაგან განსხვავებით, ეს სიდიდე უცვლელი რჩება, თუმცა შეიძლება სხვადასხვაგვარად დაიყოს სეგმენტებად, რის შედეგადაც განსხვავებულ რიტმს ვღებულობთ. ამიტომ სხვა სტრუქტურის ლექსთწყობის შესწავლისას აღმოცენებული დებულება მეტრის შესახებ, რომ ეს „აბსტრაქტული სქემაა“, არ შეიძლება მექანიკურად გადმოვიტანოთ ქართულისათვის.

1. 11. 1 ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ ის შეფარდებები, რომლებიც ვეფხისტყაოსნისა და საერთოდ კლასიკური ქართული ლექსისათვის არის დადგენილი, მთელ რიგ ინდოევროპულ ენებსაც ახასიათებს და საერთო ინდოევროპულისათვისაც ივარაუდება.

ინდოევროპული მეტრიკისათვის A. Meillet-მ[89] პირველმა გამოიყენა შედარებითი მეთოდი და დაადგინა ისტორიული ურთიერთობა ბერძნულ და ვედურ სანსკრიტულ ლექსთწყობათა შორის, მათი წარმოშობა საერთო ინდოევროპული ტიპიდან. გაირკვა, რომ ეს ენები წარმოადგენენ საერთო ინდოევროპულის რეფლექსს არა მარტო ლინგვისტურ ფენომენებში, არამედ აგრეთვე პოეტურ ფორმაში. შემდეგში R. Jakobson-მა[90] დაადგინა ამ საერთო ინდოევროპული მეტრიკული სისტემის მესამე რეფლექსი, საერთო სლაური, ხოლო უფრო გვიან Calvert Watkins-მა[91] ამ სისტემის კელტური შესატყვისები მოძებნა.

R. Jakobson-ის დასკვნით პაროემიაკული „ანდაზური ლექსი“ ბერძნული მეტრის უძველეს სახეობას წარმოადგენდა, როგორც მეტრიკული ფორმის, ისე პოეტური ფუნქციის თვალსაზრისით. ეს იყო ყველაზე ახლოს საერთო ინდოევროპულ პროტოტიპთან, რომელსაც იგი გნომიკურ-ეპიკურ ათმარცვლედს უწოდებს. ინდოევროპულის ეს ლექსი წარმოადგენს „გრძელ სტრიქონს“ და გამოყენებული იყო უფრო ფორმალური სტილისათვის. ის უპირისპირდებოდა „მოკლე სტრიქონს“, რომელსაც იგივე სტრუქტურა, მაგრამ მარცვალთა ნაკლები რაოდენობა (რვა) ახასიათებდა. ამასთან იგი ნაკლებ ფორმალური სტილისათვის იყო განკუთვნილი[92]. ეს ბინარული ორგანიზაცია ლექსისა, გრძელი და მოკლე სტრიქონების ოპოზიცია, დამახასიათებელია ყველა მეტრიკული სისტემისათვის, რომელიც კი ინდოევროპულიდან მომდინარეობს[93].

9. 1 ჩვენ დავინახეთ, რომ რუსთველის ლექსს და, საერთოდ, კლასიკურ ქართულ ლექსს აგრეთვე ორმაგი დიქოტომია უდევს საფუძვლად. A. (1). სიმეტრია; (2). ასიმეტრია, ე. ი. დაყოფა კარედებისა თანაბარ (4 4 || 4 4) და არათანაბარ (5 3 || 5 3 ან 5 3 || 3 5 ან 3 5 || 3 5 ან 3 5 || 5 3) სეგმენტებად. B. (1). მოკლე ზომა (16 მარცვლიანი ლექსი, რვა-რვა მარცვლით თითოეულ ნახევარკარედში), რომლითაც ნაწერია თითქმის მთელი ვეფხისტყაოსანი, აგრეთვე ორი სტროფი თამარიანში, და (2). გრძელი ზომა (ოცმარცვლიანი ლექსი, ათ-ათი მარცვლით თითოეულ ნახევარკარედში, რომლითაც ნაწერია მეხოტბეების პოეზია, აგრეთვე ერთი სტროფი ვეფხისტყაოსანში).

დიქოტომიური დაპირისპირება სიმეტრიული და ასიმეტრიული კარელებისა, რაც ვეფხისტყაოსანშია გამოვლინებული, როგორც ცნობილია, თავს იჩენს აგრეთვე ქართულ ხალხურ პოეზიაშიც[94], რის გამო ჯერ კიდევ ნ. მარმა ვეფხისტყაოსნის შაირი ხალხურისაგან წარმოშობილად მიიჩნია[95]. ეს დიქოტომია გასდევს, მაგ., ხევსურულ პოეზიას, რომელსაც ლექსის სტრუქტურაშიც, ისე, როგორც თვით ენაში, აშკარად არქაული ნიშნები ახასიათებს.

საყურადღებოა, რომ იგივე დიქოტომიაა გატარებული სვანურ ლექსშიც, სადაც სიმეტრიულ რვამარცვლიან კარედებში (შეფარდებით: 4 4) ხშირად ჩართულია ცალკეული ასიმეტრიული სტრიქონები (ოქროს კვეთის პროპორციით 5 3 ან 3 5).

მეორე მხრივ გვაქვს ათმარცვლიანი ლექსი, შეფარდებით 5 5[96]. შეიძლება სპეციალურმა კვლევა-ძიებამ საერთო მეგრულ-ლაზურშიც გამოავლინოს ანალოგიური სტრუქტურები, მიუხედავად იმისა, რომ იქ სანდჰის მოვლენების წყალობით მნიშვნელოვანი ინნოვაციები შეიმჩნევა.

ყოველ შემთხვევაში, კლასიკურ ქართულ ლექსსა (აგრეთვე სვანურსა) და ინდოევროპულს შორის არსებული ანალოგია ახლა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ჯერჯერობით, ვიდრე ქართველური შედარებითი ლექსთწყობის შესწავლის დარგში თითქმის არაფერი გაკეთებულა, ზედმეტი იქნება ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა ამ მსგავსების მიზეზების შესახებ: არის ეს შედეგი ადრინდელი კონტაქტებისა, საერთო წარმოშობისა, თუ აქ საქმე გვაქვს უბრალო იზომორფიზმთან?

ვიდრე ამ საკითხების განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა მონოგრაფიულად იქნეს შესწავლილი ქართული პოეტური მეტყველების ყველა ძეგლი, როგორც ეს ვეფხისტყაოსნისათვის გაკეთდა. კლასიკური ქართული ლექსისა და ხალხური (კერძოდ ხევსურული) პროსოდიული სტრუქტურების ერთმანეთთან მიმართების საკითხები (გენეზისის, ურთიერთგავლენის, პრიორიტეტის — სიძველის თვალსაზრისით და სხვ.) მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაირკვეს, თუ ისტორიული თვალსაზრისით შესწავლილი იქნება ქართული ლექსი საერთოდ, და კერძოდ, ქართული კლასიკური ლექსი, მეგრულ-ლაზურთან და სვანურთან შედარებით. ქართველურ ენათაგან ამჟამად მხოლოდ ქართული ლექსის სტრუქტურაა ასე თუ ისე შესწავლილი. მეგრულ-ლაზური და სვანური ლექსის სტრუქტურის შესწავლისათვის ჯერჯერობით ძალიან ცოტაა გაკეთებული, ხოლო ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანური შედარებითი-ისტორიული მეტრიკის დარგში თითქმის არაფერი მოგვეპოვება. ასევე მნიშვნელოვანია ლექსის სტრუქტურის შედარებით-ტიპოლოგიური შესწავლა, სხვა ლექსთა სისტემებთან კონტაქტების შედეგების, აგრეთვე გავლენებით თუ სხვა ფაქტორებით გამოწვეული ინნოვაციების გამოვლენა, რაც შედარებით-ისტორიული კვლევა-ძიების წინაპირობაა, რათა საერთო ქართველური მეტრიკული სტრუქტურის პირვანდელი სახე იქნეს აღდგენილი პირველი მიახლოებით მაინც.

თუ ამგვარი შედარებით-ისტორიული კვლევა-ძიების შედეგად დადასტურდა, რომ ორმაგი დიქოტომია, რომელიც კლასიკურ ქართულ ლექსს ახასიათებს, საერთო ქართველური ლექსთწყობის სისტემისათვისაც შეიძლება ვივარაუდოთ (ამისათვის ამჟამად უკვე სერიოზული საფუძველი არსე-

ბობს) და მის რეფლექსს წარმოადგენს, მაშინ გვექნება ინდოევროპულთან შეხების უაღრესად საყურადღებო დამთხვევა ლექსთწყობის დარგშიც, რასაც ენის სტრუქტურის სხვა სფეროშიც ხედავენ[97].

ყოველ შემთხვევაში, შედარებითი ტიპოლოგიის[98] დონეზე უკვე ახლა შეიძლება დადგენილად მივიჩნიოთ ქართული კლასიკური ლექსისა და ინდოევროპულის სტრუქტურათა ძალიან დიდი მსგავსება.

1. 12. 1 რუსთველის ლექსისა და საერთოდ ქართული ლექსის სილაბური ხასიათი ბევრ[99] მკვლევარს აღუნიშნავს. ამჟამად, ვფიქრობთ, სადავო აღარ უნდა იყოს, რომ რუსთველის ლექსი არის არა stress-timed rhythm, არამედ syllable-timed rhythm[100], ე. ი. კადენციები, რომლებიც დახასიათდება მარცვალთა ტენდენციით, გამეორებული იქნენ დროის ამა თუ იმ განზომილების ინტერვალებში, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა რაოდენობა გვაქვს ბგერებისა მარცვალში ან რა რაოდენობა გვაქვს მახვილებისა სეგმენტებში. ეს არის რეგულირებული სილაბური ლექსი, რადგან სავალდებულოა, რომ ნახევარკარედი კიდევ გაიყოს ორ სეგმენტად, სულერთია, თანაბრად (4 4=8) თუ ოქროს კვეთზე (3 5 ან 5 3=8). ამ მხრივ რუსთველის ლექსის სტრუქტურა გაცილებით უფრო მეტად განვითარებული და რთული ჩანს, ვიდრე ფრანგული ეპოსისა და დრამის დამახასიათებელი ჰეროიკული ალექსანდრიული ლექსისა, რომელიც უკვე 1180 წლის ახლო ხანებშია ჩამოყალიბებული და პოეზიის უმაღლესი დარგების კუთვნილებად ითვლებოდა მთელი საუკუნეების მანძილზე.

ალექსანდრიულ ლექსში[101] სავალდებულო არ არის, რომ თორმეტმარცვლიანი სტრიქონის ნახევარკარედი კიდევ დანაწილდეს სეგმენტებად (შდრ. Je vois, je sais, je crois, || je suis désabusée, კორნელი), თუმცა იქაც გვხვდება შემთხვევები, როდესაც ნახევარკარედი კიდევ ორად არის გაყოფილი სამ-სამმარცვლიან სეგმენტებად (რ ა ს ი ნ ი), ან მთელი კარედი სამი ოთხმარცვლიანი სეგმენტისაგან შედგება (ჰ ი უ გ ო). ზოგჯერ ცეზურა მახვილით მეექვსე მარცვალზე სულ ქრება ნახევარკარედთა შორის, ისე რომ ვღებულობთ ერთ მთლიან, დაუნაწევრებელ კარედს (რ ო დ ე ნ ბ ა ხ ი). გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც წმინდა სილაბური ფრანგული ლექსის კარედებში მარცვალთა რაოდენობა იცვლება (ლ ა ფ ო ნ ტ ე ნ ი)[102].

1. 12. 2 ვეფხისტყაოსნის ტექსტის ანალიზი, დამყარებული მთლიანად მთელი პოემის შესწავლაზე, საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ერთეულები, რომლებიც საფუძვლად უდევს რუსთველის ლექსის ზომას და ქმნიან პროპორციულ მიმართებათა დიდ რაოდენობას, ზოგიერთ სხვა ლექსთა სისტემების მსგავსად[103], ამჟღავნებენ მჭიდრო კავშირს მეტრიკულ-გრამატიკულ ელემენტთა შორის. სტროფის საზღვარი ემთხვევა პოემის სინტაქსურ-სემანტიკურად და სტრუქტურულად დამთავრებულ ნაწილს, კარედი მთავრდება იქ, სადაც მთავრდება წინადადება ან ფრაზა, თუნდაც იგი კომპონენტური წინადადება იყოს: ე. ი. უფრო რთული წინადადების შემადგენელ ელემენტს წარმოადგენდეს; ხოლო სეგმენტის საზღვარი, როგორც წესი, ემთხვევა სიტყვის საზღვარს. მთელ ამ რთულ მიმართებებს მარცვლებსა, სიტყვებსა, სეგმენტებსა, კარედებსა და სტროფებს შორის საფუძვლად უდევს სიმეტრია და „ღვთაებრივი პროპორცია“.

რუსთველის შემდეგ, საუკუნეების განმავლობაში, ვეფხისტყაოსნის რიტმსა და მეტრს ბევრი პოეტი იყენებდა და იყენებს, მაგრამ როგორც სხვა მხრივ, პროსოდიის თვალსაზრისითაც ვეფხისტყაოსნის დონისათვის არავის მიუღწევია. მერმინდელ ავტორებთან ჩვენ ხშირად ვხვდებით დარღვევებს, სხვადასხვა სტრუქტურის სეგმენტთა აღრევებს და მთელ რიგ სხვა გადახვევებს ნორმიდან. ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი კარედის ფარგლებში მოთავსებულია სიმეტრიული და ასიმეტრიული სეგმენტები, დარღვეულია სეგმენტთა საზღვრები და ეკვივალენტური სიმეტრიის ან დინამიკური პროპორციისათვის საჭირო შეფარდებები. ვეფხისტყაოსანში ჩვენ ასეთს დარღვევებს ვერ ვხვდებით და პროპორციულ შეფარდებათა სიმეტრიულობის მხრივ მას ძნელად თუ მოეპოვება ბადალი.

II

რ ი თ მ ა

2. 1 ვეფხისტყაოსნის რითმა[1] თავისი სიმდიდრით, ჟღერადობითა და მუსიკალობით იმდენად მკვეთრად გამოირჩევა ლექსის სხვა ნაწილებისაგან, რომ ყოველი სარითმო კლაუზულა მუსიკალურ აკორდს ემსგავსება. ამის მიზეზია: (1) რითმის მაწარმოებელ მარცვალთა თავისებურება კარედის სხვა ნაწილებში გამოყენებულ მარცვლებთან შედარებით; (2) რთული და მრავალფეროვანი ხასიათის მქონე სარითმო კლაუზულის გარკვეული, სიმეტრიული მიმართება სეგმენტის სტრუქტურასთან.

2. 1. 1 დიქოტომია, რომელიც ვეფხისტყაოსნის კარედის სეგმენტაციაში არის გატარებული, თავს იჩენს რითმაშიც. სიმეტრიული და ასიმეტრიული სტროფები უპირისპირდება ერთმანეთს რითმის თვალსაზრისითაც:

A. თუ კარედის სეგმენტები წყვილმარცვლიანია (მაღალი შაირი), რითმაც ჩვეულებრივ წყვილმარცვლიანია.

B. კენტმარცვლიანი სეგმენტებისაგან შედგენილ კარედებში (დაბალი შაირი) რითმაც კენტმარცვლიანი იქნება.

ამ პროპორციის დარღვევის რამდენიმე შემთხვევაა, მაგ., 53-ე სტროფში:

მოგებულსა — დიდებულსა — სწავლებულსა — დადებულსა.

ან კიდევ მე-6 სტროფში:

ხელოვანება — გონება — ხსენება — მონება.

თუ ამ სტროფში რითმად ჩავთვლით ნება კომპლექსს, მაშინ გამოვა, რომ კენტმარცვლიან სეგმენტებთან გვაქვს წყვილმარცვლიანი რითმა, რაც ეწინააღმდეგება ვეფხისტყაოსნის რიითმების განაწილების პრინციპს. თუ რითმად მივიღებთ სამმარცვლიან კომპლექსს ოწება, როგორც მეორე და მეოთხე კარედებში გვაქვს, მაშინ პირველ და მესამე სტრიქონებში სამმარცვლიანი რითმის ნაცვლად გვექნება ორმარცვლიანი რითმა, რაც აგრეთვე დარღვევაა. რამდენადაც ასეთი შემთხვევა მხოლოდ ერთია მთელ ვეფხისტყაოსანში დადასტურებული, უნდა ვიფიქროთ, რომ მეექვსე სტროფის ტექსტი ერთ ნაწილში დამახინჯებულია.

მაშასადამე, ვეფხისტყაოსნის რითმების ორი სახეობა უპირისპირდება ერთმანეთს: ორმარცვლიანი (მაღალ შაირში) და სამმარცვლიანი (დაბალ

შაირში). ამის შესაბამისად რითმათა სიმფონიაც, რომელიც ქვემოთ იბეჭდება, ორ ნაწილადაა გაყოფილი. პირველ ნაწილში წარმოდგენილია ორმარცვლიანი რითმები მაღალი შაირისა, ხოლო მეორე ნაწილში — სამმარცვლიანი რითმები დაბალი შაირისა.

2. 1. 1. მაღალი შაირის რითმები. მაღალ შაირში, როგორც ვიცით, გვაქვს ოთხმარცვლიანი სეგმენტები: 4 4. შესატყვისი სტრუქტურისაა რითმაც, რომელიც შეიძლება მთლიანად იმეორებდეს სეგმენტის სილაბურ სიგრძეს, ე. ი. ოთხი მარცვლისაგან იყოს შედგენილი. მაგრამ ვინაიდან ოთხმარცვლიანი რითმის წარმოება პრაქტიკულად ძნელი განსახორციელებელია და ენის შესაძლებლობა ამ მხრივ მეტად შეზღუდულია, ოთხმარცვლიანი რითმის მაგალითები ძალიან ცოტაა, სულ დადასტურებულია შვიდი შემთხვევა:

რითმა ასადაგეს:

ერთგან დასხდეს, ილაღობეს, საუბარი ასად აგეს,
ბროლ-ბალახში შეხვეული და გიშერი ასადაგეს;
ყმა ეტყვის, თუ: „შენთა მჭვრეტთა თავი ხელი, ა, სად აგეს!
ცეცხლთა, შენგან მოდებულთა, გული ჩემი ასადაგეს“, (136)*.

რითმა უშენოსა:

«ღმერთმან თუ მცა ენა ჩემი ქებად შენდა უშენოსა,
შენთვის მკვდარი, აღარ ვიტყვი, მაშა მომკლავ უშენოსა,
მზემან ლომსა ვარდ-გიშერი ბაღჩას ბაღად უშენოსა,
შენმან მზემან, თავი ჩემი არვის მართებს უშენოსა! (487).

რითმა არიდენო:

«თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად არ იდენო,
ამას იქით ნუღარ იდენ, გულსა ჭირნი არიდენო;
შენნი მჭვრეტნი ჩემთა მჭვრეტთა აგინებენ, არ იდენო;
რომე წელან მოგეხვივნეს, იგი ჩემთვის არიდენო (488).

რითმა დაებადა:

„მისი ნახვა გულსა ჩემსა ვითა ბადე დაებადა,
მუნვე დარჩა, დათმობაცა მასთანავე დაება, და-;
რათგან დასწვავს მოახლეთა, ღმერთსა მზედცა დაებადა,
მერმე ასმათ ჩემთვის დისა მართ დად უფრო და ებადა (725).

რითმა არემარე:

მოეხვია, გარდუკოცნა მას პირისა არე-მარე:
„დამიესეო ცეცხლი ცხელი, მაგრა წყალი არ ემარე;
ვინ გიშერი დააჯოგა და წამწამი არემა-რე,
გვალე, შეგყრი, ლომო, მზესა, თავი მისკე არე, მარე“ (1518).

რითმა არიანო:

ეტყვის: „მზეო, ვითა გაქო, ნათელო და დარიანო!
შენთვის ხელნი გონებანი არა ცუდად არიანო,

* ფრჩხილებში ჩასმული ციფრები სტროფებს აღნიშნავს.

მზიანო და მთვარიანო, ეტლად რაო და რიანო,
თქვენ საჭვრეტლად აღარ მინდით, არ ვარდნო და არ იანო“ (1523).

და სამი სტროფიც არაიდენტური ოთხმარცვლიანი რითმით:

აეკიდა — აგეკიდა — არდმეკიდა — არეკიდა (სტროფი 267)
აერგების — არ ეგების — აეგების — აეგების (სტროფი 298)
უბნევია — უთქმევია — უთნევია — უქნევია (სტროფი 368)

2. 1. 3 საკალდებულო არაა, რომ რითმა იმეორებდეს თავისი მოცულობით სეგმენტს. ლექსთწყობის მრავალი სისტემიდან ჩვენ ვიცით, რომ რითმა და სეგმენტი ან ტერფი სხვადასხვა ზომის ერთეულებით არის წარმოდგენილი. მაგ., არაბულში ხშირად გვაქვს ოთხ- და ხუთმარცვლიანი ağzā'-ები, მაგრამ რითმა, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ერთმარცვლიანია. ამავე დროს ერთმარცვლიანი ტერფი არ არსებობს. ორმარცვლიანი რითმა უკვე ორმაგ რითმად ითვლება. ამიტომაც უწოდა ‹ბუ ლ-ʿალაʾ მაʿარრი-მ თავის ორმარცვლიანი რითმით ნაწერი ლექსების კრებულს luzūm mā lam yalzam („ვალდებულება იმისა, რაც საკალდებულო არ არის“). ასეთივე მდგომარეობაა სპარსულში. რუსული და საერთოდ სლავური, გერმანული, ინგლისური პოეზიიდან ცნობილია ათასობით მაგალითი, როდესაც იამბიკური ორმარცვლიანი და ანაპესტური ან დაქტილური სამმარცვლიანი ტერფებისაგან შედგენილ კარედებში რითმა „ვაჟურია“ (ერთმარცვლიანი), ასევეა მრავალი სხვა ხალხის პოეზიაში. ვეფხისტყაოსანში რითმის მოცულობა განსაზღვრულ პროპორციულ მიმართებაშია სეგმენტთან: ან, როგორც დავინახეთ, იმეორებს მას მთლიანად (იშვიათად), ან მის ნაწილს (ჩვეულებრივ), მაგრამ ისე, რომ ეს ნაწილი გარკვეულ პროპორციაში უნდა იყოს მთელთან. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ოთხმარცვლიანი რითმების წარმოება დიდი რაოდენობით ენობრივი შესაძლებლობის ფარგლებს სცილდება. ამიტომ ბუნებრივია, რომ მაღალ შაირში უმთავრესად ნაკლები ოდენობის მარცვლებია გამოყენებული რიითმად. მაგრამ ეს „ნაკლები“ ოდენობა მაღალ შაირში შეიძლება იყოს მხოლოდ ო რ ი, რადგან მაღალი შაირის თექვსმეტი მარცვალი გეომეტრიული პროპორციის მიმართებაზეა აგებული.

ამის შესაბამისად რითმის საწარმოებლად ორმარცვლედია გამოყენებული, რადგან ორმარცვლიანი რითმა ისეთს მიმართებაშია სეგმენტთან, როგორც თვით სეგმენტი — ნახევარკარედთან და ნახევარკარედი — კარედთან: 2 4 8 16.

ორმარცვლიანი რითმების საწარმოებლად, ბუნებრივია, ყველაზე მეტად ორმარცვლიანი სიტყვებია ნახმარი. ამის მაგალითები მრავლადაა ქვემოთ გამოქვეყნებულ სიმფონიაში. ტექსტის ლექსიკური ინვენტარი ამის დიდ შესაძლებლობას იძლევა, ვინაიდან ორმარცვლიანი სიტყვების რაოდენობა, როგორც ვიცით, 40,2%-ს აღწევს (16.897 ერთეული 41.990-იდან). მაღალი შაირის 2892 კარედში ორმარცვლიანი რითმებისათვის 1151 სიტყვაა გამოყენებული.

რამდენადაც ორმარცვლიან სიტყვას ქართულში აქვს ტენდენცია, მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე ატაროს, ხოლო ორმარცვლიანი სიტყვებისაგან ნაწარმოები ორმარცვლიანი რითმების რაოდენობა თითქმის ორმოც პრო-

ცენტს (39,8%) აღწევს, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მაღალი შაირის რითმები „ქორეულია“.

მაგრამ ეს არის შემთხვევითი მსგავსება, „ტროქეული ტენდენცია“, როგორც R. Jakobson-ი იტყოდა, ერთგვარი „პროსოდიული სიჭარბის“ ხასიათის მოვლენა და არა ლექსის სტრუქტურის საფუძველი. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მახვილი რითმაში ისევე არ ასრულებს მაორგანიზებელ როლს, როგორც ლექსის სტრუქტურის სხვა ნაწილებში. ეს კარგად ჩანს ისეთს შემთხვევებში, როდესაც მაღალი შაირის ორმარცვლიანი რითმა ნაწარმოებია ერთმარცვლიანი, სამმარცვლიანი ან ოთხმარცვლიანი სიტყვების საშუალებით, სადაც მახვილის სხვადასხვაგვარი განაწილება გვაქვს.

2. 1. 4 ორმარცვლიანი რითმის საწარმოებლად ოთხმარცვლიანი სიტყვებიც ხშირად არის გამოყენებული, რაც მაღალი შაირისათვის აგრეთვე ბუნებრივია. ორმარცვლიანი რითმა ისეთსავე მიმართებაშია ოთხმარცვლიან სიტყვასთან, როგორც ოთხმარცვლიან სეგმენტთან და სავსებით შეესატყვისება მაღალი შაირისათვის დამახასიათებელ პროპორციულ მიმართებებს.

ოთხმარცვლიანი სიტყვების გამოყენების შემთხვევები ორმარცვლიანი რითმის საწარმოებლად მრავლად მოიპოვება:

დამიმძიმდა — გამიღიმდა — გარდმოსწვიმდა — მიაქიმდა (512).
მოყვანებად — ნაბრძანებად — მოსვენებად — მოპოვნებად (509).
მოითვალეს — იფერმკრთალეს — ანაცვალეს — უცხენმალეს (171).
დასადებლად — ასაგებლად — წასაგებლად — დამავსებლად (795).
დამიწყლულა — გამისრულა — გარდასრულა — გაბასრულა (852).
მომეარნეს — შეიყარნეს — გამეხარნეს — შემეზარნეს (897) და სხვ.

ამგვარად, ორმარცვლიანი რითმებისათვის გვაქვს მაღალი შაირის 2.892 კარედში 2.512 ორმარცვლიანი და ოთხმარცვლიანი სიტყვები. ეს შეადგენს მაღალი შაირის რითმათა საერთო რაოდენობის 86.86%-ს.

დანარჩენი 13.14%-ისათვის უმთავრესად გვხვდება სამმარცვლიანი სიტყვები მაგ.,

რითმა არი:
დარი — მკვდარი — არის — სამარი (8).
რითმა არგა:
ვარგა — კარგა — იბარგა — დამკარგა (161).
კარგა — ვარგა — დაკარგა — გარ, გა- (1066).
რითმა არა:
მოიარა — იარა — მიმხვდარა — მიიყარა (180).
რითმა ახა:
ივაგლახა — გამოსახა — ენახა — შეუზახა (191).
რითმა ედით:
წამოვედით — გარდავხედით — წავედით — ქედით (197).
რითმა ონე:
ღონე — მაპატრონე — გამიგონე — გაქონე (450).
რითმა არდეს:
აჩქარდეს — დაუწყნარდეს — გაგიმწარდეს — გარდაქარდეს (532).

რითმა ირდა:

მიღირდა — მისჭირდა — გაპირდა — გამიკვირდა (836).

რითმა ალეს:

ახვალეს — დათვალეს — გარდმოცალეს — გაცვალეს (1041).

სამმარცვლიანი სიტყვებისაგან ორმარცვლიანი რითმის წარმოების ასეთი შემთხვევები, როგორც აღვნიშნეთ, 13%-მდე აღწევს.

2. 1. 5 არის შემთხვევები, როდესაც ორმარცვლიანი რითმის შესაქმნელად ორი თითო მარცვლიანი სიტყვაა გამოყენებული.

რითმა უნდა:

შემობრუნდა — უნდა — შემიძრწუნდა — მუნ, და- (89).

შემიბრუნდა — უნდა — მუნ, და- — შეგვიძრწუნდა (601).

რითმა წამე:

აწამწამე — შევიწამე — გამიწამე — წა-, მე (133).

რითმა ედრე:

მხნედ-რე — ზედა-ზედ-რე — შეიევედრე — მოიმდედრე (157).

რითმა მისად:

დგმისად — ყმისად — მი-, სად — მისად (247).

რითმა ევრად:

ბევრის-ბევრად — ტევრად — შემაქცევრად — ლევ რად (269).

რითმა ახა:

მენახა — გაემკვახა — დაგესახა — გლახ, ა (288).

რითმა ურად:

სამსახურად — მამაცურად — თუ რად — მურად (297).

რითმა ირსა:

პირსა — ძირსა — ჭირსა — ღირს-ა (350).

რითმა ითხე:

ჰკითხე — წავიკითხე — სითხე — მით ხე (352).

რითმა ინა:

წინა — მინა — შინა — ვინ-ა (356).

მომისმინა — ვინ-ა — შინა — შეარჩინა (766).

წინა — ვინ-ა — მოესმინა — აფრქვევინა (975).

წინა — მინა — ვინ-ა — შინა (1111).

წინა — ვინ-ა — შეაშინა — შინა (1118).

წინა — შინა — გვინა — ვინ-ა (1261).

რითმა ავრე:

გავემგზავრე — დავიავრე — ვააზავრე — ვყავ-რე (457).

რითმა ერა:

მღერა — ჟღერა — დღე რა — ვერა (481).

რითმა აჰყო:

დაჰყო — გაჰყო — აჰყო — აჰ-ყო (521).

რითმა ერმან:

მტერმან — ერმან — სახიერმან — ვერ მან (569).

რითმა ეწა:

და-ცა-მლეწა — ეხეწა — მე, წა-, — გარდეხეეწა (619).

რითმა იცხე:

სიცხე — გავიკიცხე — ვიცხე — ისც ხე (621).

რითმა ურვა:

ცურვა — ურვა — თუ რვა — მდურვა (642).

რითმა ირსა:

პირსა — გჰირსა — ღირს-ა — მცირსა (666).

გმირსა — პირსა — ღირს-ა — ჰირსა (1519).

რითმა ადრად:

ადრად — ღადრად — კადრად — სხვად რად (748).

რითმა ეწნა:

შეალეწნა — აძეწნა — ხე წნა — აახეწნა (751).

რითმა ერად:

ბერად — მღერად — მე რად — ვერად (777).

რითმა ესა:

ჰკრესა — სიდიდესა — სიალფესა — დღეს-ა (1026).

რითმა არგა:

კარგა — ეარგა — დაკარგა — გარ, გა- (1066).

რითმა ევა:

ყოფა-ქცევა — ფრქვევა — თნევა — მე, ვა (1133).

რითმა ერა:

მე რა — ვერა — მზერა — სიძუნწე რა (1392).

რითმა ითხეს:

ვით ხეს — მოიკითხეს — გაითხეს — ითხეს (1410).

რითმა ერა:

ვერა — ეფერა — დამებერა — ჯერ-ა (1512).

2. 1. 6. ზოგჯერ ერთმარცვლიანი სიტყვა აწარმოებს ორმარცვლიან რითმას წინამავალი სიტყვის ბოლოკიდურ მარცვალთან ერთად.

რითმა ეწა:

აიხეწა — დაილეწა — ერთ-სახე, წა-, — შეეხვეწა (650).

რითმა ისხეს:

შემოისხეს — შეარისხეს — ისხეს — ედემის ხეს (76).

რითმა ჰ(ვ)ირად:

დუხჭირად — დანამჭირად — საეჭვი რად — რაცა ჭირად (126).

რითმა ხოცა:

დაგეხოცა — მოეხოცა — დამამხო ცა — მოლახოცა (127).

რითმა ადა:

დაგბადა — სადა — მედიადა — იეფად-ა (134).

რითმა ახე:

დაასახე — შემინახე — დაჭნა ხე — მიეაგლახე (155).

რითმა ინა:

მინა — გაითაეისწინა — გაირბინა — თინათინ-ა (169).

რითმა იწა:

გარდაჰფრიწა — დაამიწა — მოამიწა — ამაყი, წა- (206).

რითმა ევა:

თქმევა — გამორჩევა — ფრქვევა — დაერჩე, ვა (240).

რითმა ინა:

გინა — შინა — არავინ-ა — ეწყინა (261).

წინა — არავინ-ა — მოაელინა — მინა (626).

შინა — არავინ-ა — მინა — ისმინა (1079).

რითმა ელვა:

ელვა — ერთხელ ვა — ღელვა — წამოქელვა (597).

რითმა ურვა:

ჩამობურვა — თუ რვა — ცურვა — დიაცურ ვა (606).

რითმა ერვა:

მე რვა — ბერვა — წვერვა — ათასჯერ ვა (698).

რითმა რიდა:

ღვრიდა — დასჭრი, და — გაგრიდა — შეგყრიდა (903).

რითმა ერე:

მოგიწერე — ჯერე — სიალფე-რე — დაიჯერე (1274).

რითმა ერა:

მე რა — ვერა — მზერა — სიძუნწე რა (1392).

2.2 დაბალი შაირის რითმები. დაბალი შაირის ასიმეტრიული სეგმენტები, როგორც დავინახეთ, კენტმარცვლიანია: 5 3 ან 3 5. ამის შესაბამისად კენტმარცვლიანია რითმაც, რომლის სიმფონია ქვემოთ იბეჭდება.

კენტმარცვლიანი რითმებისათვის, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტად გამოყენებულია ხუთმარცვლიანი და სამმარცვლიანი სიტყვები, რომელთა რაოდენობა 3.452 კარედისათვის აღწევს 2952 ერთეულს ე. ი. 85.51%-ს, რაც დაახლოებით ისეთსავე შეფარდებას იძლევა, როგორსაც ოთხმარცვლიანი და ორმარცვლიანი სიტყვები მაღალ შაირში. ამგვარად, გვაქვს:

A. ეკვივალენტური სიმეტრიის პროპორციაში (მაღალი შაირი) რითმა — ორმარცვლიანი (იშვიათად ოთხმარცვლიანი), სიტყვები — ორმარცვლიანი და ოთხმარცვლიანი: 86.86%.

B. ოქროს კვეთის პროპორციაში: რითმა სამმარცვლიანი (ერთხელ ხუთმარცვლიანი), სიტყვები — სამმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი: 85,51%.

2. 2. 1 კენტმარცვლიანთა რაოდენობა რითმაში შეიძლება იყოს ხუთი ან სამი. ერთმარცვლიანი რითმა ვეფხისტყაოსანში არ არსებობს, საერთოდ იგი ძველ ქართულ პოეზიაში იშვიათია (შდრ. ფილიპე ბეთლემის ლექსი) და უმთავრესად გვიან ვრცელდება აქა-იქ ქართულში უცხო ენების გაელენით და მეტად ხელოვნური ჩანს, რის გამოც არ დამკვიდრდა.

რამდენადაც ხუთმარცვლიანი რითმა სიმეტრიულად შეეფარდება დაბალი შაირის სეგმენტს, მისი გამოყენება რითმად სავსებით კანონზომიერია, მაგრამ პრაქტიკულად ძნელი განსახორციელებელი, რადგან შერჩევა დიდი რაო-

დენობით ისეთი სიტყვებისა, რომლების დაბოლოებანი ხუთი იდენტური მარცვლისგანაა შედგენილი, დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ხუთმარცვლიანი რითმების გამოყენება იძულებულს გახდიდა პოეტს, რომ მიემართა ისეთი სიტყვათა თამაშისათვის, რომელიც მეხოტბეების პოეზიას ახასიათებს (აქამანდა ვით — აქა მან? დავით და სხვ. მსგავსი მაგალითები, რომლებიც ზემოთაა ნაჩვენები). რუსთველი ასეთს კალამბურებს ძალიან იშვიათად იყენებს. მთელი ტექსტის მანძილზე ამგვარი „ზმების“ მხოლოდ თითოოროლა შემთხვევა გვხვდება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოეტი განზრახ გაურბის ამ ხელოვნური და შეფერადებული ენით სიტყვების გარითმვას. ასეთი ხუთმარცვლიანი რითმით ერთი სტროფი მაინც გვაქვს, თითქოს იმის საილუსტრაციოდ, რომ პოეტს ასეთი რითმების შეთხზვაც შეეძლო (თუ კი ეს სტროფი პოემის პირვანდელ ტექსტს ეკუთვნის და შემდეგ არაა ჩამატებული):

„რად სიცხე გულსა ნიადაგ მწვავს გმირსა სამს ალებისა?
რად გული კლდისა ტინისა შემქმნია სამ სალებისა?
არ შეუძლია ლახვარსა დაჩენა სამსა ლებისა,
შენ ხარ მიზეზი სოფლისა ასრე გასამსალებისა“ (1014).

აქ რითმაა სამსალებისა, მართალია, ბოლოდან მეექვსე მარცვალიც (ა) საერთო აქვთ ამ სიტყვებს, მაგრამ იგი რითმის სათვალავში ვერ მოვა, რადგან მაშინ დაბალ შაირში მივიღებდით ექვსმარცვლიან რითმას, რაც ასიმეტრიულად შედგენილ კარედებში დაუშვებელია. ექვსმარცვლიანი რითმა საერთოდ ქართულ პოეზიაში არ არსებობს.

2. 2. 2. 1 ამგვარად, ასიმეტრიული კარედების რითმა, თუ ცალკეულ (1014) გამონაკლისებს არ მივიღებთ მხედველობაში, სამმარცვლიანია.

სამმარცვლიანი რითმის წარმოებისათვის პირველ რიგში, როგორც მოსალოდნელი იყო, სამმარცვლიანი სიტყვებია გამოყენებული. 3452 კარედისათვის სამმარცვლიანი სიტყვის ხმარების 1807 შემთხვევა გვაქვს.

ვინაიდან სამმარცვლიან სიტყვას ჩვეულებრივ მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე მოუდის, ინტუიციურ დონეზე აქაც იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მაღალი შაირის რითმა „დაქტილურია“. მაგრამ ისე, როგორც ორმარცვლიან რითმებთან „ტროქეული რითმები“ არ წარმოადგენენ საფუძველს და მხოლოდ „ტროქეულ ტენდენციას“ ქმნიან, დაბალ შაირშიც კარედის დაბოლოება შემთხვევით ემსგავსება „დაქტილურ რითმას“ და ქმნის „დაქტილურ ტენდენციას“, არსებითად კი, როგორც დავინახავთ, ეს დაქტილი არ არის. ეს ნათლად ჩანს რითმაში მახვილის განაწილების მრავალფეროვნებით, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

სამმარცვლიანი რითმისათვის სამმარცვლიანი სიტყვების გამოყენების მაგალითები მრავლად შეიძლება დავასახელოთ. არის შემთხვევები, როდესაც დაბალი შაირის ოთხივე კარედის სარითმო სიტყვა სამმარცვლიანია:

რითმა იდითა:

რიდითა — მშვიდითა — რიდითა — დიდითა (123).

რითმა ობისა:

თხრობისა — თმობისა — ხმობისა — ცნობისა (124).

რითმა იდისა:

დიდისა — შვიდისა — ხიდისა — კიდისა (182).

რითმა ენასა:

სმენასა — ენასა — ლხენასა — დენასა (305).

რითმა ელია:

წელია — ძნელია — მქმნელია — მწველია (332).

რითმა იანად:

სვიანად — ზიანად — გვიანად — ტყვიანად (456) და სხვ.

2. 2. 2. 2 მრავლად გვხვდება აგრეთვე შემთხვევები, როდესაც სამმარცვლიანი რითმისათვის ხუთმარცვლიანი სიტყვებია გამოყენებული.

რითმა ებითა:

გრძნებითა — ხელოვნებითა — დასდგებითა — მოქმედებითა (1226).

რითმა ანია:

წაუტანია — მზანია — გულოვანია — ხანია (1229).

რითმა ენაო:

ზენაო — ამაზრზენაო — ლამაზ-ენაო — შენათხზენაო (1258).

რითმა ებული:

ძმად-შეფიცებული — ქებული — დაწუნებული — გაგონებული (1260).

რითმა ევია:

შენახევია — შენართევია — მიმირთმეევია — დალევია (1269).

რითმა აენია:

განამყღვანია — გამიგზავნია — სანახაენია — შაენია (1278).

რითმა მარია:

პატიმარია — საომარია — ნაწვიმარია — უამარია (1307).

რითმა ებულთა:

შეფიცებულთა — რებულთა —მიახლებულთა — გამქღავნებულთა (1376) და სხვ.

2. 2. 2. 3 არის დაბალ შაირში სამმარცვლიანი რითმის საწარმოებლად ოთხმარცვლიანი სიტყვების გამოყენების შემთხვევები.

რითმა ებითა:

გრძნებითა — ხელოვნებითა — დასდგებითა — მოქმედებითა (1226).

რითმა ებიან:

გარდასწედებიან — დგებიან — დასცდებიან — მოედებიან (12Ე7).

რითმა იდიან:

ყაოსცდიდიან — მოჰკიდიან — სჭრიდიან — გაჰყიდიან (1357).

რითმა ელისა:

მასპინძელისა — ხელისა — გრძელისა — სიძნელისა (1072).

რითმა მარები:

მოგეხმარები — მარები — საომარები — ვექმარები (1458).

რითმა ონების:

დაელონების — გემონების — გეგონების — მოგეწონების (1503).

რითმა ირისა:

ჭირისა — პორფირისა — პირისა — გმირისა (1526).

რითმა ოდიან:

ხადოდიან — მოიტყოდიან — იქმოდიან — მოვიდოდიან (1569).

2. 2. 2. 4 ზოგჯერ სამმარცვლიანი რითმა ნაწარმოებია ორმარცვლიანი სიტყვით წინამავალ სიტყვასთან ან მის ბოლო მარცვალთან ერთად.

რითმა მანები:

ნათარგმანები — საგოგმანები — საჭოჭმანები — ლამაზმა ნები (9).

რითმა ესადრე:

ეს ადრე — უყვითლესად-რე — უგრძესად-რე — წესად-რე (138)

რითმა ცადენით:

გავიცადენით — ცად ენით — შევეცადენით—ცრემლისაცა დენით (202).

რითმა იდენით:

დავეზიდენით — კიდ ენით — დავერიდენით — კი დენით (205).

რითმა ერითა:

მე რითა — ფერითა — წვერითა — ჩხერითა (222).

რითმა ევინო:

მე, ვინო — მათქმევინო — მოგაკლეევინო — დაგახევინო (238).

რითმა დანამან:

ბანამან — დანამან — გაიყვანა მან — ან ამან (351).

რითმა იცითა:

ვიცითა: — მტკიცითა — ფიცითა — ვზი ცითა (406).

რითმა აცითა:

მამაცითა — კაცითა — და ცითა — კვლაცითა (418).

რითმა ემისად:

მე მისად — თაყვანის-ცემისად — ჩემისად — ხე მისად (484).

რითმა ასების:

ეათასების — მას ების — დაიფასების — დაედასების (490).

რითმა ჭ(ვ)ირისა:

ჭირისა — დუხჭირისა — განაჭვირისა — მომხვეჭი რისა (682).

რითმა იცისა:

მტკიცისა — ფიცისა — მი-, ცისა — უიცისა (516).

ფიცისა — მტკიცისა — უიცისა — მი-, ცისა (697).

რითმა ებარე:

მდებარე — მქებარე — მზე ბარე — მე ბარე (523).

რითმა ახარა:

გვახარა — გლახ, არა — ივაგლახა რა — დახარა (541).

რითმა ჯარისა:

ცხენ-აბჯარისა — ჯარისა — ეაჯა რისა — დამსაჯარისა (605).

რითმა ჭ(ვ)ირისა:

ჭირისა — დუხჭირისა — განაჭვირისა — მომხვეჭი რისა (682).

რითმა მინები:

მი-, ნები — მინები — მოუთმინები — მონასმინები (688).

რითმა დაღარად:

და ღარად — დასადებლად აღარად — დაღა რად — სალხინოდ აღარად (705).

რითმა შავითა:

შავითა — გამქუშავითა — მაშა ვითა — დავაშავითა (754).

რითმა ავითა:

და ვითა — შესართავითა — მისჭირდა ვითა — ამბავითა (834).

რითმა ერია:

სწერია — მტერია — ვერ ია — ფერია (844).

რითმა არითა:

სარითა — სიწყნარითა — საუბარითა — ეთქვა რითა (879).

რითმა არვებდა:

არვებდა — მოაქარვებდა — დააკარვებდა — არ ვებდა (881).

რითმა ახისა:

სახისა — ახისა — და ხისა — წმახისა (886).

რითმა აცამდის:

ხმა ცამდის — კვლაცა მდის — და-ც-ამდის — კაცამდის (941).

რითმა ევითა:

ქცევითა — მე ვითა — მზე ვითა — რხევითა (967).

რითმა უნვასა/ურვასა:

ჭმუნვასა — მუნ ვასა — წურვასა — ბრუნვასა (991).

რითმა ახალსა:

მასალსა — მზახალსა — ახალ-ახალსა — გლახ, ალსა (1000).

რითმა ავითა:

ნავითა — შავითა — მკლავითა — ჩნდა ვითა (1011).

რითმა ევრითა:

მჭევრითა — ტევრითა — ბევრითა — მევ, რითა (1049).

რითმა ევინა:

გაახსნევინა — დაათვლევინა — გააწევინა — მე ვინა (1067).

რითმა ევითა:

უკუწვევითა — ხე ვითა — შე-, ვითა — თნევითა (1086).

რითმა ეველად:

გასათრეველად — მზღეველად — დამაჭმეველად — მე ველად (1089).

რითმა ირითა:

ვირითა — მი-, რითა — ჭირითა — პირითა (1096).

რითმა ახველად:

მფახველად — უნახველად — მსახველად — ახ, ველად (1168).

რითმა ევარი:

მდევარი — მოსაწევარი — მე ვარი — მზღევევარი (1190).

რითმა ელურად/ერულად:

ხელურად — მელურად — მტერულად — მე რულად (1194).

რითმა არენით:

არენით — დაიჯარენით — მოვაგვარენით — არ ენით (1196).

რითმა ერასა:

მე რასა — მზერასა — წერასა — ქვე რასა (1198).

რითმა სადარე:

სატანას ადარე — სად არე — სად არე — სად არე (1201).

რითმა კიდენით:

გავაკიდენით — მოეკიდენით — წავეკიდენით — კი დენით (1222).

რითმა ასები:

პირ-ნასები — ხასები — სამათასები — რას ები (1231).

რითმა ადამან:

მაგარ-ვადამან — გაუცხადა მან — დანაბადამან — ვისმანლა დამან (1232).

რითმა ავისად:

შესართავისად — ნავი სად — ვარდია ვისად — ყვავისად (1241).

რითმა ოხისა:

ოხისა — მო-, ხისა — ნოხისა — ქოხისა (1248).

რითმა ორანი:

მო-, რანი — სწორანი — ყორანი — შორანი (1256).

რითმა ენიე:

მომასმენიე — მოვალხენიე — მოალხენიე — შენ იე (1259).

რითმა ებნელი/ნებელი:

მძებნელი — მტკებნელი — მცნებელი — მზე ბნელი (1268).

რითმა ირალი (ისალი):

მტირალი — ვის ალი — გასაგმირალი — გამომჭვირალი (1279).

რითმა აწები:

მონაღვაწები — ამონაწები — ვაწები — აწ ები (1280).

რითმა ევრები:

მჭევრები — ტევრები — ბევრები — მევ რები (1323).

რითმა ოტანი:

ცოტანი — მეოტანი — კოტანი — მო-, ტანი (1373).

რითმა ევითა:

რჩევითა — მზე ვითა — მე ვითა — სათნევითა (1389).

რითმა ენები:

მონახსენები — ნათენები — ცხენები — მძლე ნები (1390).

რითმა ირითა:

პირითა — ჭირითა — არ-სიძვირით-ა — გარდვიხდი რითა (1438).

რითმა ადება:

დადება — წადება — ცხადება — კმა დება (1456).

რითმა ავისსა:

თავისსა — მოეკლა ვისსა — სანახავისსა — და ვისსა (1529).

რითმა იქები:

ჭიქები — სიქები — იქები — იქ ები (1537).

რითმა ახავად:

მზრახავად — მსახავად — მევაგლახავად — ახ, ავად (1551).

რითმა ევასა:

ფრქვევასა — მე ვასა — თნევასა — წვევასა (1552).

რითმა ა(რ)დოსა:

დაბადოსა — დაიქადოსა — უდილადოსა — არ დოსა (1564).

2. 2. 2. 5 ზოგჯერ ერთმარცვლიანი სიტყვაც ქმნის წინამავალ სიტყვასთან ან მის ნაწილთან ერთად სამმარცვლიან რითმას.

რითმა ღარისად:

გულ-მდუღარისად — მოლიზღარისად — ღარი სად — აღარისად (85).

რითმა ამითა:

სკამითა — ამით-ა — ჟამით-ა — წამითა (102).

რითმა ესადრე:

ეს ადრე — უყვითლესად-რე — უგრძესად-რე — წესად-რე[2] (138).

რითმა ესითა:

კენესით-ა — წესითა — მკვლავ-უგრძესითა — კვესითა (192).

რითმა ანამან:

ბანამან — შაოსანამან — შეიყვანა მან — დანამან (263).

ბანამან — დანამან — გაიყვანა მან — ან ამან (351).

რითმა იარე:

გამოვიარე — მიარე — გამიზიარე — დამიტია-რე (389).

რითმა ანისად:

დანისად — ჯანი სად — ტანისად — ხანისად (510).

რითმა ახარა:

გვახარა — გლახ, არა — იეაგლახა რა — დახარა (541).

რითმა ინარე:

წინა-რე — ვინ არე — სისხლ-ჩამომდინარე — გამიცინა-რე (561).

რითმა ახიოს:

ახიოს — ახიოს — აეაგლახიოს — ახი ოს (702).

რითმა დაღარად:

და ღარად — დასადებლად აღარად — დაღა რად — სალხინოდ აღარად (705).

რითმა ენამან:

შუქ-ნაფენამან — ააყენა მან — შენამან — ლხენამან (1473).

რითმა გულისად:

გულისად — დადაგულისად — დაკარგული სად — დანერგულისად (1284).

რითმა ახემან:

არ-მეუზრახემან — სახემან — ალვისა ხემან — შევინახე, მან (729).

რითმა არომან:

სარომან — მიუმცთარომან — მიუმხედაროშან — არო მან (762).

რითმა ენისად:

ენისად — დენისად — თმენისად — ცხენი სად (823).

რითმა ამისად:

ამისად — წამისად — ჟამისად — ლამი, სად (875).

რითმა აცამდის:

ხმა ცამდის — კვლაცა მდის — და-ც-ამდის — კაცამდის (941).

რითმა ეოდა:

ირხეოდა — გარდიქცეოდა — უმხნეოდა — მზეო, და (943).

რითმა ისისად:

მისისად — დღისისად — ისი სად — მქისისად (973).

რითმა ავისად:

შესართავისად — ნავი სად — ვარდია ვისად — ყვავისად (1241).

რითმა ალისად:

ქალისად — მონაცვალისად — ფერ-ნამკრთალი სად — ძალისად (1252).

რითმა იამან:

წა-ცა-ხვია მან — იამან — ჰგია, მან — ღიამან (1311).

რითმა ილისად:

გასწავლილისად — ღიმილისად — წახდომილისად — მონდომილი სად (1337).

რითმა ირისად:

ჭირისად — გმირისად — ქვიტკირი სად — პირისად (1387).

რითმა ირითა:

პირითა — ჭირითა — არ-სიძვირით-ა — გარდვიხდი რითა (1438).

რითმა სალამე:

გამომსალამე — სალამე — მას ალამე — სალა მე (1562).

რითმა ენამან:

დააშვენა მან — წყენამან — ლხენამან — ზენამან (1580).

2. 2. 2. 6 დასასრულ არის რამდენიმე შემთხვევა სამმარცვლიანი რითმის წარმოებისა სამი თითომარცვლიანი სიტყვის საშუალებით.

რითმა ედარად/ებარად:

მზე დარად — ქვე ბარად — ხედ არად — მე და რად (278).

რითმა ადესა:

მადესა — ბადესა — უქადესა — მზად ეს-ა (567).

რითმა ინარდა:

გაუჩინარდა — ვინ არ და-, — გასაწყინარდა—გასისხლმდინარდა (574).

რითმა ახისა:

ახისა — სახისა — მნახისა — ახ, ის-ა (679).

რითმა ესითა:

უცხელესითა — კვესითა — წესითა — მზე სით-ა (916).

2. 2. 3 აქ მოტანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ რითმის სამმარცვლედს სულ სხვა პროსოდიული ღირებულება აქვს, ვიდრე სეგმენტის სამმარცვლედს. სიტყვა არ შეიძლება გასცილდეს სეგმენტის სამმარცვლედს. რითმაში კი ასეთი შეზღუდვები არ არსებობს. ჩვენ ვნახეთ, რომ მრავლად მოიპოვება მაგალითები, როდესაც რითმის წარმოებაში სიტყვის მხოლოდ ნაწილი (ზოგჯერ ერთი, ხან კიდევ ორი მარცვალი) მონაწილეობს. ეს იმას ნიშნავს, რომ რითმის სამმარცვლედი არაა სეგმენტი ან ტერფი, იგი მხოლოდ შე-

მთხვეით უტოლდება სამმარცვლიან სეგმენტს თავისი მოცულობით, მაგრამ მეტრის თვალსაზრისით სულ სხვა ღირებულება აქვს. იგი არის სიმეტრიულ მიმართებაში სეგმენტთან, მაგრამ რიტმული ერთეული არ არის.

2. 2. 4 რითმა და მახვილი. XIX საუკ. და XX საუკ. დასაწყისის სახელმძღვანელოებში, რომლებიც რუსული და დასავლეთევროპული ლექსთწყობის შესასწავლად იყენებენ განკუთვნილი, გავრცელებული იყო შეხედულება, რომ რითმასთან განუყრელად არის დაკავშირებული მახვილი. რითმის ცნების იმ განსაზღვრებათა მიხედვით, რომლებიც ამ სახელმძღვანელოებშია წარმოდგენილი, „რითმა ეწოდება თანაჟღერადობას (созвучие) კლაუზულაში. დაწყებული უკანასკნელი მახვილიანი მარცვლიდან“[3].

ეს მოდელი ქართული ლექსთწყობის ზოგიერთმა მკვლევარმა შეუცნობლად[4] წარმოიდგინა ყველა ხალხის პოეზიისათვის სავალდებულო აბსოლუტურ უნივერსალიად და მექანიკურად გადმოიტანა ქართულში. როგორც ქვემოთ დაინახავთ, ეს ფორმულა რუსული და დასავლეთევროპული ლექსთწყობისთვისაც არ იყო ყოველთვის სწორი და მნიშვნელოვან კორექტივებს საჭიროებს იმისდა მიხედვით, თუ რომელ ენასთან და რომელ ეპოქასთან, ან კიდევ, რა ხასიათის ძეგლთან გვაქვს საქმე. მიუხედავად ამისა, ლიტერატურაში ქართული ლექსთწყობის შესახებ ჩვენ ვხვდებით ასეთს განმარტებებს: „რითმა ტაეპის იმ ნაწილთანაა მჭიდროდ დაკავშირებული, რომელიც უკანასკნელი მახვილიანი ხმოვნით იწყება და ტაეპთან ერთად თავდება“[5].

უცხო ენათა ლექსთწყობის მოძველებული სახელმძღვანელოებიდან მომდინარე ეს განმარტება ეეფხისტყაოსნის ლექსის ზოგიერთ მკვლევარს დღესაც ურყევ ჭეშმარიტებად მიაჩნია და ვერ წარმოუდგენია რითმა მახვილის გარეშე. ამ თვალსაზრისის თანახმად მაღალი შაირის რითმა ქორეულია, რამდენადაც იგი ორი მარცვლისაგან შედგება, ორმარცვლიანი სიტყვა კი ბოლოდან მეორე მარცვალზე ატარებს მახვილს; ხოლო დაბალი შაირის რითმა დაქტილურია, ვინაიდან სამმარცვლიანია, სამმარცვლიანი სიტყვები კი ბოლოდან მესამე მარცვალზე ატარებენ მახვილს. თუ ეეფხისტყაოსნის ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი სტროფის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს მოსაზრება ერთი შეხედვით არასპეციალისტს შეიძლება სწორი ეჩვენოს, მაგ., 868 სტროფში გვაქვს:

> «ვარდსა ჰკითხეს: „ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?
> მიკვირს, რად ხარ ეკლიანი? პოვნა შენი რად არს ჭირად?“
> მან თქვა: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად“;
> ოღეს ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად.

აქ რითმა არის ირად (ორმარცვლიანი), მის საწარმოებლად გამოყენებულია ორმარცვლიანი სიტყვები: პირად, ჭირად, ძვირად, ჩირად. ეს სიტყვები ბოლოდან მეორე მარცვალზე ატარებენ მახვილს და, მაშასადამე, თითქოს შეიძლება დავასკვნათ, რომ რითმა ქორეულია. მით უმეტეს, რომ ასეთი წარმოება ტექსტში ხშირია. მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი ეს არის შემთხვევითი, მხოლოდ „ქორეული ან ტროქეული ტენდენციის“ მაჩვენებელი და არა ძირითადი სტრუქტურული მოვლენა. ეს კარგად ჩანს ეეფხისტყაოსნის ტექსტის შემდეგი მაგალითებიდან: 865 სტროფში ვკითხულობთ:

„თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა:
ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა.
ჭირსა შივან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა.
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა.

ამ სტროფში რითმაა ირსა. მის საწარმოებლად პირველ, მეორე და მეოთხე კარედებში გამოყენებულია ორმარცვლიანი სიტყვები, მახვილით ბოლოდან მეორე მარცვალზე: პი́რსა, ტი́რსა, ჭი́რსა. მაგრამ რა ვუყოთ ცნობილი მესამე სტრიქონის სარითმო სიტყვას ქვი́ტკირსა? ეს ხომ სამმარცვლიანი სიტყვაა! სამმარცვლიან სიტყვებს ხომ მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე აქვს: ქვი́ტკირსა! თუ სიტყვას ნორმალურად წავიკითხავთ ქვი́ტკირსა, ქართული ენის ბუნების შესაბამისად, მაშინ „ქორეული“ კლაუზულა აღარ გვექნება, ხოლო თუ მახვილს გადავსვამთ იმ მიზნით, რომ „ქორეული“ კლაუზულა გამოვიყვანოთ, მაშინ დავარღვევთ მახვილის ხმარების იმ წესს, რომელიც სამმარცვლიანი სიტყვებისათვის არის დადგენილი. *„ქვიტკი́რსა“ ქართული ენისათვის მისაღები არ არის და არც თუ ვინმე წარმოთქვამს სიტყვას ამგვარად.

იგივე მდგომარეობა გვაქვს, მაგ., 134 სტროფში:

კელაცა ჰკადრა: „აჰა, მზეო, რათგან ღმერთმან მზედ დაგბადა,
მით გმორჩილობს, ზეციერი მნათობია რაცა სადა;
მე რომ თქვენგან მოვისმინენ წყალობანი, მედიადა.
ვარდი ჩემი არ დაჭნების, შუქი შენი იეფად-ა“.

ეს სტროფიც სიმეტრიული კატრენია; ორმარცვლიანია რითმა: ადა. მის საწარმოებლად გამოყენებულია სიტყვები: დაგბადა (3 მარცვ.); სადა (2 მარცვ.); მედიადა (4 მარცვ.); იეფად-ა (3 მარცვ.+1 მარცვ.). თუ ჩვენ სავალდებულოდ მივიჩნევთ, რომ სარითმო კლაუზულაში მახვილი მეორე მარცვალზე მოდიოდეს ბოლოდან, მაშინ უნდა წავიკითხოთ: *დაგბა́და, *მედია́და, *იეფად-ა́ და სხვ. მკითხველი ან ავტორი ხომ წინასწარ არ ანგარიშობს, სად დასვას მახვილი და სად არა! ის კითხულობს სიტყვებს ისეთი მახვილებით, როგორც ეს მიღებულია ენაში. ამიტომ ბუნებრივია, რომ პირველი კარედის სარითმო სიტყვას წაიკითხავს და́გბადა და არა დაგბა́და. მეორე კარედში გვექნება სა́და, მესამეში — მე́დიადა, მეოთხეში — იე́ფად-ა́ და მისთ.

იგივე მდგომარეობა გვაქვს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სარითმოდ ოთხმარცვლიანი სიტყვებია გამოყენებული, მაგ., 140-ე სტროფში:

მოშორვება საყვარლისა მას შეჰქმნოდა მისად ღაზოდ,
ცრემლსა ვითა მარგალიტსა სწვიმს ვარდისა დასანაზოდ.
რა გათენდა, შეეკაზმა მისთა მჭვრეტთა სალამაზოდ,
ცხენსა შეჯდა, გაემართა, დარბაზს მიჳა სადარბაზოდ.

ან კიდევ სტროფი 154:

„ლაშქართა და დიდებულთა ალაშქრებდი, ჰპატრონობდი;
დარბაზს კაცსა გაჰგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი,
წიგნსა სწერდი ჩემ მაგიერ, უფასოსა ძღვენსა სძღვნობდი,
აქა სადმე არ-ყოფასა ჩემსა მათმცა რად აგრძნობდი!

ან, მაგ., 155 სტროფი:

„ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დაასახე,
აქათ სამ წელ მომიცადე, ხვაშიადი შემინახე,
მე ნუთუმცა შემოვბრუნდი, ალეა ჩემი არ დაჭნა ხე,
არ მოვბრუნდე, მომიგლოვე, მიტირე და მიეაგლახე.

თუ ამ სარითმო სიტყვებს წავიკითხავთ ნორმალურად, ბუნებრივი მახვილებით: ღა́ზოდ, დასა́ნაზოდ, სალა́მაზოდ, სადა́რბაზოდ; ჰპა́ტრონობდი, სცნობდი, სძღვნობდი, აგრძნობდი, დაასახე, შე́მინახე, დაჭნა ხე, მივაგლახე და მისთ., მაშინ რითმა „ქორეული“ არ გამოვა, ხოლო თუ მახვილს დავსვამთ ბოლოდან მეორე ადგილზე, როგორც ამას ქორეული კლაუზულა მოითხოვს, მივიღებთ ქართული ენისათვის არაბუნებრივს, დამახინჯებულ და მიუღებელ წარმოთქმებს: *დასანა́ზოდ, *სალამა́ზოდ, *სადარბა́ზოდ, *ჰპატრონობდი, *აგრძნობდი, *დაასახე, *შემინახე, *მივაგლახე და მისთ.

იგივე მდგომარეობა გვაქვს მეხოტბეებთან. ცნობილ II, 16 სტროფში გამოვა მახვილის ასეთი განაწილება:

1. თამარ წყნარი,
   *შესაწყნარი,
   ჰმა-*ნარნარი,
   პირ-*მცინარი,
2. მზე-*მცინარი,
   *საჩინარი და სხვ.

ან კიდევ:

ელვა-*ეთერი
და *სიტყვიერი,
დარმანის ველი,
ედემს *მაღნარი.

წარმოთქმა *შესაწყნარი, *ნარნარი, *მცინარი, *საჩინარი, *ეთერი *სიტყვიერი *მაღნარი შეიძლება რომელიმე პროვინციელი სნობის დეკლამა-

ციისათვის იყოს დამახასიათებელი, მაგრამ სალიტერატურო ქართულის ნორ-

მებს ვერ ეგუება. კიდევ მეტი, თუ ეს წარმოთქმა (ხმა-*ნარნარი, მზე-*მცინა-

რი) პროვინციულ დეკლამაციაში მაინც შეიძლება შეგეხვედეს, სრულებით

წარმოუდგენელია ქართულ ლექსში მახვილი სიტყვის ბოლოდან პირველ მარ-

ცვალზე ფრანგულის მსგავსად: *დაჭნა́ (რითმა ახე: დაასახე — შემინახე —

დაჭნა ხე — მივაგლახე. სტროფი 155); *ედემის ხეს (რითმა ისხეს: შემოის-

ხეს — შეარისხეს — სისხლი ისხეს — ედემის ხეს. სტროფი 76); *მოლახო́

(რითმა ხოცა: დაგეხოცა, მოეხოცა — დამამხოცა — მოლახო ცა. სტროფი

127). *საეჭვი́ (რითმა ირად: დუხჭირად — დანამჭირად — საეჭვი რად —

რაცა ჭირად. სტროფი 126); *ამაყი́ (რითმა იწა: გარდაჰფრიწა — დაამიწა —

მოამიწა — ამაყი, წა-. სტროფი 206); *დავრჩე́, ვა, (რითმა ევა: თქმევა —

გამორჩევა — ფრქვევა — დავრჩე, ვა. სტროფი 240); *ერთხე́ლ (რითმა ელვა:

ელვა — ერთხელ ვა — ღელვა — წამოქელვა. სტროფი 597); *სიძუნწე́ (რით-

მა ერა: მე რა — ვერა — მზერა — სიძუნწე რა. სტროფი 1392); *დასჭრი́

(რითმა რიდა: ღვრიდა — დასჭრი, და- — გაგრიდა — შეგეყრიდა. სტროფი

903) და სხვ.

ასევე, უსარგებლოა დაბალ შაირში „დაქტილური“ რითმების ძებნა, ვი-

საიდან აქაც მივიღებთ მახვილის ისეთს უჩვეულო განაწილებას, როგორი-

ცაა: *მომხვეჭი́ (რითმა ჭ(ე)ირისა: ჭირისა — დუხჭირისა — განაჭვირისა —

მომხვეჭი რისა. სტროფი 682); *ეაჯა́ (რითმა ჯარისა: ცხენ-აბჯარისა —

ჯარისა — ეაჯა რისა — დამსაჯარისა, სტროფი 605); *მისჭირდა́ (რითმა

აეითა: და ვითა — შესართაეითა — მისჭირდა ვითა — ამბაეითა. სტრო-

ფი 834); *ალეისა́ (რითმა ახემან: არ-მეუზრახემან — სახემან — ალეისა ხე-

მან — შევინახე, მან, სტროფი 729).

მახვილის ასეთი განაწილების არაბუნებრიობას გრძნობს ყველა, ვისთვი-

საც მშობლიურია ქართული. მხოლოდ უცხოელს, მაგ., ფრანგს ან იტალიელს,

რომელსაც ცუდად შეუთვისებია ქართული ენა, შეიძლება ეჩვენოს, რომ

*დაჭნა́, *ედემის, *ალეისა́, *ნარნარი, *დაგბა́და დასაშვებია ქართულში. მე-

ტად დამახასიათებელია, რომ ქართული ლექსთწყობის ე. წ. „სილაბურ-ტონუ-

რი“ თეორიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ს. გორგაძე[9], მიუხედა-

ვად იმისა, რომ იგი ცდილობდა ქორეული და დაქტილური რითმები ენახა

ქართულში, მაინც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ისეთ შემთხვევებში, როგო-

რიცაა: მიწყდა — მიავიწყდა; ქარი — ლაშქარი; გული — ფრანგული

«შეუწყნარებელია ამგვარი რითმების ისეთი წაკითხვა, როგორსაც ზოგიერთი მგოსნის დეკლამაციაში ვხვდებით, სახელდობრ — რითმების გათანაბარმარცვლიანების მიზნით დაქტილური კლაუზულის წარმოთქმა ქალური აქცენტუაციით:

მი́წყდა — მიავი́წყდა,

ქა́რი — ლაშქა́რი,

გუ́ლი — ფრანგუ́ლი და სხვანი.

როგორც ქართული სამახვილო წესების განხილვამ გვიჩვენა, ოთხმარცვლოვანისა და სამმარცვლოვანი სიტყვების ასეთი მახვილით წარმოთქმა, როგორსაც აქ ვხედავთ, ქართული სალიტერატურო მეტყველებისათვის შეუწყნარებელია: ასეთი აქცენტუაცია რომელიმე კუთხის ან ჩვენი დედაქალაქის რომელიმე უბნის ჟარგონს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე იმას, რასაც ახალი სალიტერატურო ქართული ეწოდება»[7].

ს. გორგაძე ამ შემთხვევაში ასახავს თვალსაზრისს, რომელიც მიღებული იყო იმ დროს ნორმად სალიტერატურო ქართულისათვის. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის ოციან წლებში სიტყვათა მახვილების ასეთი გადასმა რითმის მახვილების გათანაბრების მიზნით (მე́რი — *ნამკე́რი, გაღმა-*გამო́ღმა — ბო́ღმა და მისთ.) დასაგმობად იყო მიჩნეული.

განსაკუთრებით გავრცელდა ქართული ენისათვის ასეთი არაბუნებრივი აქცენტუაცია უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე, უმთავრესად უცხოური ჯგაზური სიმღერების გავლენით. ს. გორგაძის შემდეგ ზოგიერთმა არაკომპეტენტურმა ავტორმა, რომელიც, როგორც ჩანს, თვითონ კითხულობდა ლექსებს იმგვარ პროვინციულ ჟარგონზე, ს. გორგაძეს რომა აქვს მხედველობაში, თავისი საკუთარი დეკლამაცია სავალდებულოდ მიიჩნია არა მარტო თანამედროვე, არამედ კლასიკური ქართული ლექსისთვისაც და უცხო ლექსთწყობის სახელმძღვანელოებში ამოკითხული წესი რითმაში მახვილის ხმარებისა ქართულზედაც გაავრცელა. ამ იმპრესიონისტულ საფუძველზე მიღებული დასკვნების გასამართლებლად შეიქმნა „თეორია"[8] მახვილის გადაადგილების შესახებ ქართულ ლექსში (მაგ., გვთავაზობენ ასეთ წაკითხვებს: *ნარნა́რი; *ლანკა́ნთა, *პინა́კთა, *დავამცირო́ და სხვ.), თანაც ემყარებიან რ. იაკობსონის ადრინდელ შრომას, სადაც ლაპარაკია „ენაზე პოეტური ძალმომრეობის"[9] შესახებ და მოჰყავთ რუსულის მაგალითიც, სადაც თითქოს ადგილი აქვს მახვილის გადაადგილებას.

მთელი ეს მსჯელობა, როგორც დავინახავთ, გაუგებრობაზეა დაშენებული.

არ შეიძლება უცხო ენობრივი კატეგორიები მოვახვიოთ ენას და სხვა ენათა ნორმები მექანიკურად გადმოვიტანოთ ქართულში. თუ, მაგ., რომელიმე ლექსთწყობის სისტემას ახასიათებს მახვილი სარითმო კლაუზულაში, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ენისათვის სავალდებულოა მახვილის ასეთი ხმარება; თუ ფრანგულ სილაბურ ლექსს ახასიათებს მახვილი კარედის ბოლოს ან ცეზურის წინა მარცვალზე, ეს არ იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ

ყველა სილაბურ ლექსში უთუოდ ისე უნდა იყოს ნახმარი მახვილი, როგორც ფრანგულშია. კიდევ მეტი, ისეთ ლექსთწყობის სისტემებშიც კი, სადაც დღეს მახვილი რითმასთანაა დაკავშირებული, ყოველთვის ასეთი მდგომარეობა არ იყო ძველ პოლონურ პოეზიაში ხშირად ირითმებოდა უმახვილო მარცვლები მაგ., wezbrał — ostał (იდენტურია უკანასკნელი, უმახვილო მარცვლები); ან კიდევ upor — sobie tor (პირველ სიტყვაში უმახვილო მარცვალი რითმაში, მეორე შემთხვევაში — მახვილიანი და სხვ.)[10]. ამასთან დაკავშირებით პოლონური და სლავური ლექსის ცნობილი მკვლევარი გ. ე. ხოლშევნიკოვი კ. ზავოძინსკიზე დაყრდნობით აღნიშნავს: «Независимо от того, как расставлялись в них ударения, были они словесными или групповыми, рифма будет либо разноударной, либо безударной, созвучными будут лишь заударные слоги. Совершенно ясно, что ударение в такого рода рифмах не играет структурной роли.

Нередко встречаются подобные рифмы и у поэтов XVI—XVIII вв.

Очень убедительный пример разноударной рифмы конца XVIII в. приводит К. Заводзиньский (Studia, 87)". აქ მოტანილია ნიმუში ფ. კნიაჟნინიდან (1750—1807), სადაც გვაქვს რითმები komysz—takiego?—Mysz, რომელთან დაკავშირებით ავტორი განაგრძობს:

„Синтаксическая структура последнего стиха требует сильной паузы перед последним словом*. Созвучны в четных стихах два последних слога, как и в обычной женской рифме, но ударения в них стоят на разных местах: во втором стихе — на предпоследнем слоге, в четвертом — на последнем и третьем с конца.

Очевидно, что ударение в польском стихе даже в XVIII в. не было основным структурным элементом рифмы — достаточно было созвучия независимо от акцента. Но это значит также, что ударение ни перед цезурой, ни в клаузуле не было первичным структурным элементом стиха. Чаще всего оно стояло на предпоследнем слоге стиха и полустишия, что было автоматическим следствием польского неподвижного ударения"[10].

ამის საფუძველზე კ. ზავოძინსკი, მ. დლუსკა და მათ მიხედვით ვ. ხოლშევნიკოვი ასკვნიან, რომ XV—XVII საუკ. პოლონური სისტემა ლექსისა იყო ატონური, „წმინდა სილაბური" და რომ მახვილის განაწილება კლაუზულებში და ცეზურების წინ არ იყო მეტრის მაწარმოებელი ნიშანი, ლექსის ფორმანტა. ამასთან, ვ. ხოლშევნიკოვს მოჰყავს კ. ზავოძინსკის მიერ ციტირებული აფორიზმი ადრინდელი ხანის პოლონელი პოეტისა Nos Poloni non curamus quantitatem syllabarum** „ჩვენ, პოლონელები, არ ვზრუნავთ მარცვალთა სიგრძეზე"[11].

ამგვარადვეა ჩეხურ სილაბურ ლექსში, სადაც მახვილი არ მონაწილეობს სარითმო კლაუზულის შედგენაში.

---

* ასეთი შემთხვევები ჩვენ მრავლად გვაქვს ეეფხისტყაოსნის ზემოთმოყვანილ ნიმუშებში ერთ-სახე, წა-, — შეეხვევნ; მე, წა-,—გარდეხვევნ; გვინა—ვინ-ა და სხვ.

** როგორც სწორად შენიშნავს ვ. ხოლშევნიკოვი, „სიგრძეს" იმ დროს პოლონეთში, ისე როგორც რუსეთში XIX ს. დასაწყისამდე, უწოდებდნენ მახვილს.

ასეევა არაბულში, სადაც მახვილი იშვიათად დაისმის სარითმო მარცვალზე, და ბევრ სხვა ენაში.

რუსულშიც კი, სადაც მახვილი ესოდენ დიდ როლს თამაშობს რითმის წარმოებაში, ყოველთვის ასეთი მდგომარეობა არ იყო. სიმეონ პოლოცკის (XVII ს.) სილაბურ ლექსში გვხვდება რითმები: безчи́сленны—жре́нны, ры́бствовахъ - я́ху, Ѳому́ — до́му, тобо́ю — твою́[12] და სხვ.; იან-ანდრეი ბელობოცკის „პენტატეუგუმ"-ში გვაქვს кину́т — поки́нут[13], რასაც რიგი მკვლევარი[14] იმით ხსნის, რომ მაშინ მახვილი არ წარმოადგენდა რუსულში, ისე როგორც პოლონურში, მეტრის ფორმანტას. მხოლოდ XVII საუკ. ბოლოს და XVIII საუკ. დამდეგს იწყება რუსული სილაბური ლექსის „ტონიზაცია" რუსული ენის ბუნების შესაბამისად[15]. შეიძლება იმ ადრინდელ პერიოდში გვქონდეს შემთხვევები მახვილის გადანაცვლებისა სიტყვაში, მაგრამ ეს იყო იშვიათი მოვლენა და დაბალი ღირსების მაჩვენებელი, რის გამო ა. კანტემირი წერდა: „Совсем не хвалю преложение силы с одного слога на другой, так чтоб вместо глава́, писать гла́ва, вместо зако́н писать за́кон и проч."[16]. რუსულ ლექსში სიტყვის მახვილი არ იცვლება მეტრიკული სქემის მიხედვით. პირიქით, რუსული ლექსთწყობის ძირითადი პრინციპი, როგორც ანდრეი ბელიმ[17] დაადგინა, იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია ერთისა და იმავე მეტრიკული სქემის სხვადასხვა რიტმული ტიპები არსებობდეს, იმისდა მიხედვით, თუ როგორაა მახვილიანი სიტყვები წარმოდგენილი სტრიქონის ფარგლებში. სწორი არაა ეიფიქროთ, რომ ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა რუს. зефи́ром და зе́фиром, му́зыка და музы́ка მახვილის „გადაადგილება" ხდება. აქ მახვილის გადასმა, ე. ი. „ენაზე პოეტური ძალადობა", რ. იაკობსონის სიტყვით რომ ვთქვათ, კი არა გვაქვს, არამედ პარალელური ფორმები, რომლებიც რუსულ ენას ახასიათებს[18]. პოეტს შეუძლია ენაში რეალურად არსებული ამ პარალელური ფორმებიდან ის აირჩიოს, რომელიც მას რიტმისთვის სჭირდება, მაგრამ თვითნებურად სიტყვაში მახვილს ვერ გადაიტანს, ხოლო თუ გადაიტანს, ამას შეაფასებენ როგორც დაბალი ღირსების ლექსს, პოეტის უმწეობას. რაც შეეხება რ. იაკობსონის თეზისს „ენაზე პოეტური ძალადობის" შესახებ, ამას ჯერ კიდევ ნ. ტრუბეცკოი უპასუხა, რომ „ენის მოთმინებას საზღვარი აქვს და ყოველგვარ ძალადობას ის ვერ აიტანს"[19]. შემდეგში კი თვით რ. იაკობსონმა უარყო თავისი ეს შეხედულება[20].

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ თურმე შესაძლებელი ყოფილა სარითმო კლაუზულის შედგენა ისე, რომ მახვილი არ მონაწილეობდეს. დამახასიათებელია, რომ Webster-ის უახლეს გამოცემებში რითმის განმარტებისას მახვილის ხსენება წინდახედულად ამოღებულია[21].

ძნელი წარმოსადგენია ვიფიქროთ, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი, რომელიც სრულყოფილად ფლობდა ქართულ ენას, ან კიდევ ქართული ენის აგრეთვე ღრმა მცოდნე მეხოტბეები ვერ ახერხებდნენ სიტყვების შერჩევას რიტმის ან რითმისათვის ისე, რომ ქართული ენა არ დაემახინჯებინათ. შეუწყნარებელია, რომ გენიალური პოეტი, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ერას სა-

ლიტერატურო ქართული ენის განვითარებაში, წარმოვადგინოთ რაღაც უმწეო მელექსედ, რომელიც „ძალადობას“ ხმარობს ენაზე იმისათვის, რომ რითმები შეაკოწიწოს. სინამდვილეში არ არსებობს არავითარი კვალი, რაიმე ნიშანი იმისა, რომ ან ვეფხისტყაოსანში, ან მეხოტბეებთან ადგილი ჰქონდა მახვილის „გადაადგილებას“. ისეთი რითმები, როგორიცაა **აძეწნა — ხე წნა; არავინ-ა — ისმინა; ედემის ხეს — ისხეს** და მისთ. მახვილის გადაადგილებას კი არ მოწმობენ, არამედ იმას, რომ მახვილი ქართულშიც არ იყო სარითმო კლაუზულის მაწარმოებელი სტრუქტურული ელემენტი, ისე როგორც მრავალ სხვა ენაში.

და თუ ღღეს მაინც პროვინციულ ჟარგონზე აღზრდილ დეკლამატორებს თავის ნებაზე გადააქვთ მახვილი და ამბობენ: ***ნამქერი, *გამოღმა, *ფრანგული**, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ მახვილი ქართულში, განსხვავებით რუსულის, ინგლისურის, გერმანულისა და მთელი რიგი სხვა ენებისაგან, არის მხოლოდ მექანიკური, ანტროპოფონური მოვლენა, იმდენად უმნიშვნელო ფუნქციონალური დატვირთვით, რომ მის გადატან-გადმოტანას ვერ გრძნობენ არა მარტო თვით დეკლამატორები, არამედ ქართული ლექსთწყობის ზოგიერთი მკვლევარიც. მოვლენა, რომელიც რელევანტური არაა ენაში, არ შეიძლება ლექსთწყობის სტრუქტურულ საფუძველს ქმნიდეს[22].

2. 2. 5. 1 **რითმა და მარცვალი.** ზემოთ (1. 8) ჩვენ დაწერილებით ვანვიხილეთ სეგმენტებში შემავალ მარცვალთა სტრუქტურული თავისებურებანი და დავინახეთ, რომ ვეფხისტყაოსანში და საერთოდ ქართულში მარცვლის მრავალგვარი ტიპი მოიპოვება. ერთი მარცვლის ფარგლებში შეიძლება გვქონდეს რამდენიმე თანხმოვანი ხმოვნის წინ ან ხმოვნის შემდეგ და სხვ.

სულ სხვა სურათი გვაქვს რითმის საწარმოებლად გამოყენებულ მარცვლებში. აქ, როგორც წესი, მარცვალს ქმნის: (1). მხოლოდ ხმოვანი: **ი-ა (მოშეხვია — თქვია — დია — გარდმეთხია)**; (2). ერთი თანხმოვანი და ერთი ხმოვანი: **ბა-რი — (ნაუბარი — უგრძნობარი — ნადებარი — ნაგუბარი)**; (3). ხმოვანი და ერთი თანხმოვანი: **აგ-ნი (გულ-სადაგნი — ცნობა-შმაგნი — დაგნი — ამხანაგნი)**; (4). თანხმოვანი — ხმოვანი—თანხმოვანი: **ალ-ვად (კრძალვად — ალვად — ალვად — მალვად)**; (5). იშვიათად ორი თანხმოვანი და ხმოვანი: **რგუ-ლი-ა (რგულია — ორგულია — საავარგულია — დაკარგულია)**; (6). ხმოვანი და ორი თანხმოვანი: **უ-ობს (სათუობს—უობს—ქსუობს—ცრუობს)**; (7). თანხმოვანი—ხმოვანი—ორი თანხმოვანი: **ა-დებს (გააცხადებს — დაბადებს — გააკვლადებს — აზადებს)**.

როგორც ვხედავთ, სარითმო კლაუზულაში შემავალ მარცვალთა სტრუქტურა გაცილებით მარტივია ან ნაკლებ მრავალფეროვანი, ვიდრე სხვა შემთხვევებში. აქ ჩვენ ვერ ვხვდებით თანხმოვანთა ისეთ თავმოყრას, როგორც სხვა სეგმენტებში. ეს სავსებით გასაგებია. შეუძლებელი იქნებოდა სარითმოდ მრავალი სხვადასხვა სიტყვის შერჩევა, რომელთაც მარცვალი (მით უმეტეს ორი და სამი მარცვალი) რამდენიმე ერთნაირი თანხმოვნისაგან აქვთ შედგენილი. ენის შესაძლებლობა ამის საშუალებას არ იძლევა.

2. 2. 5. 2 **საყურადღებოა თანხმოვანთა შერჩევა სარითმო კლაუზულის მაწარმოებელ მარცვალში.** თუ მათ ხმარების სიხშირის მიხედვით დავალაგებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: ს:1960; ნ:1795; ლ:1488; ბ:1479; დ:1257;

რ:1118; თ:644; ვ:489; მ:413; ხ:211; გ:146; ც:100; ტ:88; ზ:68; ფ:68; ქ:40; წ:40; კ:38; შ:28; ჯ:24; ყ:24; ღ:21; ჩ:8; ჭ:4; ჰ:4; ძ:1; ჰ:1; ჟ:0.

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებული თანხმოვნებია მჟღერები და სონორები: ნ, ლ, ბ, დ, რ; ნაკლებ ხშირად იხმარება სპირანტები და უფრო იშვიათად — ყრუ თანხმოვნები და აფრიკატები. გამონაკლისია ს, რომელიც ყველაზე ხშირადაა ნახმარი. ეს იმით აიხსნება, რომ ს არის მაწარმოებელი ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმანტებისა, რომლებიც ხშირად მონაწილეობენ რითმაში. მორფოლოგიური ფაქტორით აიხსნება აგრეთვე შედარებითი სიხშირე თ თანხმოვნისა (644), რომელიც მთელ რიგ ფორმანტში გვხვდება (მხოლ. მოქმედებითი ბრუნვა, მრ. რიცხვ. მოთხრ., ნათ. მიც. ბრუნვები და სხვ.).

მიუხედავად ამ გამონაკლისებისა, საერთოდ რითმაში გამოყენებულ თანხმოვანთა დიდი უმრავლესობა — 8.304, მჟღერი ან სონორია, ხოლო დანარჩენი 3.257 — სპირანტი და ყრუ თანხმოვნები.

ეს სავსებით ბუნებრივია. მჟღერი და სონორი თანხმოვანი ხმოვანთან ერთად მკვეთრად გამოჰყოფს რითმას სეგმენტში შემავალი სხვა მარცვლებისაგან და მეტ მუსიკალობას აძლევს მას. ამით აიხსნება, რომ სარითმო მარცვლებში გამოყენებულ თანხმოვანთა ასეთივე განაწილება ახასიათებს არა მარტო რუსთველს, არამედ აგრეთვე მეხოტბეებს, ვაჟას[23], ილიას, აკაკის[23] და ბევრ სხვა პოეტს.

კიდევ მეტი, ეს ტენდენცია, რომ რითმის საწარმოებლად გამოყენებული იქნენ მეტი მუსიკალობის მქონე მჟღერი და სონორი თანხმოვნები, ცალკეული გამონაკლისის გარდა, დამახასიათებელი იყო, როგორც ჩანს, ბევრი სხვადასხვა ხალხის პოეზიისათვის. ასე, მაგ., აბუ-ფარაჯ ალ-ვა'ვა დამასკელის დივანში, ე. კ რ ა ჩ კ ო ვ ს კ ი ს გამოანგარიშებით, რითმისათვის სჭარბობს ჳ და კ. ამგვარადვე გვაქვს ʿუმარ იბნ აბი რაბīʿასთან და მთელ რიგ სხვა პოეტებთან[24]. მჟღერებისა და სონორების სიჭარბე დამახასიათებელია ავრეთვე სპარსელი პოეტებისთვისაც. ასევე ხშირია მჟღერი და სონორების გამოყენება დანტეს „ღვთაებრივ პოეზიაში. უმთავრესად ამით აიხსნება, ალბათ, რომ რუსთველსაც და დანტესაც ზოგჯერ მსგავსი ბგერები აქვთ ნახმარი სარითმო კლაუზულაში, ისე რომ რითმები ემთხვევა. შეიძლება ზედმეტი არ იყოს შეგვედარებინა ერთმანეთისათვის რამდენიმე რითმა, რომელიც გვხვდება დანტესთან და რუსთველთან. ასეთი შედარებით-ტიპოლოგიური განხილვა, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება არა მარტო ამ ორი პოეტის ლექსთწყობის საკითხების გასარკვევად, არამედ საერთოდ, პოეტიკის ზოგადი საკითხების შესწავლისთვისაც.

აბა—abbia, ადა—ada, ადე—ade, ადია—adi, ადოსა—ado, ავი—avi, ათა—ata, ალე—ale, ალია—alia, ამა—ama, ანა—ana, ანი—ani, არა—ara, ასა—asa, ელი—eli, ელსა—elsa, იდა—ida, იდე—ide, იდი—idi, იდია—idie, ილი—ili, ინა—ina, იო—io, ირა—ira, ირე—ire, ირი—iri, ონე—one და სხვ.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ სტრიქონები ირე—ire რითმით. რ უ ს თ ვ ე ლ ი, სტროფი 594:

„დღეს გამოვე ნადირობას, ზღვისა პირსა ვინადირე,
ქორის დევნა მომწდომოდა, მით მრეკალი არ ვახშირე;
სპათა ვუთხარ: „მომიცადეთ, მოვიდოდე მეცა ვირე!“

ხუთთა ოდენ ბაზიერთა მეტი არა დაეიჭირე.

დ ა ნ ტ ე,

Purgatorio. Canto X, 107:
Non vo' però, lettor, che tu ti smaghi
Di buon proponimento, per udire
Come Dio vuol che il debito si paghi.
Non attender la forma del martire!
Pensa la succession! Pensa che, al peggio,
Oltre la gran sentenza non può ire.

ასეთი მსგავსება რითმებისა სხვადასხვა ხალხისა და ეპოქის პოეტურ ნაწარმოებში საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ სარითმო კლაუზულაში შემავალ მარცვალთა შედგენას ერთგვარად შეზღუდული უნივერსალიის[25] ხასიათი აქვს.

2. 2. 5. 3 ვეფხისტყაოსნის რითმათა შორის (სულ 909 რითმა) 240-მდე შემთხვევაში სარითმო კლაუზულის ბოლო მარცვალი დახურულია, ე. ი. სარითმო სიტყვის უკანასკნელი ფონემა თანხმოვანია. ამ თანხმოვნებიდან გვხვდება: ბ, დ, თ, ნ, ს, ე. ი. ის თანხმოვნები, რომლებიც მორფოლოგიური ელემენტების საწარმოებლად არის გამოყენებული ქართულში. ეს შემთხვევებია: აგად, აგოს, ადამან, ადდეს, ადებლად, ადენით, ადიან, ადნეს, ადრად, აეგების, ავისად, ავლად, ავნეს, ავნის, ავსენ, აზოდ, ალავად, ალამან, ალამნეს, ალების, ალეს, ალვად, ალვით, ალისად, ამან, ამეთ, ამეს, ამით, ამისად, ამოდ, ანამან, ანდეს, ანდით, ანებ, ანელად, ანენ, ანისად, ანტენით, არად, არდეს, არებ, არებით, არების, არებლად, არენით, არისად, არნეთ, არნეს, არომან, არულად, ასადაგეს, ასდენ, ასების, აულად, აფნეს, აღებად, აცამდის, ახავად, ახემან, ახენით, ახეს, ახველად, ახით, ახიოს, ახმან, ახოთ.

ბიან, ბრისად, გულისად, დარებად, დარებით, დაღარად, დებიან, დების, დიან, დობლად, ებად, ედარად (ებარად), ებდეს, ებენ, ებიან, ების, ებლად, ებნეს, ებოდეს, ებოდის, ედით, ედლად, ედნეს, ეველად, ევიან, ევით, ევის, ევრად, ეზროს, ეთეთ, ელად, ელდების, ელურად (ერულად), ემისად, ენად, ენამან, ე(ნ)ნებით, ენებლად, ენიან, ენით, ენისად, ენოდეს, ენოს, ეოდეს, ერად, ერენ, ერებად, ერების, ერთად, ერმან, ეტად, ეულმან, ეფობით, ეწელად, ეხოს, ეჯით.

ვანებლად, ვანნეს, ველად, ვიდეს, ვიდიან, თების.

იამან, იან, იანად, იარეს, იდად, იდენით, იდეს (იმდეს, ივდეს), იდიან, იდნეს, იდობით, ი(დ)ოდეს, იდონ, იდოს, ივარად, ივიან, ივნოს, ითხენ, ითხეს, ი(თ)ხოს, ილად, ილდების, ილენით, ილისად, ილობით, ინ(დ)დების, ინდეს, ინებდეს, ინების, ინეს, ირად, ირდეს (რიდეს), ირეს, ირისად, იროს, ისაგან, ისად, ისისად, ისხეს, იცის.

კიდენით, ლების, ლენით, ლულად, მაროს, მებულმან, მიდეს, მიდიან, მინამან, მისად, ნაროს, ნებად, ნებამან, ნებით, ნების, ნობდეს.

ობდეს, ობდიან, ობელად, ობელმან, ობენ, ობის, ოდეს, ოდიან, ოების, ოვდეს, ოველად, ოვ(ნ)ების, (ერების), ომით, ომილმან, ონამან, ონდეს, ონებენ, ონების, ორად, ორდენ, ოცებით, ოცნეს.

რობლად, რულმან, რჩებიან, სრულად.

უდენ, ულად, ულდეს, ულებ, უნდეს, ურად, ურვეთ, ურვენ, უქმან, უხ(ვ)დების, ღარისად.

ცადენით, ცების, ჭრელად, ხარიან, ხელდების, ხელეს.

ცამეტ შემთხვევაში სარითმო კლაუზულის ბოლო მარცვალი ორმაგადაა დახურული: ადებს, აელებს (ავღლებს, ასძლებს, ახლებს), ათლებს (აკლებს, ახლებს), იდობს, იენებს, იშობს, ურევებს, უობს, უხებს, დილებს, უნვებს, წარებს, ახავს.

2. 2. 5. 4 იმის შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მახვილი ვეფხისტყაოსანში არ არის სარითმო კლაუზულის მაწარმოებელი სტრუქტურული ელემენტი, ბუნებრივია, რითმების დასაწყისი საზღვრების დაღგენისას ჩვენ ვერ ამოვალთ დებულებიდან, რომ „რითმა იზომება მხოლოდ მახვილიანი ბგერის მარჯვნით მოთავსებული მარცვლების რაოდენობით"[26]. ვეფხისტყაოსნის რითმის დადგენისათვის საკმარისია გამოვყოთ კარედის ბოლოს მოთავსებული ფონემები, რომლებიც იდენტური ან მსგავსი არიან კატრენის სხვა სტრიქონების დაბოლოებისა, სულ ერთია, იქნება ეს კლაუზულის შემადგენელი ხმოვნების მარჯვნით თუ მარცხნით. აქედან გამორიცხული უნდა იქნეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი მსგავსება. ამიტომ ვეფხისტყაოსნისათვის სხვადასხვა რითმებია არი (გვარი — დასადარი — ზღვარი — ნაუბარი) და დარი (მკვდარი — მიუმხვდარი — გარდამხდარი — სამუდარი) ან იან (გაუელიან — შემიგნიან — მოუღერიან — დათმიან) და დიან (მოვიდიან — გამოსხდიან — ატირდიან — სდიან) ისე, როგორც სხვადასხვა რითმებია არა (ღვარა — გაეყარა — მიმხვდარა — ჩაიარა) და არად (დარად — ბარად — არ-დამცთარად — გაუმთბარად) ან ია (მოუცია — დია — ამაყია — აუგია) და იან (სძღვნიან — გახსნიან — დაუთვლიან — დაჰყიდიან), რადგან ფონოლოგიური სიგრძე გარითმული ელემენტებისა სხვადასხვაგვარია[27].

თუ კლაუზულის ბოლო ხმოვნისათვის თანხმოვნის დამატება საფუძველს იძლევა ცალკე რითმის გამოყოფისათვის, ასევე მართებული იქნება, თუ დასაწყისი ხმოვნის წინ თანხმოვნის მოთავსების შემთხვევაში ცალკე სარითმო ერთეულს გამოვყოფთ.

ამიტომ რითმები ე. წ. „საყრდენი" თანხმოვნით ჩვენ სიმფონიაში ცალკე ერთეულებად არის გამოყოფილი. ტექსტში ასეთი რითმების რაოდენობა ორასამდე აღწევს:

ბ: ბარესა, ბარი, ბარია, ბარითა, ბარისა, ბარსა, ბელითა, ბიან, ბილია, ბილისა, ბულსა.

გ: გავსო, გეთა, გოსანი, გულისა, გულისად, გულო;

დ: დაგულსა, დაებადა, დარა, დარებად, დარებით, დარი, დასული, დაღარად, დება, დებასა, დები, დებია, დებიან, დების, დებულსა, დელი, დენი, დენითა, დია, დიან, დილებს, დილისა, დილნო, დობილნი, დობლად, დომა, დომია.

ვ: ვალი, ვალია, ვალისა, ვალსა, ვანე, ვანებლად, ვანნეს, ვარო, ვებული, ვებულსა, ველად, ველანი, ველისა, ველო, ვიდა, ვიდეს, ვიდიან, ვითა.

ზ. ზარია, ზებია, ზენაო, ზენი, ზენია, ზესა, ზისა, ზმული, ზმულობა, ზოპა, ზობასა.

თ: თალი, თალსა, თების.

კ: კარისა, კარნი, კიდე, კიდენით.

ლ. ლებდა, ლების, ლებისა, ლებული, ლენით, ლეო, ლია, ლობასა, ლულად.

მ: მალითა, მანები, მარები, მართა, მარია, მაროს, მასა, მახია, მებულმან,

შელი, მელნი, მელო, მიდეს, მიდიან, მილისა, მილსა, მინამან, მინები, მისად, მასანი, მობია, მოდა, მული, მულია.

ნ: ნარი, ნარია, ნარითა, ნარისა, ნაროსა, ნაროს, ნება, ნებად, ნებამან, ნებასა, ნებია, ნებით, ნებითა, ნების, ნებისა, ნებოდი, ნელი, ნელია, ნელითა, ნელისა, ნილი, ნობდეს, ნობდი, ნოსა.

პ: პანია.

რ: რალი, რალია, რები, რებია, რებისა, რებული, რელისა, რენია, რია, რიდა, რიტნა, რობა, რობლად, რონია, რული, რულია, რულმან, რულნი, რულსა.

ს: სადარე, სალამე, სამალი, სამსალებისა, სებისა, სებოდა, სენები.

ტ: ტანისა.

ფ: ფალია, ფალსა, ფეთანი, ფენი, ფესა, ფობასა, ფოსა.

ქ: ქალისა, ქალსა, ქანი.

ღ: ღარისად, ღებინე.

ყ: ყარე, ყარი, ყარნა, ყენია.

შ: შავითა, შერისა.

ჩ: ჩები.

ც: ცაღენით, ცების.

წ: წამე, წარებს, წებოდა.

ჭ: ჭირისა (ჭვირისა).

ხ: ხანია, ხარიან, ხებული, ხელდების, ხელეს, სელი, ხელისა, ხელნი, ხელსა. ხოცა, ხულისა, ხულსა.

ჯ. ჯარია, ჯარისა, ჯებითა.

თუ მონათესავე ბგერებს (ხ—კ, ხ—კ, ქ და სხვ.) ჩავთვლით, მაშინ თანხმოვნით დაწყებული რითმების რაოდენობა გაცილებით მეტი იქნება. არის აგრეთვე შემთხვევები სარითმო კლაუზულის დაწყებისა ორი თანხმოვნით: ბრისად, ზმული, ზმულობა, რგულია, რჩებიან, სრასა, სრულად, სრული, სრულითა, სრულნი, სრულსა, ქმარი, ქნია, ცხებული, ცხენი, ცხენია, ჭრელად, ხლებია და ერთი შემთხვევა სამთანხმოვნიანი დასაწყისისა: ტყვია.

როგორც ვხედავთ, ორი თანხმოვნიდან ერთი აუცილებლად მჟღერია ან სონორი. მხოლოდ ორ შემთხვევაში გვაქვს ორი ყრუ თანხმოვანი ცხ და ერთხელ ტყ, ე. ი. ისეთი თანხმოვნები, რომლებიც ჰარმონიულ წყვილებს ქმნიან.

2. 2. 6 რითმათა მორფოლოგია. რითმისათვის რუსთველთან გამოყენებულია მეტყველების ყველა ნაწილი: არსებითი სახელი, ზედსართავი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნის პირიანი ფორმები, ნაზმნარი სახელები, მასდარი, ნაწილაკები და შორისდებულიც კი (დაჰყო — გაჰყო — აჰყო — აჰ-ყო. 521), ნაწილობრივ აგრეთვე მორფოლოგიური ელემენტები (ნათესაობითისა და მოქმედებითის დაბოლოება, ზმნის თემის მაწარმოებელი სუფიქსები და სხვ.). საერთო ტენდენცია ისეთია, რომ პოეტი ცდილობს უმეტესად სხვადასხვა მორფოლოგიური კატეგორიების ელემენტები შერითმოს ერთმანეთთან, მაგ., სახელი ზმნასთან, რიცხვითი სახელი მასდართან და სხვ. ასეთი სხვადასხვა ხასიათის მორფემათა მოულოდნელი შერითმვით პოეტი იშვიათ ეფექტს აღწევს. რითმის შესადგენად გამოყენებული ელემენტების შერჩევასა და კომბინაციებში, შეიძლება ითქვას, ვეფხისტყაოსანს ძნელად თუ მოეძებნება ბადალი.

რითმათა მორფოლოგია საფუძვლიანად არის შესწავლილი ივ. იმნაიშვილის[28] მონოგრაფიაში და სპეციალურად ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საკუთრივ გრამატიკული რითმები, ე. ი. ისეთი რითმები, რომლებიც მხოლოდ მორფოლოგიური ელემენტების საშუალებითაა ნაწარმოები, რაც ისე გავრცელებული იყო იმ დროს მთელი რიგი ხალხების პოეზიაში, რუსთველთან ძალიან იშვიათია. ამ ხასიათის რითმებიდან გვხვდება:

(1). ნათესაობითი ბრუნვის მაწარმოებელი ისა დაბოლოება მხოლოდ ოთხ სტროფში:

ყაბაჩისა — ძეირფასისა — რისა — ნაჭედისა (1137).
ძღენისა — ძისა — მზისა — ნეტარძისა (1157).
მზისა — ხანაგისა — გონებისა — მამაცისა (1204).
ღმრთისა — მზისა — ცისა — მკედრისა (1401).

ნანათესაობითარი ფუძის ნათესაობითის დაბოლოება ორ სტროფში:

მისისა — ვისისა — მქისისა — ღღისისა (377).
მისისა — მისისა — ღღისისა — მქისისა (1336).

(2). ნათესაობითის ნიშანი გან თანდებულით: ერთ სტროფში.

ღერისაგან — რისაგან — ხისაგან — ქვისაგან (1135).

(3). მოქმედებითი ბრუნვის ითა დაბოლოება ერთ სტროფში:

საგებელითა — ყაბაჩითა — მითა — შეხვეწითა (1136).

ნანათესაობითარი ფუძის მოქმედებითის ფორმა ორ სტროფში:

მისითა — შესატყვისითა — მქისითა — ვისითა (686).
მისითა — ღღისითა — ვისითა — მქისითა (848).

(4). ნანათესაობითარი ვითარებითი ისად ორ სტროფში: **მისად — ტყვისად — წყლისად — ვლისად** (845).

აქლემისად — სჭურჭლისად — გზისად — მზისად 1488.

იგივე მორფემა გაერცობილი სახით (ისადა) ერთ სტროფში:

გზისადა — წამავლისადა — მზისადა — ყმისადა (1227).

(5). ნანათესაობითარი მიცემითის ფორმანტი ისასა სამ სტროფში:

მზისასა — წყლისასა — ტბისასა — გზისასა (830).
გზისასა — თქმისასა — ზღვისასა — ძმისასა (936).
ზღვისასა — მზისასა — ტბისასა — ტყვისასა (1010).

სხვა ხასიათისაა დერივაციული აფიქსების (მასდარი, მიმღეობა და სხვ.) საშუალებით ნაწარმოები რითმები. არსებითად აქ ჩვენ გვაქვს ფუძისეული მორფემები, რომლებიც ისე შეერითმებიან ერთმანეთს, როგორც სახელი—სახელს. ამიტომ ასეთი რითმები შეიძლება გრამატიკულ რითმებად არ ჩაითვალოს.

აგრეთვე ვერ ჩაითვლება გრამატიკულ რითმებად ისეთი შემთხვევები, როდესაც რითმის მხოლოდ ნაწილია აფიქსის საშუალებით ნაწარმოები: მაგ., **ბანამან — დანამან — გაიყვანა მან — ან ამან.** აქ მხოლოდ ერთი მარცვალია მან მოთხრობითი ბრუნვის დაბოლოების საშუალებით ნაწარმოები მაშინ, როდესაც წინამავალი ორი მარცვალი კლაუზულისა სხვა კატეგორიებისაგანაა (სახელის ფუძის, ზმნის ან ნაწილაკებისაგან) მიღებული.

რამდენიმე სტროფში გვხვდება შემთხვევები, როდესაც სამმარცვლიანი რითმის ორი მარცვალია სიტყვისმცველი სუფიქსის საშუალებით შედგე-

ნილი: **სდებიან — ბნდებიან — ამოგხდებიან — მოუკრებიან** (867; შდრ. აგრეთვე 953, 977, 1074, 1287).

ასევე, ორმარცვლიან რითმებში ხშირად ბოლო მარცვალია აფიქსის საშუალებით ნაწარმოები, პირველი კი — ფუძისეულია. მაგ., **სპანი — მზანი — ძმანი — გულოვანი** (820).

ასეთი რითმების რაოდენობა მეტად მცირეა. ძირითადად კი, როგორც აღვნიშნეთ, რითმები ნაწარმოებია სხვადასხვა ხასიათის სიტყვებისაგან, რაც რუსთველის რითმის იშვიათ სიმდიდრეზე მეტყველებს.

2. 2. 7 შინაგანი რითმა. ვეფხისტყაოსანში შინაგანი რითმა არ არის, თუმცა გვხვდება მოვლენები, როდესაც სარითმო კლაუზულის წინამავალი თანხმოვნები და ზოგჯერ მარცვლებიც რითმის ელემენტებს იმეორებენ. ეს მოვლენა აქა იქ იჩენს თავს და განსაკუთრებულ მუსიკალობასა და მელოდიურობას აძლევს მეტრიკულ ფრაზას. შდრ., მაგ.,

განაღა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი (15,3).
ვითა მკედარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დაამიწა (209,2).

აგრეთვე კარედები:

დიდხანს იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან (263,4).
ვთქვი, თუ „რა იცის ამბავი, ნეტარ ან იმან ან ამან?“ (352,4).
მაშინ ვუთხარ სპათა ჩემთა, სახე დიდი დავუსახე (432,4).

ზოგჯერ კარედის შიგნით მოთავსებული სეგმენტები ან მათი ნაწილები იმეორებენ ერთმანეთს, თითქოს ერთმანეთს ერითმებიან. მაგ.,

შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა (83,2).
„მით ერთითა მათრახითა თავი ასრე გარდაპფრიწა (206,1).
„საუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგოს! (212,2).
იყოდიან, გაჰყიდიან, მოიგებენ, წააგებენ (1055,4).
იზახდიან, მოსთქმიდიან, მოსცემდიან კლდენი ხმასა (220,3).

სეგმენტთა ნაწილების ან ელემენტების ასეთი გამეორება კარედის ფარგლებში არ შეიძლება რითმად ჩაითვალოს[29], რადგან ამ გამეორებებს არა აქვთ კანონზომიერი ხასიათი და ისინი მუდმივ პროსოდიულ ერთეულებს არ ქმნიან, არამედ იცვლებიან სეგმენტიდან სეგმენტამდე და შემთხვევიდან შემთხვევამდე. ამიტომ ბუნებრივი იქნება, თუ დავასკვნით ზოგიერთ ავტორთან ერთად[30], რომ შინაგანი რითმა, მსგავსად იმისა, როგორც ეს გვაქვს მეხოტბეებთან, ვეფხისტყაოსანს არ ახასიათებს. კიდევ მეტი, რუსთველი ერიდება ჭარბ და მოზღვავებულ შინაგან რითმას, რაც მის წინამავალ პოეზიას ახასიათებდა.

რუსთველმა გაათავისუფლა ქართული ლექსი შინაგანი რითმებისაგან, ისე როგორც შემდეგში შექსპირმა ინგლისური ლექსი საერთოდ რითმისაგან.

რითმების ხმარების მხრივ ვეფხისტყაოსნის ავტორი იჩენს იშვიათ გემოვნებასა და ზომიერებას. მას მხოლოდ კარედის ბოლოს მიაჩნია სავალდებულოდ რითმის ხმარება. ის რაც კარედის ფარგლებშია, რითმას არ ეკუთვნის. ეს არის ოდნავ შესამჩნევი, მხოლოდ მოსალოდნელი რითმის ცალკეული ელემენტებისგან შედგენილი ერთგვარი მელიზმების მსგავსი თავისუფალი ორნამენტული ფიგურები, რომლებიც განსაკუთრებულ ექსპრესიულობასა და დინამიკურობას ანიჭებენ ლექსს.

2. 2. 8 არაიდენტური რითმები. ეეფხისტყაოსნის ტექსტში არის ოთხი ათეული რითმებისა, რომლებიც ნაწარმოები არიან არაიდენტური ბგერებისაგან. ზოგიერთი ავტორი ამ რითმებს არაზუსტ რითმებს უწოდებს არც თუ სავსებით მართებულად. სინამდვილეში ეეფხისტყაოსანში არაზუსტი რითმები, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, არ არის. ყველა რითმა ზუსტი და სრულყოფილია, ხოლო იმ ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც რითმაში მონაწილე ფონემები ერთმანეთის იდენტური არ არიან, შერჩეულია მონათესავე ბგერები, და ამგვარად ნაწარმოები ასონანსური რითმით კიდევ უფრო მეტი ემფაზია მიღწეული.

არაიდენტურ რითმათა რაოდენობა ეკვივალენტური სიმეტრიით ნაწერ კარედებში აღწევს 11-ს, ხოლო ასიმეტრიულ სტრიქონებში 29-ს. გარდა ამისა გვაქვს სამი შემთხვევა ასეთი წარმოებისა ოთხმარცვლიან რითმებში.

აქედან უნდა გამოვრიცხოთ რამდენიმე აშკარა დარღვევა, რაც ტექსტის დამახინჯების შედეგი უნდა იყოს, მაგ.: ხელოვანება — გონება — ხსენება — მონება (6), სადაც პირველი და მესამე კარედების რითმა ნება არ ეგუება მეორე და მეოთხე სტრიქონების სამმარცვლიან რითმას ონება, რომელსაც ოქროს კვეთის პროპორციის კატრენი მოითხოვს.

ასევე დამახინჯებული უნდა იყოს, ჩვენი აზრით, პირველი სიტყვა 327-ე სტროფისა მისისა — ნიშისა — შიშისა — იშისა, რომელიც არც შინაარსობლივად არის მაინცდამაინც შესაფერი და არც რითმის თვალსაზრისით. ამიტომ ჩვენ ამ შემთხვევაში მივიღეთ კონიექტურა[31], ვიშისა, რომელიც სხვა გამომცემლებმაც გაიზიარეს.

არაიდენტური რითმების დიდი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, დახასიათდება, ძირითადად, მონათესავე ბგერების მონაცვლეობით.

ტექსტში დადასტურებულია შემდეგი მონაცვლეობა:

(1) რ/ლ

ხორციელობა — მეცნიერობა — ხელობა — ლმობიერობა (1144).
ხელურად — მელურად — მტერულად — მე რულად (1194).
მოციქულისა — სრულისა — გულისა — ნამსახურისა (309).
ძნელია — ხელია — მრთელია — მტერია (1335).
დანაწერობა — ხელობა — საკვირველობა — მრთელობა (1347).

(2) მ/ნ

დაღუმდეს — დაბრუნდეს — და უნდეს — დაუძაბუნდეს (824).
ხონელსა — რომელსა — ენა-დაუშრომელსა — ცრემლ-შეუშრომელსა (1587).

(3) ნ/რ

ჭმუნვასა — მუნ ვასა — წურვასა — ბრუნვასა (991).

(4) ბ/მ

დაუშრტობელთა — წინა-მდგომელთა — მფლობელთა — მშობელთა (330).

(5) დ/ბ

მზე დარად — ქვე ბარად — ხედ არად — მე და რად (278).

(6) მ/ვ

წამალსა — ამ ალსა — მავალსა — დანამალსა (391).

(7) ხმოვნები ე/ი

ბუნება-ზიარსა — მხნე არსა — სიძუნტე არსა — მისებრი არსა (1097).

ზოგჯერ რითმაში ჩამატებულია თანხმოვანი (უმთავრესად სონორი ე, რ, ნ, აგრეთვე მეღერი ბ, დ და ს):

(1). ვ:

მონახსენები — ვევნები — მოუთმენები — დაეყენები (1003).

უსვდების — მოუქუხდების — უსვდების — შეუწუსდების (696).

ჭირისა — დუსჭირისა — განაჭვირისა — მომსვევი რისა (682).

მხმეჭელსა — მეჭველსა — მბეჭველსა — მოსახვეჭელსა (790).

ჩაგვიცვივდეს — გვწვიდეს — გარდმოსწვიმდეს — სწმიდეს (219).

(2). რ:

დაბადოსა — დაიქადოსა — უდილადოსა — არ დოსა (1564).

თაყვანის-მცა — ღირსმც-ა — ვისმცა — ზისმცა (365).

(3). ნ:

ქენებით — ხსენებით — ჩვენ ნებით — შეენებით (203).

(4). ბ:

ძღეენისა — ჩვენისა — ებნისა — დგენისა — (1110).

(5). დ:

მოსთმინდების — მომინდების — ბინდდების—წარმოდინდების (1082).

(6). ს:

სიცხე — გავიკიცხე — ვიცხე — ისც ხე (621).

მსგეფსსა — მკრეფსა — ვარდ-იეფსა — ყეფსა (925).

ზოგიერთი კარედის სარითმო კლაუზულაში ნაკლები თანხმოვანია სხვა სტრიქონებთან შედარებით:

(1). აკლია ს:

ზესსა — წესსა — მზესა — დანათესსა (801).

(2). აკლია თ:

იხოს — ითხოს — გამიკითხოს — მითხოს (658).

ერთ შემთხვევაში ორი კარედი უპირისპირდება მეორე ორ სტრიქონს რითმის სხვადასხვა ვარიანტით: იოდეს და იდოდეს:

მომიეიდოდეს — გაგვიდოდეს — მტკიოდეს — ნეტარძი, ოდეს (1076).

გვაქვს რამდენიმე მაგალითი კლაუზულაში შემავალ თანხმოვანთა გადასმისა:

დარიდეს — გამოსჭვირდეს — აუტირდეს — ღირდეს (279).

ჟამსა — ხამსა — ხმასა — თმასა (1113).

მძებნელი — მტკებნელი — მცნებელი — მზე ბნელი (1268).

სულ მხოლოდ ოთხი მაგალითია, როდესაც ერთმანეთს ენაცვლება არამონათესავე თანხმოვნები:

(1). ს/რ

მტირალი — ეის ალი — გასაგმირალი — გამომჭვირალი (1279).

(2). რ/თ

სარებლად — საკამათებლად — მარებლად — გამახარებლად (1584).

(3). თ/ს

მათისა — ხალვათისა — მნათისა — ბევრ-ათასისა (1210).

(4). ერთ შემთხვევაში ორი სტრიქონის ოვნების რითმას შეესატყვისება პირველი კარედის ოვების და მეორე კარედის ერების:

იპოვების — დაიჯერების — დაგეყოენების — ითოვნების (256).

საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევებში ტექსტი დამახინჯებულია და პირვანდელი სახით არაა ჩვენამდე მოღწეული.

2. 2. 9 განცვიფრებას იწვევს აგრეთვე რითმების სიმრავლე. ვეფხისტყაოსნის 1587 სტროფში (6.348 სტრიქონში) ნახმარია 883 რითმა, აქედან 392 — მაღალ შაირში, 490 — დაბალ შაირში და ერთი რითმაც — ოცმარცვლიან კატრენში. საყურადღებოა, რომ დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში", რომელიც დაახლოებით ორნახევარჯერ მეტია ვეფხისტყაოსანზე (14.233 კარედი), გამოყენებულია მხოლოდ 852 რითმა, ისე რომ საშუალოდ ერთი რითმა თითქმის 3 სტროფზე მოდის, მაშინ, როდესაც რუსთველის თხზულებაში რითმის ხმარების სიხშირე 1,7%-ს არც კი აღწევს (დანტესთან უდრის 5.5%-ს).

დანტესთან ჩვენ გვაქვს შემთხვევები ერთისა და იმავე რითმის გამოყენებისა ასზე მეტ სტრიქონში. ზოგიერთ რითმათა ხმარების სიხშირე „ღვთაებრივ კომედიაში" ასეთია: ura—153; io—140; ente—133; ende—102; ai—118; ia—121; etio—132 და ასე შემდეგ. ერთისა და იმავე რითმის გამოყენება 50-ჯერ, 70-ჯერ, 80-ჯერ, 90-ჯერ, 100-ჯერ ჩვეულებრივი მოვლენაა დანტესთან.

სულ სხვა სურათი გვაქვს რუსთველთან. ყველაზე უფრო ხშირად ხმარებული რითმა **ინა** სულ 88 სტრიქონშია ნახმარი, ე. ი. 22 სტროფში. გარდა ამისა, გავრცელებული რითმებია: **ებოდა** — 52 (13 სტროფი); **ირსა** — 48 (12 სტროფი); **ობისა**—48 (12 სტროფი); **ენისა (ებნისა)**—40 (10 სტროფი); **ასა**— (10 სტროფი); **ენითა** — 40 (10 სტროფი); **ელისა** — 36 (9 სტროფი); **იმელი** — 36 (9 სტროფი); **ალისა** — 36 (9 სტროფი); **ების** — 32 (8 სტროფი); **ულისა (ურისა)**—32 (8 სტროფი) **ულსა** — 32 (8 სტროფი); **ავითა** — 28(7 სტროფი); **ანია** — 28 (7 სტროფი); **არენით** — 28 (7 სტროფი); **ელითა** — 28 (7 სტრ.); **ენი** — 28 (7 სტრ.); **ობილი** — 28 (7 სტრ.); **ავისა** — 24 (6 სტრ.); **ანი** — 24 (6 სტრ.); **ანისად** — 24 (6 სტრ.); **არა** — 24 (6 სტრ.); **ელად** — 24 (6 სტრ.).

დანარჩენი რითმები ნახმარია გაცილებით უფრო იშვიათად. მაგ., მარტო ერთ სტროფში ნახმარი რითმების რაოდენობა 636-ს უდრის. ორ სტროფში ნახმარია 109 რითმა, სამში — გაცილებით ნაკლები, ხოლო უფრო ხშირად ხმარების შემთხვევები ძალიან ცოტაა.

აღსანიშნავია, რომ დანტესაგან განსხვავებით რუსთველი იშვიათად ხმარობს ერთსა და იმავე სიტყვას რითმისათვის. მაგ., სიტყვა era — დანტესთან 31-ჯერ არის რითმაში ნახმარი; loco — 27-ჯერ, mio — 26-ჯერ, pace — 21-ჯერ, piedi — 20-ჯერ, gente — 19-ჯერ, riva — 18-ჯერ, vista — 17-ჯერ, passo — 16-ჯერ.

ხოლო 10—15-ჯერ ერთისა და იმავე სიტყვის ხმარება ჩვეულებრივია „ღვთაებრივ კომედიაში".

ვეფხისტყაოსანში უმეტეს შემთხვევებში სიტყვა მხოლოდ ერთხელაა სარითმოდ ნახმარი. გვხვდება შემთხვევები ორჯერ-სამჯერ გამეორებისა, იშ-

ვიათია სიტყვის ოთხჯერ და ხუთჯერ გამეორება, ხოლო უფრო ხშირად ხმარების მაგალითები ერთეულებით ამოიწურება.

მაგ., 6-ჯერაა ნახმარი რითმად სიტყვები: **შენისა, ცნობილი;** 7-ჯერ — **სიტყვები: ფერითა, ჭირსა;** 8-ჯერ სიტყვები: **ცნობასა, მინა;** 9-ჯერ — **პირსა;** 10-ჯერ — ორი სიტყვა: **რომელი, ძნელია;** მხოლოდ ერთი სიტყვაა 12-ჯერ გამეორებული: **წინა** და ერთიც: **წინა** — 18-ჯერ.

ამგვარად, რითმების სიმდიდრითა და სარითმოდ გამოყენებული სიტყვების მრავალფეროვანებით ვეფხისტყაოსანს ძნელად თუ შეედრება მსოფლიო ლიტერატურის რომელიმე ძეგლი.

იმისათვის, რომ მკითხველს საშუალება ექნება გაარკვიოს, როგორ და რა სიტყვებისაგან არის რითმები ნაწარმოები, სიმფონია იმგვარად არის შედგენილი, რომ სარითმო კლაუზულის ფარგლებში სიტყვები დალაგებულია ანბანზე, თანაც ნაჩვენებია კონტექსტი, ე. ი. მთლიანად მთელი კარედი, სადაც სიტყვაა ნახმარი. ამიტომ იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც რითმა მხოლოდ ერთ სტროფშია ნახმარი, სტრიქონები სარითმო სიტყვების ანბანის მიხედვით არის წარმოდგენილი, რაც იწვევს, რა თქმა უნდა, სტრიქონების გადასმას. თითოეული სტრიქონი სიმფონიაში დამოუკიდებელი ერთეულია, რითმის საილუსტრაციოდ მოტანილი და სხვა სტრიქონებთან დაკავშირებულია მხოლოდ რითმით და არა შინაარსობლივად. სიმფონია ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხავად არაა განკუთვნილი.

III

დასკვნა

3. 1 მეტრიკული ტიპოლოგიის[1] თვალსაზრისით მსოფლიოს ხალხთა პოეზიის რამდენიმე სისტემა არსებობს:

(1) **დურაციული ან კვანტიტატიური („ქრონემული")** სისტემა, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება გრძელი და მოკლე მარცვლები, როგორც მეტად და ნაკლებად წარმოჩენილი ელემენტები[2]. კონტრასტი გამოხატულია ფონოლოგიურად გრძელი და მოკლე სილაბური ბირთვით. „სიგრძე ბუნებით" და „სიგრძე მდებარეობით" ერთნაირი ღირებულებისაა. მინიმალური მოცულობის სილაბური ბირთვი, რომელიც შედგება კონსონანტური ფონემისა და ერთი მორა ხმოვნისაგან (მოკლე მარცვალი), უპირისპირდება უფრო მძლავრ სილაბურ ბირთვს (კონსონანტური ფონემა, რომელსაც ახლავს მეორე მორა ან ერთი მორა და ისევ კონსონანტი), როგორც უფრო მარტივი და ნაკლებ წარმოჩენილი მარცვალი უფრო რთულ და მეტად წარმოჩენილ მარცვალს[3].

ამ ტიპს ეკუთვნის კლასიკური ბერძნული, ლათინური, არაბული, ვედური სანსკრიტული და სხვ. ლექსთწყობის სისტემები.

(2) **ტონური სისტემა.** მარცვლები ორგანიზებულია მეტრიკული მხრივ ორ ძირითად ჯგუფად: A. თანაბრად, რომელიც მოიცავს ფონოლოგიურად თანაბარ ტონურ კლასებს (მაღალ და დაბალ რეგისტრებში): B. ცვალებადად, რომელიც მოიცავს ფონოლოგიურად რელევანტურ დანარჩენ ტონურ კლასებს: აღმავალს და დამავალს, მაღალ და დაბალ რეგისტრებში, და შემავალს მაღალ, საშუალო და დაბალ რეგისტრებში[4].

ასეთი სისტემის ლექსთწყობას ეკუთვნის ჩინური, ვიეტნამური და შორეული აღმოსავლეთის მთელი რიგი ენები. მაგრამ ზოგიერთი ავტორი ეჭვის ქვეშ აყენებს ვერსიფიკაციის „ტონური“ სისტემის არსებობას ისეთ ენებში, სადაც მარცვალთა ინტონაციის განსხვავება გამოყენებულია სიტყვათა მნიშვნელობის განსასხვავებლად. კლასიკურ ჩინურ პოეზიაში მარცვლები მოდულაციით (ჩინურად tsê „დახრილი ტონი“) უპირისპირდება არა მოდულირებულ მარცვლებს p'ing „აწეული ტონი“), მაგრამ ე. დ. პოლივანოვს[5] მიაჩნია, რომ ამ ოპოზიციას საფუძვლად უდევს ქრონემული პრინციპი. რ. იაკობსონი აღნიშნავს, რომ ჩინური მეტრიკული ტრადიციის მიხედვით აწეული ტონი უპირისპირდება დახრილ ტონს, როგორც მარცვალთა გრძელი ტონური მწევრვალები მოკლეებს, ისე რომ ლექსის საფუძველია სიგრძე და სიმოკლე[6].

არსებობს ტონური სისტემის სხვა ვარიანტიც. მაგ., ეფიკური (Efik ენის) გამოცანების მეტრი, სადაც კითხვა და პასუხი წარმოადგენს რვამარცვლედს მაღალი და დაბალი ტონის მარცვალთა ერთნაირი დისტრიბუციით. ყოველ ნახევარ კარედში „უკანასკნელი სამი მარცვალი ოთხიდან წარმოადგენს იდენტურ ტონურ მოდელს“. თუ ჩინურ ვერსიფიკაციას განიხილავენ როგორც კვანტიტატიური სისტემის თავისებურ ვარიანტს, ეფიკურ ლექსში ხედავენ ჩვეულებრივი აქცენტუალური ლექსის სახეობას ვოკალური ტონის წარმოჩინების ორი საფეხურით (სიძლიერე ~ სიმაღლე)[7].

(3) სილაბური სისტემა, რომელიც დახასიათდება მარცვალთა ტენდენციით, გამეორებულ იქნენ დროის ამა თუ იმ განზომილების ინტერვალებში, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა რაოდენობა გვაქვს ბგერებისა მარცვალში ან რა რაოდენობა გვაქვს მახვილებისა ინტერვალებში[8].

მარცვლის ფარგლებში ზოგიერთი ავტორი გამოჰყოფს უფრო წარმოჩენილ, ბირთვულ სილაბურ ნაწილს, რომელიც ქმნის მარცვლის მწევრვალს და უპირისპირდება უფრო ნაკლებ წარმოჩენილ, მარგინალ (არა სილაბურ) ფონემებს[9]. ყოველ მარცვალს აქვს სილაბური ფონემა, ხოლო ინტერვალი ორი ერთმანეთის მომდევნო სილაბურ ფონემებს შორის შევსებულია ზოგიერთ ენაში ყოველთვის, ზოგიერთ ენაში კი უმეტეს შემთხვევაში, მარგინალური, არასილაბური ფონემებით. მარცვალთა რაოდენობა მეტრიკულად განსაზღვრულ თანმიმდევრობაში არის მუდმივი, მაშინ, როდესაც არასილაბური, მარგინალური ფონემების რაოდენობა სხვადასხვაგვარია სხვადასხვა ენაში ან ცვალებადია ერთი ენის ფარგლებშიც შემთხვევიდან შემთხვევამდე[10]. ზოგიერთ ენაში კარედი იყოფა ნახევარკარედებად ან კიდევ უფრო მცირე ერთეულებად (სეგმენტებად). ეს დაყოფა სხვადასხვა ენის მიხედვით სხვადასხვაგვარია. აგრეთვე სხვადასხვაგვარია მახვილის დისტრიბუცია კარედსა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის. ზოგიერთ ენას ახასიათებს ღია ან დახურული მარცვალი კარედის ბოლოს, ზოგიერთი კიდევ უპირატესობას აძლევს ღია მარცვალს. სილაბური ლექსის ზოგიერთ ვარიანტში იგრძნობა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ხმოვანთა თანმიმდევრობა მჭიდროდ დაკავშირებული ჩანს კონსონანტურ ფონემებთან, რაც ერთ მთლიან მეტრიკულ მარცვალს ქმნის[11].

სილაბური ლექსთწყობის სისტემას ეკუთვნის ფრანგული, იტალიური, ესპანური, ჩეხური, პოლონური და სხვ.

(4) სილაბურ-აქცენტუალური სისტემა, რომლის აღსანიშნავად ზოგჯერ იხმარება (არც თუ სავსებით სწორად) ტერმინი — სილაბურ-ტონური.

სილაბურ-აქცენტუალურ ლექსში მარცვლები დაყოფილია მეტრიკული მხრივ ორ კლასად, რომელთაგან ერთია — მძიმე ან ძლიერი და მეორე — მსუბუქი ან სუსტი. კარედი ორგვარია: (1) იზოსილაბური, მარცვალთა თანაბარი რაოდენობით და (2) იზოდინამიკური, სადაც მძიმე მარცვალთა რაოდენობა განსაზღვრულია და მათი ადგილი ფიქსირებული[12]. ერთიანი მეტრიკული მოდელებიდან გადახრები ხშირია.

სილაბურ-აქცენტუალურ სისტემას ეკუთვნის რუსული, გერმანული, ინგლისური და სხვ.

3. 2 როგორც დავინახეთ, ლექსთწყობის ამ ოთხი სისტემიდან ზოგიერთი მკვლევარი გამორიცხავს ტონურს, მიიჩნევს რა მას დურაციული სისტემის თავისებურ სახეობად (ჩინური) ან აქცენტუალურ ლექსთან დაკავშირებულად (ეფიკ-ის ენა). ამის შესაბამისად, R. Jakobson-ის აზრით, ვერსიფიკაციის მეტრიკული სისტემა შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ მარცვლის მწვერვალისა და ფერდობის ოპოზიციას (სილაბური ლექსი), მწვერვალთა შედარებით დონეს (აქცენტუალური ლექსი), მარცვლის მწვერვალთა ან მთლიანად მარცვალთა შედარებით სიგრძეს (დურაციული, კვანტიტატიური ლექსი)[13].

რიგი მკვლევარი სილაბურ და სილაბურ-აქცენტუალურ სისტემებს შორისაც ვერ ხედავს თვისობრივ განსხვავებას. ჯერ კიდევ ოციან წლებში ვ. ჟირმუნსკი, ეხებოდა რა სილაბურ-ტონური და სილაბური სისტემების ურთიერთ მიმართებას, აღნიშნავდა, რომ „გერმანული და ფრანგული სისტემები წარმოადგენენ ერთისა და მეორის უკიდურეს ფორმებს: გერმანულ ლექსში მეტრიკული მონაცვლეობა მახვილიანისა და უმახვილოებისა ხორციელდება სქემიდან თითქმის ყოველგვარი გადახვევის გარეშე. მეორე მხრივ ფრანგული ლექსი უშვებს თანაბარმარცვლიანი მეტრიკული რიგის ფარგლებში, სავალდებულო რითმით უკანასკნელ მარცვალზე, მახვილის სრულებით სხვადასხვა რაოდენობას და სხვადასხვა განლაგებას. რუსულსა და ინგლისურს უჭირავთ საშუალო ადგილი; რუსული ლექსი სცილდება ნორმას უმთავრესად მახვილთა რაოდენობის მხრივ („გამოტოვება"), ინგლისური — მათი განლაგების მხრივ („გადასმა")*. მაგრამ ე. წ. სილაბური ლექსის ფარგლებშიც არსებობს სხვადასხვა ხარისხი სილაბურ-ტონურთან სიახლოვისა. ფრანგული ლექსი, როგორც ითქვა, უშვებს მახვილის სავსებით თავისუფალ განლაგებას, გარდა რიტმული კეთილხმოვანების ზოგიერთი ტრადიციული მოთხოვნილებისა (რომელიც ყოველთვის არ სრულდება)"... „იტალიურ ლექსში ეს შერჩევა გაცილებით უფრო მკაცრია"[14]. იტალიურში, ე. ჟირმუნსკის აზრით, აშკარად სჭარბობს იამბიკური კადენცია. „ამგვარად, — დაასკვნის ავტორი, შედარებით-ისტორიულ განხილვისას სილაბურ-ტონური და ე. წ. სილაბური ლექსთწყობა აღმოჩნდება არა მარტო მონათესავე, არამედ ისინი ერთიანდებიან გარდამავალი ფორმებით, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ ერთმანეთი მეტრიკული ევოლუციის პროცესში"[15].

იგივე აზრი გამოთქვა ავტორმა უფრო გვიან, შრომაში იამბიკური ლექსის ნაციონალურ ფორმათა შესახებ.

ეს მსჯელობა სილაბურ და სილაბურ-აქცენტუალურ ლექსთწყობათა სიახლოვის შესახებ სავსებით სწორია, მხოლოდ ყოველთვის უნდა გვქონდეს

* აქ იგულისხმება მახვილის გადასმა ტერფში და არა სიტყვაში.

მხედველობაში, რომ მაგ., „იამბიკური“ კადენციები ისეთს სილაბურ ლექსში, როგორიცაა იტალიური, ან „ტროქეული“ კადენციები ქართულში, რომლის შესახებ ზემოთ იყო საუბარი, არის მხოლოდ „ტენდენცია“, პროსოდიული სიჭარბის მოვლენა და არა ძირითადი სტრუქტურული თვისება. მეორე მხრივ, უფრო მეტი „დაშორება“ შეღლის ლექსში იამბიკური სქემიდან, ვიდრე ეს გვაქვს, ვთქვათ, დანტეს სილაბურ სონეტში, აგრეთვე განხილული უნდა იქნეს როგორც „ტენდენცია“ და პროსოდიული სიჭარბის მოვლენა და არა ლექსის სტრუქტურული საფუძველი.

მაგრამ ყველაფერი ეს მოწმობს, რომ გადაულახავი უფსკრული ამ სხვადასხვა სისტემებს შორის არ არსებობს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ორი სისტემა, სილაბური და სილაბურ-აქცენტუალური, თანაარსებობს ერთი ენის ფარგლებში მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ან სინქრონულადაც კი[16]. ყოველთვის შეიძლება ლექსი აიგოს მწვერვალთა და ველთა ისეთი თანმიმდევრობით, რომელიც სხვა ენათა ლექსთწყობისთვის უფრო არის დამახასიათებელი, მაგრამ ასეთ შემთხვევებში უთუოდ იგრძნობა ხელოვნურობა, და უცხო ლექსთწყობის წაბაძვით შექმნილი მეტრი და რიტმი დიდხანს ვერ გაძლებს ენაში ან განიცდის ისეთს მოდიფიკაციებს საკუთარი ენობრივი კანონების მიხედვით, რომ უცხოური გავლენა შეიძლება აღარც კი იქნეს საგრძნობი.

R. Jakobson-ის მიხედვით „თუ ჩვენ გამოვიკვლევთ საკუთრივ სილაბური და ამავე დროს აქცენტუალური ვერსიფიკაციის ბინარულ მეტრებს, ჩვენ დავინახავთ მწვერვალთა და ველთა ორ ჰომოგენურ თანმიმდევრობას. ამ ორი ტალღისებრი მრუდიდან სილაბური ატარებს ბირთვულ ფონემებს თხემზე და ჩვეულებრივად მარგინალურ ფონემებს — ღრმულში, როგორც წესი, აქცენტუალური მრუდე, ზემოდან დაფენილი სილაბურ მრუდეზე, ცვლის მახვილიან და უმახვილო მარცვლებს თხემზე და ღრმულში“[17]. ამიტომ სრულებით უსაფუძვლოა ზოგიერთი პრიმიტიულად მოაზროვნე პროვინციელი მკვლევარის ცდა, რომ „ცრუმორწმუნეობრივად დაუპირისპიროს ერთმანეთს სილაბიზმი, როგორც წმინდა მექანიკური თვლა მარცვლებისა და ცხოველი პულსაცია აქცენტუალური ლექსისა“[18]. კარგი და ცუდი სისტემები ლექსთწყობისა არ არსებობს, ისე როგორც არ არსებობს კარგი და ცუდი სტრუქტურის ენები. არიან მხოლოდ კარგი და ცუდი პოეტები, რომლებიც კარგად ან უხეიროდ იყენებენ ენის შესაძლებლობებს.

3. 3 ყველა ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მრავალრიცხოვან პროპორციულ მიმართებათა რთული სტრუქტურა, რომელიც რუსთველის ლექსში მჟღავნდება, ძირითადად სილაბიზმზეა აგებული, მსგავსად ფრანგული, იტალიური, ესპანური და რიგი სხვა ხალხების პოეზიისა. მაგრამ მას ამავე დროს ახასიათებს ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე მთელი რიგი სპეციფიკური თავისებურებანი (რეგულირებული სილაბიზმი და სხვ.), რაც არსებითად განასხვავებს სხვა ხალხების პოეზიისგან.

3. 4 რამდენადაც პოეტური ნაწარმოები აგებულია მეტრულ და რიტმულ ერთეულთა კანონზომიერ პროპორციულ მიმართებებზე, მის ორგანიზაციაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს სიმეტრია (ფართო მნიშვნელობით), რომელიც პროზაული მეტყველებისთვისაც არაა უცხო[19]. ამიტომ ლექსის სტრუქტურის კვლევისას ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სიმეტრიული მიმართებების გამოვლენას. დამახასიათებელია, რომ R. Jakobson-

ნა თავის პატარა, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან გამოკვლევას ჩინური ლექსის შესახებ[20] ეპიგრაფად წარუმძღვარა აკადემიკოს ვ. ვერნადსკის სიტყვები:

„მიუხედავად მრავალრიცხოვანი ლიტერატურის არსებობისა სიმეტრიის შესახებ და ამ ცნების ხშირი პრაქტიკული გამოყენებისა, ჯერ კიდევ საკმაოდ ძნელია სიმეტრიის ადგილის გარკვევა მეცნიერებათა სისტემაში... სიმეტრია არის ერთ-ერთი უღრმესი ემპირიკული განზოგადება, რომელთანაც ჩვენ საქმე გვაქვს"[21].

ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს მათემატიკოსს H.Weyl-ს თავის ცნობილ წიგნში სიმეტრიის შესახებ მოჰყავს პოეტი ქალის ანა ვიკჰამის (Anna Wickham) სიტყვები:

God, Thou great symmetry,
Who put a biting lust in me
From whence my sorrows spring,
For all the frittered days
That I have spent in shapeless ways
Give me one perfect thing.

„ღმერთო, შენ დიდო სიმეტრიავ!
რომელმაც შთამდე მწველი ვნებანი,
საიდანაც ჩემი სევდა წარმოდინდება,
ნაცვლად ყველა დაკარგულ დღეთა,
უსახურ გზებზე რომ დამიხარჯავს,
მომეც მე ერთი სრულყოფილი რამ".

რუსთველმა პოეზიაში მოგვცა ჩვენ სრულყოფილი სიმეტრია, მსგავსად იმისა, როგორც ტიციანმა, რაფაელმა და ლეონარდო და ვინჩიმ მხატვრობასა და, საერთოდ, ხელოვნებაში, და ახლა, როდესაც ეს სრულყოფილება გამოვლენილია, ქართველი პოეტის ადგილი მსოფლიო პოეზიის ისტორიაში სრულებით განსაკუთრებულად გვესახება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

I

მ ე ტ რ ი დ ა რ ი ტ მ ი

[1] წინამდებარე გამოკვლევის ერთი ნაწილი, რომელიც ვეფხისტყაოსნის მეტრსა და რიტმს ეხება, შემოკლებით დაიბეჭდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“, № 2, 1972, გვ. 33, შმდ.; გარდა ამისა ძირითადი დებულებები წაკითხული იყო მოხსენების სახით მწერალთა კავშირის ლიტერატურის კრიტიკის სექციისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე 1972 წლის 14 აპრილს. მოხსენების შინაარსი და მის შესახებ გამართული მსჯელობის ვრცელი ანგარიში გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1972 წლის 19 (№ 20/1813) და 26 მაისის (№ 21/1814) ნომრებში.

[2] ლიტერატურა ნაჩვენებია ქვევით, გზადაგზა, იხ. აგრეთვე ჩვენი გამოკვლევა, „მეტრი და რიტმი ვეფხისტყაოსანში“, გვ. 54, შმდ.

[3] უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი გამოკვლევის გამოქვეყნებამდე არავის უცდია მონოგრაფიულად დაემუშავებინა ვეფხისტყაოსნის მეტრისა და რიტმის საკითხები. ჩვეულებრივ ამ საკითხებს ეხებოდნენ გაკვრით, ან რუსთველოლოგიის სხვა პრობლემებთან ერთად, ან კიდევ ქართული ვერსიფიკაციის საკითხების ზოგადი მიმოხილვისას. ამასთან მსჯელობა ემყარებოდა ხოლმე ვეფხისტყაოსნის ტექსტის ორიოდე სტროფის ანალიზს და არ ითვალისწინებდა მრავალფეროვან მიმართებებსა და შეფარდებებს, რომელსაც ვეფხისტყაოსნის ლექსის სტრუქტურა ამჟღავნებს.

[4] ამასთან დაკავშირებით ჩვენ აღვნიშნავდით, რომ „საუკუნეების მანძილზე სკოლის მასწავლებლები, რომლებიც ბერძნულისა და ლათინურის გრამატიკებზე იყვნენ აღზრდილნი, იმეორებდნენ ამ გრამატიკების შესწავლის დროს შეთვისებულ მოდელებს და ცდილობდნენ ეს მოდელები გამოეყენებინათ განსხვავებული სტრუქტურის ენებისა და სხვადასხვა ხალხთა პოეზიის ლექსწყობის საკითხების კვლევისას. მათ წარმოედგინათ ეს მოდელები რაღაც აბსოლუტურ უნივერსალიებად, რომლებიც მიაჩნდათ ყველა ენისა და ხალხის პოეზიისათვის დამახასიათებლად“. იხ. „ლიტერატურული საქართველო“, № 20, 19 მაისი, 1972; ამის შესახებ იხ. E. Stankiewicz, Linguistics and the Study of Poetic Language, Style in Language, Edited by Thomas Sebeok, Cambridge, Massachusetts, 1966, p. 77), აგრეთვე ქვევით, 2. 4.

ქართულში საზომების აღსანიშნავად ბერძნული ტერმინები პირველად გამოიყენა ევგენი კიევის მიტროპოლიტმა (ერისკაცობაში ე ქ ვ თ ი მ ე ბ ო ლ ხ ო ე ი ტ ი ნ ო ვ ი, დაიბ. 1767 წელს, გარდ. 1837 წ.). იხ. მისი Историческое

изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии, сочинено в Александро-Невской Академии в Санктпетербурге 1802 года, გვ. 88 შმდ.

ე. ბოლხოვიტინოვი ცნობილი იყო თავის დროზე როგორც რუსული ეკლესიის ისტორიის მკვლევარი. რაც შეეხება მის კომპეტენტურობას პოეტიკის დარგში, ამის შესახებ მისი ბიოგრაფი ვ. ბოციანოვსკი წერდა ბროკჰაუზ-ე ფრონის ენციკლოპედიაში 1893 წელს (ტ. 21, გვ. 413, სვეტი 1): «однако он „пленялся " гекзаметрами гр. Хвостова и не в состоянии был оценить Пушкина».

აქ მოხსენებული გრაფი ხვოსტოვი ის დიმიტრი ხვოსტოვია, რომელსაც თანამედროვენი, მათ შორის ა. პუშკინი, სასაცილოდ იგდებდნენ, როგორც უნიჭობის განსახიერებას და რომლის ბიოგრაფი ნ. კორობკა 1903 წელს წერდა (ბროკჰაუზ-ე ფრონის ენციკლოპედია, ტ. 73, 1903, გვ. 142, სვეტი 1): „В литературе граф Х[востов[стяжал себе печальную славу бездарнейшего пиита".

რაც შეეხება ევგენი მიტროპოლიტის მიერ ქართულის ცოდნას, აი რას წერს ამის თაობაზე თეიმურაზ ბაგრატიონი ბროსესადმი გაგზავნილ წერილში: „კვალად გეკითხათ ესეცა არქიმანდრიტისა ევგენიოსისა მცირესა აღწერილსა წიგნსა შინა მოხსენებული პოემისათვის ქართულისა: გვართა ანუ ზომათათვის ლექსთასა. მე ეგრე ვგონებ, არა ზედ-მიწევნით გამოძიებულ იყოს, ვინაჲთგან უფალმან ევგენოზ თჳთ არა უწყოდა ქართული ენაჲ და ოსტატიცა მისი, რომელიცა ქართულისა ენისა პოემისა თჳსებისა იყო მოძღვარი, მასწავლებელი და მაჩვენებელი რომელთამე კანონთა მისა, მე ვგონებ და იქვნეულ ვარ, რომელ არა იყო იგი ზედმიწევნით მეცნიერ ქართულისა ენისა და წერილთა შინა გამოცდილი და ამისთჳს ევგენიოზმან ვერა ეგრეთ გულისხმა ჰყო და აჩვენა წესი, ვითარცა არს გვარი საზომისა ქართულთა სტიქჳთა" (გ. იმედაშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონის შრომა ვერსიფიკაციის საკითხებზე, „ლიტერატურული ძიებანი", 4. 1948, გვ. 253).

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ თვითონ როგორ უყურებდა ექვთიმე ბოლხოვიტინოვი თავის შრომას. აი, რას სწერს ამის შესახებ ვ. ი. მაკედონეცს 1802 წ. 13 მაისის წერილში (№ 33): «Дома я по пустынически живу, никуда вон ногою. Провожу только иногда вечера с грузинским преосвящ. Варлаамом.... Мы с Грузинским сами хохочем, что из шуток вышла книга... и все это писал человек, ни слова по грузински не знающий и от роду Грузии не видавший». Письмо В. И. Македонцу, № 33; იხ. Е. Шмурло, Митрополит Евгений как ученый, С.-Петербург, 1888, გვ. 340.

აქედან ცხადია, რომ ქართული ლექსთწყობის საკითხების კვლევისას ძნელად თუ გამოდგება საფუძვლად ევგენი მიტროპოლიტის „თეორია", რომელიც მდგომარეობს ერთს ფრაზაში, თითქოს „просодия грузинской Поэзии вся тоническая, на подобие греческой и латинской"(!). როგორც ცნობილია, არც ბერძნული ლექსთწყობაა ტონური, არც ლათინური (ეს ჯერ კიდევ ქ. დოდაშვილმა აღნიშნა 1890 წელს. იხ. მისი „ქართული ლექსთწყობა", ივერია, № 210; აგრეთვე გ. მიქაძე, ქართული პოეტიკის ქრესტომათია, თბილისი, 1954, გვ. 100; შემდეგში შემოკლებით: ქრესტ.) და არც ქართული.

[5] ვეფხისტყაოსნის სხვადასხვა გამოცემაში სტროფების შემადგენლობა ასეთია: ვახტანგის გამოცემა, 1712 წ.: — 1587; მ. ბროსე, ზ. ფალაჲანდიშვილი, დ. ჩუბინოვი, 1841: — 1636; დ. ჩუბინაშვილი, 1846: — 1637; დ. ჩუბინაშვილი, 1860: — 1593; გ. ქართველიშვილი, 1888: — 1576; დ. კარიჭაშვილი, 1903: — 1576; ს. კაკაბაძე, 1913: — 1761 598 (ჩანართი სტროფები); იუსტინე აბულაძე, 1914: — 1519 5 (ჩანართი სტროფები); დ. კარიჭაშვილი, 1920: — 1576; იუსტინე აბულაძე, 1926: — 1426 52 (ჩანართი სტროფები); ს. კაკაბაძე, 1927: — 1553 52 (ჩანართი სტროფები); კ. ჭიჭინაძე, 1934: — 1745; საიუბილეო გამოცემა, 1937: — 1669; პ. ინგოროყვა; 1953: — 1669; ს. ყუბანეიშვილი, 1956; — 2126 192 ვარიანტებისა და ჩანართის ჩათვლით; 1957 წლის გამოცემა — 1669; მ. წერეთელი, 1963: — 1224; გ. წერეთელი, ი. აბაშიძე, 1966: — 1587; საიუბილეო გამოცემა, 1966: — 1587; ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, 1966:—1598; პ. ინგოროყვა, 1971:—1511 152+2.

ვეფხისტყაოსნის გამოცემათა სტროფული შემადგენლობის შესახებ იხ. ს ო ლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, თბილისი, 1966; ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. I—II, თბილისი, 1970.

[6] ვეფხისტყაოსანი, ტექსტი მოამზადეს გამოსაცემად გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ მ ა, ს ა რ გ ი ს ც ა ი შ ვ ი ლ მ ა, გ უ რ ა მ კ ა რ ტ ო ზ ი ა მ, რედაქტორები: გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი, ი რ ა კ ლ ი ა ბ ა შ ი ძ ე. თბილისი, 1966.

ამ გამოცემას ემყარება არსებითად 1966 წლის საიუბილეო გამოცემა, რომელშიც მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებებია შეტანილი.

[7] კ ა რ ე დ ი აქ ნახმარია სტრიქონის (ლათ. versus „კვალი, ორნატი ნახნავისა“ და შემდეგ „სტრიქონი“, „სტრიქონი ლექსისა“, რუს. стих) აღსანიშნავად, რისთვისაც არაბულში გამოყენებულია არქიტექტურული ტერმინი bayt (beyt) „სახლი“, ხოლო სპარსულში xāna. ამ სპარსულ ტერმინს (ხანა) ზოგიერთი ავტორი უმართებულოდ ხმარობს ქართულში სტროფის მნიშვნელობით. ხანა (xāna) სპარსული თარგმანია არაბული ბაჲთისა (bayt) და „სახლს“ ნიშნავს (შდრ. ჩაი-ხანა „ჩაის სახლი“, ყავა-ხანა „ყავის სახლი“, ქარ-ხანა „სამუშაო სახლი“, „ფაბრიკა“ და სხვ.). არაბული bayt-ის პირვანდელი მნიშვნელობა იყო კარავი, რომლის შესასვლელი ორი ნახევარი კარისაგან შედგებოდა. ამიტომ bayt-ი ამ მნიშვნელობით იქნა გამოყენებული ʿarūḍ-ში (მეცნიერებაში ლექსთწყობის შესახებ), როგორც ტექნიკური ტერმინი, სტრიქონის (ლათ. versus) აღსანიშნავად. ნახევარი სტრიქონისათვის იხმარებოდა აგრეთვე არქიტექტურული ტერმინი miṣrāʿ, რაც „საგდულს“, „ნახევარ კარს“, „ნახევარკარედს“ ნიშნავს. სპარსელებმა ეს ტერმინები უმეტეს შემთხვევაში პირდაპირ გადაიღეს არაბულიდან, ხოლო ზოგჯერ თარგმნეს (არაბ. bayt, სპარს. xāna „სახლი“ და როგორც ლექსთწყობის ტერმინი — 'სტრიქონი').

აქედან ცხადია, რომ **ხანა** ტერმინის ხმარება სტროფის მნიშვნელობით გაუგებრობის შედეგია.

ასევე ბევრი გაუგებრობაა დაკავშირებული **ტაეპ** ტერმინთან. ეს ტერმინი გვხვდება სომხურიდან თარგმნილ სიგელში, სადაც მოთხრობილია ბაადურ თუმანიანისა და შიოშ ქართველის (ბარათიანის) ბრძოლის ამბავი როსტომ მეფის ძის (შვილობილის) ლუარსაბის მკვლელობასთან დაკავშირებით, რომელსაც

ადგილი ჰქონდა 1645 წელს. ტექსტში ნათქვამია, რომ „ჰაოსიანთა სიმღერანი საყვედრებულნი შეაწყვნეს ენასა მათსა ზედა და ყოველისა ტაეპისა დასასრულისა (sic!) იტყოდნენ: „შიო წადი: ბაადურ მოვიდა", რომელ არს „შიო გაიქეც — ბაადურ მოდის". (თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 459—460).

საბას განმარტებით, ტაეპი არის „წიგნის მუხლი (B მუხლ:ი)" (ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს ა და ა. შ ა ნ ი ძ ი ს გამოცემა, გვ. 330). მეორე მხრივ მის „ქილილა და დამანაში" ხშირად, როდესაც ნათქვამია „უთხრა ტაეპი", ნიმუშად მოცემულია ერთსტრიქონიანი ლექსი, რომლის ნახევარკარედები ერითმებიან ერთმანეთს: მაგ., «უთხრა ტაეპი:

რად უმეცარობ, საქმეზე ზარობ? დრო მოეჯარა, რასათვის წყნარობ!»

(თხზულებანი, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს რედაქციით, II, 2, გვ. 62).

მეშინის, დრომ არ მაც[ა]ლოს, სიკვდილმა სული მაცალოს (იქვე, გვ. 63).

საძულველი დაინახა, საყვარელი ვერ იახა! (იქვე, გვ. 73).

ბოლოდ მომკაცა წესია, რაც პირველ დაუთესია (იქვე, გვ. 73).

რაც მეგონა იგ არ იყო, აზრმა ცნობა მით გამიყო! (იქვე, გვ. 181).

და მრავალი სხვა.

არის შემთხვევებიც, როდესაც ნახევარკარედები გარითმული არაა:

რაცა შენდა არ გინდოდეს, ნუ გწადია იგი სხვისდა! (იქვე, გვ. 161).

რაცა წმიდაა ბუნებით, სხვა თესლთა უკეთესია! (იქვე, გვ. 222).

ამ მხრივ ტაეპი, როგორც ერთსტრიქონიანი ლექსი, უპირისპირდება ლექსს, რომელიც საბასთანაც და სხვა ავტორებთანაც ორკარედს (კუპლეტს, დისტიქონს) აღნიშნავს. მაგ., საბას „ქილილა და დამანაში" ხშირად ვხვდებით გამოთქმას: თქვა (ან თქმულა) ლექსი, რასაც მოსდევს ხოლმე ორსტრიქონიანი კუპლეტი. მაგ.: „თქმულა ლექსი:

პირმთვარე, მუშკებრ სუნნელი, გულისა მოსანდომელი,
სურვილის მახარებელი, მნახველთა შემაცთომელი" (საბა, II, 2, გვ. 235).

XVIII—XIX ს. ანონიმური თხზულება, რომელსაც დ. ოჭროაძეს მიაწერენ (იხ. გ. მ ი ქ ა ძ ე, ქრესტ., გვ. 219), ასეთსავე განმარტებას იძლევა ტაეპისათვის: „ტაეპი არის სტიხი, რომელიცა იქმნების მხოლოდ ერთისაგან სტრიქონისა და მარცვალთაგან ათექვსმეტთა და რომლისაცა შინა იქმნების დაბოლოება საშუალ და კიდურსა ზედა ერთებრითა მარცვლითა ესრეთ, რომელ დაწყებიდგან პირველისა რვისა მარცვლისა დასრულებისა იქმნების მარცვალი ერთი რომელიმე და დაწყებიდგან მეორისა რვისა მარცვლისა უკანასკნელსა დაბოლოებასა ზედა მისსა იქმნების იგივე მარცვალი, რაიცაღა იყო დაბოლოებასა ზედა პირველისა რვისა მარცვლისასა". მაგალ.:

ურნა უდგს სისხლის წვეთასა, ერთგულთგან მტერთა კვეთასა (ქრესტ., გვ. 60).

ამგვარადვე განმარტავს ტაეპ ტერმინს ზემოთხსენებული ე ქ ვ თ ი მ ე ბ ო ლ ხ ო ვ ი ტ ი ნ ო ვ ი (რომელსაც ეს განმარტება ქართველი მრჩევლებისაგან ჰქონდა შეთვისებული): „Осмой род Таепи состоит из одного стиха, однакож имеет рифму в цезуре, согласную с конечным словом. Метр его есть тот же, как и Лекси" (გვ. 93).

ზოგიერთი ავტორისათვის ტაეპი სტრიქონია. ასე მიაჩნია, მაგ., კ. დ ო დ ა შ ვ ი ლ ს (შდრ. მისი გამოთქმა: „ყოველი ტაეპი შეიცავს 14-ს. მარცვალს",

იხ. ქრესტ., გვ. 101, 105), ზოგი ამ სიტყვას ტერფის მნიშვნელობით ხმარობს (მაგ., ლავრენტიარდაზიანი, „ტაეპნი იქმნებიან, ა) იამბი..., ბ) ხორეი..., გ) ანაპესტი..., დ) დაკტილი, ე) ამფიბრახი...; ქრესტ., გვ. 90, შმდ.), ხოლო ზოგი კიდევ სტროფის აღსანიშნავად იყენებს (მაგ., დავით ჩუბინაშვილი, ქრესტ., გვ. 93, 94, 95, 97; გრიგოლ ყიფშიძე, იქვე, გვ. 209).

ამგვარად, ტაეპისათვის, როგორც ეს სწორად აღნიშნა გ. მიქაძემ თავის ქრესტომათიისათვის დართულ ლექსიკონში (გვ. 273), გვაქვს მნიშვნელობები: 1. ისეთი ერთსტრიქონიანი ლექსი, რომლის ნახევარკარედები ერითმება ერთმანეთს; 2. საერთოდ ერთსტრიქონიანი ლექსი; 3. ლექსის ერთი სტრიქონი; 4. ტერფი; 5. სტროფი; 6. წიგნის მუხლი (საბა).

დღესაც, თუ ზოგიერთი ავტორი ამ სიტყვას სტრიქონისათვის იყენებს, სხვები სტროფის აღსანიშნავად ხმარობენ. მაგ., კონსტანტინე გამსახურდიასთან გვხვდება ფრაზა: „ყოველი ტაეპი ერთი და იმავე სტრიქონით იწყებოდა“ (ქართ. ენის განმ. ლექს., ტ. 6, გვ. 1234).

ზემოთქმულის შემდეგ გასაგებია, რომ სტრიქონის აღსანიშნავად ტაეპის გამოყენება გამართლებული არ არის და მთელ რიგ გაუგებრობას იწვევს. ამიტომ ჩვენ ვამჯობინებთ ვიხმაროთ ტერმინი კარედი, რომელიც ზუსტად გამოხატავს იმ შინაარსს, რის აღსანიშნავადაც იგი არის განკუთვნილი.

[8] ზედმეტი არ იქნება შევადაროთ ვეფხისტყაოსანი ამ მხრივ მსოფლიო ლიტერატურის სხვა ძეგლებს.

ვეფხისტყაოსნის 1587 სტროფის 6348 სტრიქონში გვაქვს 41.990 სიტყვა (სიტყვები გამოთვლილია „ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თანამშრომლების მიერ, იხ. აქვე, გვ. 5—6), ნაწარმოები, დაახლოებით. 7000 სალექსიკონო ერთეულისაგან. სალექსიკონო ერთეულების რაოდენობა მოგვყავს შ. ღონტის წიგნის (ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი, 1961, გვ. 48) მიხედვით: ე. ი. სიტყვათა ხმარების სიხშირე უდრის დაახლოებით 5,25-ს.

დანტეს „ღვთაებრივი კომედია (ვსარგებლობდით გამოცემით Dante Alighieri, La Divina Commedia, commentata da G. A. Scartazzini, sesta edizione riveduta e corretta da G. Vandelli, col rimario perfezionato di L. Polacco, Miliano, 1911) შედგება სამი ნაწილისაგან: 1. Inferno (რომელშიც არის XXXIV canto) 2. Purgatorio (XXXIII canto) და 3. Paradiso (XXXIII canto). ეს ასი canto შეადგენს 14. 233 კარედს და ჩვენი გამოანგარიშებით მოიცავს დაახლოებით 100.000 სიტყვას.

ძველი აღთქმის ტექსტების (მხედველობაში გვაქვს ებრაული ორიგინალი) 23.100 მუხლედში ნახმარია დაახლოებით 300.000 სიტყვა, შედგენილი 7.500—8.000 ერთეულისაგან (არა ძირისაგან, არამედ სალექსიკონო ერთეულისაგან), ე. ი. სიტყვის ხმარების სიხშირე უდრის 35—40-ს;

ბიბლიის ინგლისურ თარგმანში ნახმარია ნახევარ მილიონამდე სიტყვა. ებრაულ დედანთან შედარებით სიტყვების ასეთ სიმრავლეს ხსნიან ამ ენის ანალიტიკური ხასიათით.

ყურანის 6.200 მუხლში (აგაში), Ullendorfi-ის გამოანგარიშებით, იხმარება 77.934 სიტყვა, ნაწარმოები 2.000 ძირისაგან.

შექსპირს ნახმარი აქვს ერთ მილიონამდე სიტყვა (იხ. E. Ullendorff, Is Biblical Hebrew a Language? BSOAS, vol. XXXIV, part 2, 1971, pp. 243—244).

[9] ჩეხური, რუსული და ინგლისური ენების მასალა მოცემულია J. Levý-სა (Kombinační možnosti verše, Československá Rusistika, VII, 1962, 2, p. 77 შმდ.) და G. Herdan-ის (The Mathematical Theory of Verse. Zeitschrift für Phonetik, Sprachwissenschaft und Kommunikationsforschung, B. 22, Heft 3. Berlin, 1969, S. 227) მონაცემების მიხედვით, რაც პროზაული ტექსტების მასალაზეა გაანგარიშებული.

[10] სიმეტრიის შესახებ საერთოდ იხ. J. Hambidge, The Elements of Dynamic Symmetry, New York, 1926. რუსული თარგმანი: Д. Хембидж, Динамическая симметрия в архитектуре. Издательство Всесоюзной Академии Архитектуры, Москва, 1936. В. И. Вернадский, Химическое строение биосферы земли и ее окружения, Москва, 1965, გვ. 174, შმდ.; А. В. Шубников, Симметрия. Законы симметрии и их применение в науке, технике и прикладном искусстве, Москва, 1940; მისივე, Симметрия и антисимметрия конечных фигур, Москва, 1951; Module, Proportion, Symmetry, Rhythm. Edited by Gyorgy Kepes, New York, 1966; H. Weyl, Symmetry. Princeton University Press, 1952; რუსული თარგმანი, მოსკოვი, 1968. სიმეტრიის შესახებ ლექსთწყობაში იხ. Roman Jakobson, The Modular Design of Chinese Regulated Verse. Echanges et communications. Mélanges offerts à Claude Lévi-Strauss, Mouton, p. 597; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლახან გამოქვეყნებული კაპიტალური მონოგრაფია: А. В. Шубников, В. А. Копцик, Симметрия в науке и искусстве, Москва, 1972, Издательство наука, სადაც მოცემულია ვრცელი ბიბლიოგრაფია.

[11] ტერმინის შესახებ იხ. А. В. Шубников, Симметрия и антисимметрия конечных фигур, გვ. 31, შენიშვნ. 1.

[12] სიმეტრიის ამ სახეობას H. Weyl-ი უწოდებს ჰერალდიკურ სიმეტრიას, რადგან ასეთი შებრუნებული მიმართებები განსაკუთრებით გავრცელებულია ჰერალდიკაში.

[13] O. Hagenmaier, Der Goldene Schnitt. Ein Harmoniegesetz und seine Anwendung. Heidelberg und Berlin, 1958, გვ. 5 შმდ., გვ. 14, შმდ. იხ. აგრეთვე Г. С. М. Коксетер, Введение в геометрию, Москва, Издательство „Наука", 1966, თავი Золотое сечение и филотаксис, გვ. 236, შმდ., აგრეთვე А. В. Шубников, В. А. Копцик, Симметрия в науке и искусстве, Москва, 1972, ბიბლიოგრაფია.

[14] ამის შესახებ იხ. H. E. Timerding, Der Goldene Schnitt. Mathematisch-Physikalische Bibliothek, Herausgegeben von W. Lietzmann und A. Witting, 32, Leipzig und Berlin; პირველი გამოცემა, 1919, გვ. 6, მეორე გამოცემა, 1925, გვ 6; რუს. თარგმანი, Золотое сечение, პეტროგრადი, 1924, გვ. 11 შმდ.

[15] Drudenfuss „ჯადოქრის, კუდიანი ქალის ტერფი" ასეთი პენტაგრამის სინონიმად იხმარება.

[16] Goethes Werke, Herausgegeben von K. Heinemann, bearbeitet von O. Harnack, Leipzig und Wien, 5. Band, S. 71 (1393—1402).

[17] იხ. H. E. Timerding, op. cit., zweite Aufl. S. 24.

[18] H. Weyl, ხს. ნაშრ.,რუს. თარგმ. გვ. 98—99; Г. С. Кокстер. ხს. ნაშრ., გვ. 243; O. Hagenmaier, ხს. ნაშრ.; Siegfried Heller, Die Entdeckung der stetigen Teilung durch die Pythagoreer. Abhandlungen der Deutschen Akademie der Wissenschaften zu Berlin, Klasse für Mathematik, Physik und Technik, № 6, Berlin, 1958.

[19] S. Heller, ხს. ნაშრ. გვ. 5 შმდ.

[20] Euclidis Elementa, ed. J. L. Heiberg, V, Leipzig, 1888.

[21] S. Heller, op. cit., გვ. 6; [21a] S. Heller, op. cit., გვ. 5.

[22] ცნობილია, რომ $\frac{\mu}{\nu}$-ის სახის წილადები, რომლებიც შეესატყვისება მცენარის ღეროზე ფოთლების ხრახნისებრ განაწილებას, წარმოადგენს ფიბონაჩის რიგებს, რომლებიც მიიღება ირრაციონალური რიცხვის $\frac{1}{2}(\sqrt{5}-1)$ დაყოფისაგან უწყვეტ წილადებად (იხ. Дж. Хембидж, ხს. ნაშრ., გვ. 40, შმდ., ჰ. ვეილის ხს. ნაშრ., გვ. 98—99). ოქროს კვეთის პროპორციას ხედავენ ადამიანის სხეულის აგებულებაში, მცენარეთა სტრუქტურაში, ლოკოკინას ნიჟარასა და ჯიხვის რქების ორგანული ზრდისა და განვითარების პროცესში და საერთოდ ბუნების ბევრ ქმნილებაში. ამის შესახებ იხ. С. М. Эйзенштейн, Избранные произведения, т. IV, Москва, 1966, გვ. 662—663.

[23] იხ. I. Bekker-ის გამოცემა, ლონდონი, MDCCCXVI, გვ. 233 შმდ.; ფრანგული თარგმანი, Oeuvres complètes de Platon, publiées sous la direction de M. Émil Saisset, Paris, 1869, გვ. 159 შმდ., რუსული თარგმანი, Платон, Сочинения в трех томах, том 3, часть I, Москва, издательство „Мысль", 1971, გვ. 455—541, ს. რ. აგრინცევის თარგმანი, შდრ. აგრეთვე ა. ფ. ლოსევის კომენტარები, გვ. 647 შმდ., განსაკუთრებით 668—670; აგრეთვე А. Ф. Лосев, Античный космос и современная наука, Москва, 1927, გვ. 202 შმდ.

[24] H. Timerding, S. 34.

[25] შდრ. მისი სიტყვები „Hiemit aber scheint mir die Bedeutung des Gesetzes bei Weitem nicht erschöpft; vielmehr hat sich mir die Ueberzeugung aufgedrängt, dass in ihm überhaupt das Grundprincip aller nach Schönheit und Totalität drängenden Gestaltung im Reich der Natur, wie im Gebiet der Kunst enthalten ist und dass es von Uranfang an allen Formbildungen und formellen Verhältnissen, den kosmischen wie den individualisirenden, den organischen wie den anorganischen, den akustischen wie den optischen, als höchstes Ziel und Ideal vorgeschwebt, jedoch erst in der Menschengestalt seine vollkommenste Realisation erfahren hat" (დაყოფა ავტორს,—A. Zeising-ს ეკუთვნის)". Neue Lehre von den **Proportionen des menschlichen Körpers**, aus einem bisher unerkannt gebliebenen, die ganze Natur und Kunst durchdringenden morphologischen Grundgesetze entwickelt und mit einer vollständigen historischen Uebersicht der bisherigen Systeme begleitet, von Professor Dr. A. Zeising. Leipzig, Rudolph Weigel, 1854. S. V.

[26] A. Zeising, op, cit., გვ. 390 შმდ., Дж. Хембидж, op. cit.; P. H. Schofield, Theory of Proportion in Architecture, 1958.

[27] O. Hagenmaier, გვ. 1 შმდ.; H. E. Timerding, S. 52 შმდ.

[28] The Modulor, A Harmonious Measure to the Human Scale Universally Applicable to Architecture and Mechanics by Le Corbusier. Translated by Peter de Francia and Anna Bostok, London, MCMLXIII.

[29] O. Hagenmaier, ხს. ნაშრ., გვ. 39.

[30] С. М. Эйзенштейн, Избранные произведения, Издательство „Искусство", т. III, Москва, 1966, გვ. 54.

[31] С. М. Эйзенштейн, ხს. ნაშრ., ტ. IV, გვ. 662-663.

[32] ამის შესახებ იხ. მისივე განცხადება, ტ. IV, გვ. 663-664.

[33] Ernö Lendvai, Duality and Synthesis in the Music of Béla Bartók. Module, Proportion, Symmetry, Rhythm, edited by Gyorgy Kepes, New York, 1966, pp. 174—193.

ბელა ბარტოკთან გვაქვს შეფარდება:

1. ლეიტმოტივი — 3+5=8 (მსგავსად ვეფხისტყაოსნის დაბალი შაირისა).

2. მთავარი თემა — 5+8=13.

3. მეორეული თემა — 13.21 (შდრ. E. Lindvai, გვ. 177).

შდრ. აგრეთვე A. Zeising, op. cit., გვ. 414 შმდ.; აგრეთვე გვ. 431; როგორც ს. ეიზენშტეინი აღნიშნავს, ასეთი ცდა, მოეძებნა მუსიკაში ოქროს კვეთის შეფარდება, ჩაუტარებია Э. К. Розенов-ს, რომლის შრომები, მისი აზრით, იძლევიან «очень высокий процент „попаданий" „золотого сечения" в музыке». იხ. С. Эйзенштейн, ხს. ნაშრ., ტ. III, გვ. 54.

[34] ასეთი პროპორციის აღმოჩენა სცადა ს. ეიზენშტეინმა ა. პუშკინის პოეზიაში. С. Эйзенштейн, III, 54—55.

მაგრამ პუშკინთან ს. ეიზენშტეინი ხედავს ოქროს კვეთის მიმართებას არა ლექსის პროსოდიულ ერთეულთა მიმართებაში, არამედ „მასივის" სუჟეტურ-თემატიკურ დაყოფაში დიდ და მცირე მონაკვეთებად ოქროს კვეთის საფუძველზე, მაგ., ოქროს კვეთის პროპორციას ხედავს ს. ეიზენშტეინი „რუსლან და ლუდმილას" შემდეგ მონაკვეთში:

A

...С порога хижины моей
Так видел я, средь летних дней,
Когда за курицей трусливой
Султан курятника спесивый,
Петух мой по двору бежал
И сладострастными крылами
Уже подругу обнимал;
Над ними хитрыми кругами
Шыплят селенья старый вор,
Приняв губительные меры,
Носился, плавал коршун серый
И пал как молния на двор.
Взвился, летит. || В когтях ужасных

В

Во тьму расселин безопасных
Уносит бедную злодей.
Напрасно, горестью своей
И хладным страхом пораженный,
Зовет любовницу петух...
Он видит лишь летучий пух,
Летучим ветром занесенный.

(«Руслан и Людмила», 1817—1820.
Песнь вторая)».

იხ. ს. ე ი ზ ე ნ შ ტ ე ი ნ ი, ხს. ნაშრ. გვ. 54.

ასეთი დაყოფა ტექსტისა ოქროს კვეთზე, სუჟეტურ-თემატური პრინციპის მიხედვით, ალბათ ბევრ ნაწარმოებში მოიძებნება, მაგრამ ცოტა ხელოვნური ჩანს და ჯერ კიდევ გასარკვევია, რამდენად შეიგრძნობა აქ ოქროს კვეთის პროპორცია. თავისთავად მეტად საყურადღებოა ს. ე ი ზ ე ნ შ ტ ე ი ნ ი ს ცდა, რომ ოქროს კვეთის პროპორცია მონახოს ა. პუშკინის პოეზიაში.

[35] რვამარცვლედის განაწილებას ასიმეტრიულად 5 და 3 (8) მარცვლედებად და სიმეტრიულად 4 4 (8) მარცვლედებად, რაც ვეფხისტყაოსანში და, საერთოდ, ქართულშია დადასტურებული, პარალელები სხვა ენებშიც მოეპოვება. როგორც R. Jakobson-მა გამოარკვია, საერთო სლავურს ახასიათებდა ლექსის ორი სახეობა, ორგვარი დიქოტომიით: გრძელი ლექსი (ათმარცვლიანი) ~ მოკლე ლექსი (რვამარცვლიანი). ორივე ამ სახეობაში გვქონდა სიმეტრიული დაყოფა ელეგიებისათვის და ასიმეტრიული — ეპიკური ნაწარმოებებისათვის. მოკლე ლექსი (kráćī stĭh) სერბო-ქროატული ელეგიისა (ljùžbalice) შედგებოდა რვა მარცვლისაგან, რომელიც იყოფოდა ტეტრასილაბურ კოლონად (4/4) სავალდებულო ცეზურით მათ შორის, რაც ბერძნულ ტროქეულ ტეტრამეტრს ჰგავს.

სლავური ეპიკური მოკლე სახეობა წარმოდგენილია „ისტორიულ სიმღერებში". ეს არის უფრო „დინჯი" და „დოკუმენტალური" ლექსი, განკუთვნილი „შეუფერადებელი სინამდვილის" გადმოსაცემად. მისი პროპორცია იყო 5/3 სპეციალური კვანტიტატიური კადანსით, რომელშიც, როგორც ამას სერბულ-ქროატული აჩვენებს, კოლონის მარცვალთა არათანაბარ რაოდენობას უპირატესობა ეძლეოდა თანაბარი რაოდენობის სილაბებთან შედარებით (იხ. R. Jakobson, Studies in Comparative Slavic Metrics, Oxford Slavonic Papers, 3, 1952 გვ. 34, 36, 55; მისივე Selected Writings, IV, Slavic Epic Studies, Mouton and co., The Hague-Paris, გვ. 414—463; აგრეთვე Calvert Watkins, Indo-European Origins of a Celtic Metre. Poetics, Poetyka, Поэтика. Warszawa, 1961, გვ. 108).

შესატყვისი მიმართებები დადასტურებულია ბერძნულისა და ვედური სანსკრიტისათვის, აგრეთვე კელტური (ირლანდიური) ლექსისათვის (იხ. C. Watkins, ხს. ნაშრ. გვ. 99—117).

[36] R. Jakobson, Selected Writings, IV, გვ. 453; C. Watkins, ხს. ნაშრ., იქვე.

რვამარცვლიანი კარედის დაყოფა სიმეტრიულ ოთხ-ოთხმარცვლიან ერთეულებად დადასტურებულია ჯერ კიდევ ვედური სანსკრიტის „მოკლე მეტრში", რვა მარცვლედში, რომელიც ორ ოთხმარცვლედებად იყოფა, თუმცა

ფიქსირებული ცეზურა არ არის, რაც ინნოვაციად არის მიჩნეული (შდრ. Calvert Watkins, ხს. ნაშრ., გვ. 106). ანალოგიური სურათია დადასტურებული გნომიკურ-ეპიკურ ლექსში, რომელიც R. Jakobson-ს ბერძნული მეტრის უძველეს სახეობად მიაჩნდა (შდრ. Selected Writings, IV, გვ. 414—463; აგრეთვე C. Watkins, ხს. ნაშრ., 99 შმდ .ამის შესახებ იხ. აგრეთვე ქვემოთ). ბერძნულისათვის დამახასიათებელი — = ⏑⏑ მერმინდელ ინნოვაციად არის მიჩნეული შდრ. C. Watkins, გვ. 100).

[37] იხ. Н. Марр, Древнегрузинские одописцы. Тексты и разыскания по Армяно-Грузинской филологии, IV, პეტერბურგი, 1902, გვ. პთ, 16, 17.

[38] იხ. ჩვენი „მეტრი და რიტმი ვეფხისტყაოსანში", საბჭოთა ხელოვნება, № 3, 1972, გვ. 37; ალ. ბარამიძე, „ლიტერატურული საქართველო", 19. V, 1972 წ. № 21, გვ. 2.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფილიპე ბეთლემის საგალობელი (იხ. ნ. მარი, Вступительные и заключительные строфы, გვ. LVI) არ არის დაბალი შაირი, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ფიქრობს. ეს არის თექვსმეტმარცვლიანი ლექსი, აგებული ოთხმარცვლიან სეგმენტებზე (4+4+4+4=16), მსგავსად მაღალი შაირისა, მაგრამ, მისგან განსხვავებით, არ არის სტროფებად დაყოფილი და ატარებს თავიდან ბოლომდე, ცამეტსავე სტრიქონში, საერთო, ერთმარცვლიან რითმას (შდრ. ნ. მარი, გვ. LV), როგორც ეს არაბული ლექსისათვის იყო დამახასიათებელი. შდრ.:

ფესუთა მათგან ოქროვანთა შემკული ხარ შენ ქალწულო,
იაკინთე ძოწეული სამოსლად გაქუს ღმრთის-მშობელო
ლამპრითა მით ბრწყინვალითა მოგეგებით დედოფალო და სხვ.

ჯერ კიდევ არაა მთლიანად ნათელი თამარიანში ჩართული ლექსი **თამარ წუნარი, შესაწუნარი** და სხვ. მაღალი შაირით ნაწერი 16 მარცვლიანი სტროფია, თუ ოთხმარცვლიანი ლექსი. ამის შესახებ იხ. ს. ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, 1966, 184.

[39] ვეფხისტყაოსნის ჟანრის განსაზღვრისათვის იხ. ალ. ბარამიძის ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, თბილისი, 1971, გვ. 67—90; აგრეთვე მისივე შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი, 1966.

[40] პროკლეს ფილოსოფიისა და მათემატიკის შესახებ იხ. ამჟამად Stanislas Breton, Philosophie et mathématique chez Proclus, suivi de principes philosophiques des mathématiques d'après le commentaire de Proclus aux deux premiers livres des Eléments d'Euclide par N. Hartmann, traduit de l'allemand par Geneviève de Pesloüan, Paris, Beauchesne, 1969.

[41] იოანე პეტრიწის შრომები, შ. ნუცუბიძისა და ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. 1, პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი, თბილისი, 1940; ტ. II, განმარტება პროკლესათჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის, თბილისი, 1937.

[42] იოანე პეტრიწი, ტ. II, გვ. 219; შდრ. გამომცემელთა შენიშვნა, ტ. I, გვ XVIII, შენიშვნ. 3.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში იოანე პეტრიწის ამ სიტყვების გამო გაიმართა ცხოველი პოლემიკა, რომელიც დღესაც გრძელდება. ამ პოლემიკის ისტორია ვრცლადაა მოცემული ი ვ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ს შრომაში, რომელიც

წინ უძღვის იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბის“ გამოცემას, თბილისი, 1968, გვ. 99—114; იხ. აგრეთვე მისი არეოპაგიტიკის პრობლემები, თბილისი, 1972 და შ. ხ ი დ ა შ ე ლ ი ს სტატია, კიდევ ერთხელ პეტრე იბერის გამო, „ლიტერატურული საქართველო“, 23 ივნისი, 1972, გვ. 2.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით იოანე პეტრიწს, როდესაც იგი ლაპარაკობს „წიგნისა ამის“ კუალად გარდმოღებაზე, მხედველობაში აქვს არა პროკლე დიადოხოსის „პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი“, არამედ ბიბლიური წიგნები მოსე წინასწარმეტყველისა.

მთელი რიგი მიზეზების გამო ტექსტის ასეთი გაგება, ჩემი აზრით, ეჭვს იწვევს.

(1). როდესაც პეტრიწი ლაპარაკობს მოსეს წიგნების შესახებ, ის ხმარობს მრავლობით რიცხვს: „მოსეცა... შესატყჳსთა უწოდს სახელთა წიგნებთა თჳსთა“, კომენტარების ბოლოსიტყვაობაში კი ლაპარაკია „წიგნისა ამის“ კვალად გარდმოღების შესახებ.

(2), ბუნებრივია, რომ ნაცვალსახელი „ა მ ი ს“, გამოთქმაში წ ი გ ნ ი ს ა ა მ ი ს“, ეხებოდეს „ა მ წ ი გ ნ ს“, პროკლე დიადოხოსის კავშირთ, სადაც ეს სიტყვები იწერება, და არა „ი მ წ ი გ ნ ს“, რომელიც აქ წარმოდგენილი არ არის. აქ რომ მოსეს წიგნები იგულისხმებოდეს, იქნებოდა „წიგნებისა მის“.

(3). აღნიშნავენ, რომ იოანე პეტრიწს მოჰყავს არასწორად თარგმნის ნიმუშად მაგალითი სახარებიდან **„პირველითგან იყო სიტყუა“** და არა პროკლე დიადოხოსის წიგნიდან, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, პროკლეს „კავშირნი“ რომ იგულისხმებოდეს. მაგრამ მეორე მხრივ კიდევ უფრო გაუგებარია, რატომ მოიტანა პირველ რიგში მაგალითი სახარებიდან და მხოლოდ ბოლოს, გაკვრით ეხება დაბადების ერთ ფრაზას: „მოვედით და ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდაო“. იმის დასამტკიცებლად, რომ მოსეს წიგნები ცუდადაა თარგმნილი, მაგალითი სახარებიდან (იოანე 1, 1) ძნელად თუ გამოდგებოდა.

ეს მაგალითები, ჩემი აზრით, უფრო იმას მოწმობს, რომ იოანე ფილოსოფოსს მხედველობაში აქვს სწორედ პროკლე დიადოხოსის „კავშირნი“, რადგან ტერმინები, რომლებიც ამ მაგალითებში გვხვდება „პირველი“, „დასაბამი“, „სიტყუა“, „კაცი“, „ხატი“ და სხვ. არა ერთგზისაა განხილული ფილოსოფიურ ასპექტში, როგორც პროკლეს „კავშირთა“ თარგმანში, ისე მის კომენტარებში, ეს ძირითადი კატეგორიებია, რომლის შესახებაცაა საუბარი მთელი ტექსტის მანძილზე და მაგალითისათვის ისეთი ფრაზებია მოტანილი, სადაც ეს ტერმინები გვხვდება.

(4). თავისთავად ის ფაქტი, რომ ამ ფრაზას წინ აბზაცი მიუძღვის, სადაც მოსეა მოხსენებული, არაფერს არ ნიშნავს. უფრო ადრე ტექსტში ლაპარაკია პლატონზე, პროკლეზე და სხვა ავტორებზე.

იოანე პეტრიწის ამ სიტყვებიდან არ ჩანს, რა თქმა უნდა, ვის გულისხმობს იგი „ამ წიგნის“ გარდმომღებელთა შორის. ყოველ შემთხვევაში, არ არის რაიმე ნიშანი, რომ აქ პეტრე იბერი იგულისხმებოდეს, მაგრამ მოსაზრება, რომ აქ „კავშირთა“ გადმოღებაზეა ლაპარაკი და არა მოსეს წიგნების თარგმანზე, მე ვფიქრობ, საფუძველს მოკლებული არ არის. ჩემთვის არსებითად ამას მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტია, რომ რუსთველის წინამავალ ეპოქაში პროკლე დიადოხოსი პოპულარული იყო საქართველოში, თუნდაც იოანე პეტრიწის წყალობით, და რომ რუსთველი ამ ნაწარმოებს იცნობდა. ეს კარგად ჩანს თვით ვეფხის-

ტყაოსნის ტექსტიდან, როგორც თავის დროზე აღნიშნა ნ. მარმა (იხ. ქვევით, შენიშვნ. 46).

[43] Ф. Успенский, Очерки по истории византийской образованности, პეტერბურგი, 1891, გვ. 159, 174.

[44] ი. პეტრიწი, შრომები, I, წინასიტყვაობა, გვ. VIII, ტექსტი, II, 215—224.

[45] ამის შესახებ იხ. ვუკოლ ბერიძე, შოთას პოეტიკისათვის, ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 169.

[46] Н. Марр, Вступительные и заключительные строфы Витязя в Барсовой коже Шоты из Рустава. პეტერბურგი, 1910, გვ. XLVII.

[47] ნ. მარი, იქვე, გვ. XLVII.

[48] იხ. Ш. И. Нуцубидзе, Руставели и Восточный Ренессанс. თბილისი, 1947. იხ. აგრეთვე ნ. ნათაძე, რუსთაველის რელიგია და მსოფლმხედველობა. „ვეფხისტყაოსნის" ჩანაფიქრი (წიგნში ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა. თბილისი, 1966, გვ. 70 შმდ.).

[49] ამ მსოფლხედვას საფუძვლად უდევს „ბოროტთა უარსობის ანუ ბოროტების არასუბსტანციონალობის ნეოპლატონური კონცეპცია", „თუკი ქვეყანა თავის საფუძველში კეთილია..., თუ კი ბოროტება მხოლოდ კეთილის „მოკლებაა" და მას საკუთარი სუბსტანცია არ გააჩნია, როგორც ამას ნეოპლატონიზმი გვასწავლის, მაშინ ქვეყნად ბოროტების გამარჯვებასაც ხანგრძლივობა არ ჰქონია. კეთილი ბოროტს სძლევს. რუსთველის სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი არსება ბოროტისაზე გრძელი ყოფილა. ამ ფილოსოფიურ კონცეფციას ცენტრალური ადგილი უჭირავს რუსთაველის პოემის საფუძვლად მდებარე მსოფლმხედველობის მწყობრ შენობაში..." ნ. ნათაძე, ხს. ნაშრ., გვ. 74.

სწორედ ეს ფილოსოფიური თვალსაზრისია პოემის არატრაგიკული დასასრულის მიზეზი, რაზედაც A. Zajączkowski ლაპარაკობდა, იხ. Atti del convegno internazionale sul tema: La Poesia epica e la sua formazione, Roma, 1970, გვ. 713.

[50] ამასთან დაკავშირებით საფიქრებელია, რომ ოქროს კვეთზე იყოს აგებული მცხეთის სიონი და ბაგრატის ტაძარი, ყინწვისის ანგელოსი და ქართული ხელოვნების სხვა ძეგლები, რომელთა სიმეტრია მკვლევართა აღტაცებას იწვევს.

საყურადღებოა, რომ ამ ცოტა ხნის წინათ სპეციალურად ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ, რომელსაც აკად. ბ. რიბაკოვი და ა. არციხოვსკი ხელმძღვანელობდნენ, აღმოაჩინა, რომ ოქროს კვეთზეა აგებული რუსული არქიტექტურის ისეთი ძეგლები, როგორიცაა ფსკოვის ვლადიმერის ტაძარი, ნოვგოროდის, სუზდალისა და სხვ. ძეგლები, იხ. B. Frolov, Mathematical 'secrets' of ancient Russian architects, იხ. Moscow News, 1972, № 26 (1121), 24.VI, გვ. 15.

[51] ეს პროპორცია ქართულ ლექსში, ცალკეულ შემთხვევებში, რა თქმა უნდა, მანამდეც არსებობდა (ამის შესახებ იხ. ქვევით), მაგრამ იმის შემდეგ, რაც ითქვა, საფუძველია ვიფიქროთ, რომ რუსთველთან იგი შეგნებულად არის გამოყენებული, ისე, როგორც შეგნებულადაა გამოყენებული ლეონარდო და ვინჩისთან და უფრო გვიან Le Corbusier-სთან მანამდე მრავალი საუკუნით ადრე არსებული ოქროს კვეთის მიმართება.

[52] Ernö Lendvai, ხს. ნაშრ., გვ. 189.

[52a] შდრ. პ. ინგოროყვას გამოცემა ვეფხისტყაოსნისა, 1953, გვ. 436.

[53] ვეფხისტყაოსნის ტექსტის დაყოფა ოთხმარცვლედებად, მაღალ შაირში, და სამ-და ხუთმარცვლედებად, დაბალ შაირში, ტრადიციით ძველთაგანვე მომდინარეობს. თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი ლექსთწყობის საკითხებს შეხებია, ინტუიციით გრძნობდა ასეთი დაყოფის ბუნებრივობას, თუმცა ამის მეცნიერულად დასაბუთება არავის მოუცია.

ასე, მაგ.: პირველი ავტორი, რომელიც ქართული ლექსთწყობის საკითხებს შეეხო, მამუკა ბარათაშვილი (XVIII ს.) აღნიშნავს, რომ შაირის „სტრიქონი ოთხად გაიკრებაო" და მაღალი შაირისათვის გვიჩვენებს ნიმუშს: **მე, რუსთველი,:/ ხელობითა :/ვიქ საქმესა :/ამა დარი.** ხოლო გრძელი შაირის საილუსტრაციოდ მოაქვს 23-ე სტროფი:

მიჯნურსა თვალად :/სიტურფე :/მართებს მართ ვითა :/მზეობა

ამის შესაბამისად მამუკა ბარათაშვილი იძლევა სქემებს:

მაღალი შაირისათვის:

მიჯნურობა :/მიჯნურობა :/მიჯნურობა :/მიჯნურობა

დაბალი შაირისათვის:

მიჯნურთათვისგან :/მიჯნურთა :/მიჯნურთათვისგან :/მიჯნურთა.

შდრ. მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გ ი ვ ი მ ი ქ ა ძ ი ს გამოცემა, თბილისი, 1969, გვ. 127; აგრეთვე ქართული პოეტიკის ქრესტომათია XVIII—XIX სს., (გ ი ვ ი მ ი ქ ა ძ ი ს რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1954, გვ. 10 შმდ.).

ასეთი წესი ერთი სიტყვის („მიჯნურობა") საშუალებით პროსოდიული სიდიდეების ჩვენებისა მ ა მ უ კ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს აღებული აქვს, როგორც ეს სწორად აღნიშნა გ ი ვ ი მ ი ქ ა ძ ე მ (იხ. მისი მამუკა ბარათაშვილი, თბილისი, 1958, გვ. 130—131), არაბულ-სპარსული ʿარუდ-იდან, სადაც ძირისაგან ნაწარმოებ სხვადასხვა ფორმებს იყენებდნენ მნემონურ სიტყვებად (voces memoriae) ლექსის „ტერფების" (ʿağzā', მხოლ. ğuz' „ნაწილი") აღსანიშნავად, შდრ. G. Weil, ʿarūḍ, EI, NE, I, გვ. 669, იქვე სრული ბიბლიოგრაფია.

ასეთივე დაყოფა აქვს მოცემული ე ქ ვ თ ი მ ე ბ ო ლ ხ ო ვ ი ტ ი ნ ო ვ ს, რომელიც დაბალი შაირისათვის იძლევა სქემას: ⏑⏑—⏑⏑—⏑⏑ ⏑⏑—⏑⏑—⏑⏑, რასაც ის პირიქო-დაქტილურ („Пиррихо-дактилический ⏑⏑ — ⏑⏑") მეტრს უწოდებს (შდრ. ე. ბოლხოვიტინოვი, ხს. ნაშრ., გვ. 88—89).

ასევე ნ. მარმა გაკვრით აღნიშნა (მსგავსად სხვა ავტორებისა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე) 1910 წელს, რომ დაბალ შაირში გვაქვს „დაყოფა ხუთ- და სამმარცვლიან ტერფებად", ხოლო მაღალ შაირში „ოთხმარცვლიან ტერფებად" (იხ. Вступительные и заключительные строфы Витязя в Барсовой коже Шоты из Рустава, პეტერბურგი, 1910, გვ. 21—22); ასეთივე დაყოფა აქვთ მოცემული პ. ინგოროყვას (გიორგი მერჩულე, გვ. 562, 568), გ. გაჩეჩილაძეს (მნათობი, 10, 1970, გვ. 154; Литературная Грузия, 9-10, 1969, გვ. 106) და მთელ რიგ სხვა მკვლევართ.

ის ავტორებიც კი, რომლებიც ქართულ ლექსთწყობაში „ქორეებსა" და „დაქტილებს" ან მათ ეკვივალენტებს ეძებდნენ, კარგად ხედავდნენ, რომ ვეფხისტყაოსნის მაღალი შაირი ოთხმარცვლედებისაგან შედგება, ხოლო დაბალი შაირი — სამ- და ხუთმარცვლიანი ერთეულებისაგან. მაგ., კ ო ტ ე დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, რომელიც ვეფხისტყაოსანში „ხორეისებურ" და „დაქტილისებურ"

„სტოპებს“ ხედაება, 940 სტროფისათვის (ვა, **სოფელო, რაშიგან ხარ** და სხვ.) იძლევა სქემას: ◡ — ◡◡ / ◡ — ◡◡ / ◡ — ◡◡ / ◡ — ◡◡ (იხ. გ. მ ი ქ ა ძ ე, ქართული პოეტიკის ქრესტომათია, გვ. 102, შდრ. აგრეთვე გვ. 110, 111), ხოლო დაბალი შაირი წარმოდგენილი აქვს ამგვარად: ◡◡ — ◡◡ / — ◡◡ / ◡◡ — ◡◡ / — ◡◡. ნიმუშისათვის მოტანილია 943-ე (**ვარდი ჰნებოდა, ღვრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა**) და 949-ე (**მოდი, მარიხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა**) სტროფები (შდრ. ქართ. პოეტ. ქრესტ. გვ. 117).

ასევე ს. გ ო რ გ ა ძ ე, რომელიც ქართულ ლექსთწყობას „სილაბურ-ტონურად“ მიიჩნევს და მაღალ შაირს «წმინდა ქორეულ, ან უკეთ დიქორეულ დიმეტრს» უწოდებს, ამგვარსავე დაყოფას იძლევა:

ნაბეს უცხო/მრყმე ვინმე“;

„ვარდსა ჰკოთხეს: /ეგრე ტურფა“ და სხვ. (იხ. ს. გ ო რ გ ა ძ ე, ქართული ლექსი. პროფ. კ. კეკელიძის წინასიტყვაობით, ტფილისი, 1930, გვ. 18);

დაბალი შაირი ს. გ ო რ გ ა ძ ი ს ა თ ვ ი ს «ლოგაედურ-დაქტილური დიმეტრის შეერთებას წარმოადგენს (53‖53 ან 35‖35, გინდ ასე: 53‖35 ან 35‖53)». ნიმუშისათვის მოჰყავს სტრიქონი:

«იყო არაბეთს | როსტევან ‖ მეფე ღვთისაგან | სვიანი» (ს. გ ო რ გ ა ძ ე, ხს. ნაშრ., გვ. 67).

ვუკოლ ბერიძის მიხედვით «ლექსთა კლასიკური წყობა სილაბურ-ტონურია, ე. ი. დამოკიდებულია როგორც მარცვალთა რაოდენობაზე, ისე ტონზე, მაგრამ ლექსს არც ტონი ქმნის და არც მარცვალთა რაოდენობა, არამედ უპირატესად სიტყვების სიმეტრიული თანმიმდევრობა»(?) (იხ. მისი რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბილისი, 1961, გვ. 40, შმდ.), მაგრამ მისთვისაც «მაღალ შაირისას თითოეული სტრიქონი ოთხ თანაბარ, თანასწორ მუხლად იყოფა», «სიმეტრიული თანმიმდევრობით გაწყობილი სიტყვები აქ ორ-ორ — ოთხ-ოთხმარცვლოვანია» (იქვე, გვ. 117, 118), ხოლო «დაბალ შაირისას სტრიქონი ოთხ არათანასწორ მუხლად იყოფა, ე. ი. თუ ერთ მუხლში ხუთი მარცვალია, მეორეში აუცილებლად სამია, ანდა პირიქით» (იქვე, გვ. 117, შმდ.).

მელიტონ კელენჯერიძემ წარმოადგინა ცდა, რომ რუსთველის ლექსი მთლიანად ქორეებისა და დაქტილებისაგან შედგენილ „სტოპებად“ დაეყოთავის 1899 წელს გამოქვეყნებულ სიტყვიერების თეორიაში იგი აღნიშნავდა, რომ ქართულში „ხმარება ერთნაირი და არეულ-დარეული სტოპებისა ხშირია“ (იხ. ქართ. პოეტ. ქრესტ., გვ. 173). მ. კელენჯერიძის აზრით, «ხორეისა და დაქტილის ◡—, —◡◡» მაგალითებია:

—◡ —◡◡ — ◡◡ —◡ —◡◡ —◡◡

იყო / არაბეთს / როსტევან, / მეფე / ღვთისაგან / სვიანი ... ან კიდევ

◡ — ◡ ◡ ◡ —◡◡ — ◡◡ — ◡ —◡◡

რომელ/მან შექმნა/სამყარო/ძალითა/მით ძლი / ერითა...» (იქვე, გვ. 173).

უკვე ჩვენ დროში ადგილი ჰქონდა ცდას, რომ მ. კელენჯერიძის მიერ „ალმოჩენილი“ ქორეული და დაქტილური „სტოპებისათვის“ (=„ტერფებისათვის“) „მეცნიერული“ საფუძვლები მოეძებნათ და ეს მოგონილი, ფიქტიური „ტერფები“ ლექსის სტრუქტურის ძირითად, უცვლელ სიდიდეებად გამოეცხადებინათ. ეს შეხედულება შემდეგში სახელმძღვანელოშიც კი გადაიტანეს და ამით ხელი შეუწყვეს ამ მცდარი თვალსაზრისის გავრცელებას. ამის შედეგად, სულ

უკანასკნელ დრომდე, ვიდრე ჩემი გამოკვლევა გამოქვეყნდებოდა, მიღებულად ითვლებოდა, რომ „დაბალი შაირის საფუძველია სამმარცვლიანი ტერფი, მაღალი შაირის ტერფი კი ორმარცვლიანია“ და რომ დაბალ შაირში „სიტყვები დაჯგუფებულია სამ- და ორმარცვლიან ტერფებად“ (შდრ. ალ. ბარამიძე. შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი, 1966, გვ. 355; პ. ბერაძე, ქართული ლექსის ბუნებისათვის, მნათობი, 3, 1944, გვ. 142—153).

როგორც ეს მწერალთა კავშირში ჩატარებულმა დისკუსიამ გვიჩვენა, ამჟამად უკვე მკვლევართა დიდი უმრავლესობისათვის თვალსაჩინო გახდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის „დაქტილებად“ და „ქორეებად“ დაყოფის სრული უსაფუძვლობა (შდრ. ლიტერატურული საქართველო, № 20, 1972 წ., 19 მაისი და № 21, 1972 წ. 26 მაისის ნომრები).

[54] R. Jakobson, The Modular Design..., გვ. 600.

[55] Claude Lévi-Strauss, The Future of Kinship Studies, Proceedings of the Royal Anthropological Institute of Great Britain and Ireland, 1965, p. 17.

[56] მახვილის შესახებ ქართულში იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 127 შმდ.; ს. ჟღენტი, ქართული სალიტერატურო ენის აქცენტუაციის ძირითადი საკითხები. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, 1953, გვ. 125 შმდ.; А. А. Алхазишвили, Порядок слов и интонация в простом повествовательном предложении грузинского языка. Фонетический сборник, I, თბილისი, 1959, გვ. 367—414: შდრ. გვ. 403 შმდ.; H. Vogt. Crammaire de la langue Géorgienne, Oslo, 1971, pp. 15-16.

ქართული ენის მახვილი ისტორიულ ასპექტში განხილული აქვს არნ. ჩიქობავას, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 2, № 2/3, 1942.

[57] როდესაც ვამბობთ „მინიმალურიაო“, ვგულისხმობთ, რომ ზოგჯერ იგი ერთგვარად ექსპრესიულობას აძლევს წარმოთქმას და გარკვეულ როლს თამაშობს მიჯნის, ტემპისა და სხვ. ფაქტორებში. სხვა მხრივ შეიძლება ითქვას, რომ მისი ფუნქციონალური დატვირთვა ნულს უდრის.

[58] ასეთი წარმოთქმის არაბუნებრიობა ყოველთვის იგრძნობა და არ შეიძლება იგი ქართული ენობრივი შეგრძნებისათვის (Sprachgefühl) მისაღებად ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, ქართული ლექსთწყობის ზოგიერთ მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნია, რომ მახვილი უადგილო ადგილას დასვას. ისე რომ ვერა გრძნობს უხერხულობას. ამის მიზეზია სწორედ მახვილის უმნიშვნელო როლი ქართულში.

[59] ს. ჟღენტი, ხს. ნაშრ., გვ. 146.

[60] იხ. G. Herdan, The Mathematical Theory of Verse. Zeitschrift für Phonetik, Sprachwissenschaft und Kommunikationsforschung, B. 22. H. 3, Berlin, 1969, S. 226.

[61] ჩეხური, რუსული და ინგლისური მასალები მოგვყავს G. Herdan-ისა (ხს. ნაშრ., გვ. 226) და J. Levý-ს მიხედვით (იხ. J. Levý, Kombinační možnosti verše, Československá Rusistika, VII, 1962, 2, p. 77 შმდ.).

[62] G. Herdan, ხს. ნაშრ., გვ. 226.

[63] იხ. H. Vogt, Structure phonémique du Géorgien. Etude sur le classement des phonèmes et des groupes de phonèmes. Norsk Tidsskrift for Sprag-

videnskap, Bind XVIII, Oslo. 1958, § 56; ქართული თარგმანი, თბილისი, 1961, გვ. 73.

[64] შდრ. ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში. თბილისი, 1970, გვ. 114 შმდ.

[65] ეს საკითხები კარგადაა შესწავლილი H. Vogt-ის ბრწყინვალე გამოკვლევაში ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის შესახებ (H. Vogt, Structure phonémique du Géorgien), საიდანაც მკითხველს შეუძლია სრული წარმოდგენა იქონიოს თანხმოვანთა დისტრიბუციის შესახებ. საყურადღებოა აგრეთვე ს. ჟღენტის შრომა: ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა. I. მარცვლის აგებულების პრობლემა, თბილისი, 1960; ზმნური ფუძეების ფონოლოგიური სტრუქტურისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფ. ერთელიშვილის შრომა: ზმნური ფუძეების ფონოლოგიური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში. თბილისი, 1970. ქართული მარცვლის შესახებ იხ. აგრეთვე Alan Bell, Some Patterns of Occurrence and Formation of Syllable Structures. Working Papers on Language Universals. October, Stanford, 1971, გვ. 23 შმდ.

[66] აქ მხედველობაში გვაქვს, რა თქმა უნდა, საკუთრივ ქართული ენა და არა პროტოქართველური, რომლისთვისაც ზოგიერთი მკვლევარი სხვა ვითარებას ვარაუდობს. შდრ. თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965, აგრეთვე გ. წერეთელი, სონანტებისა და აბლაუტის თეორიის გამო ქართველურ ენებში, იქვე. გვ. 09—051.

[67] იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 51.

[68] ალიტერაციის შესახებ ვეფხისტყაოსანში იხ. კ. ჭიჭინაძის გამოკვლევა, რომელიც ერთვის ვეფხისტყაოსნის გამოცემას.

[69] მიჯნა (juncture), რა თქმა უნდა, სულ სხვა მოვლენაა, ვიდრე ბგერათშეერთების წესები (sound-junction), რომლებიც ფონეტიკის სახელმძღვანელოებში არის ხოლმე განხილული.

[70] B. Bloch and G. L. Trager, Outline of Linguistic Analysis, Baltimore, 1942, 35.

[71] G. L. Trager and B. Bloch, The Syllabic Phonemes of English. Language, 17, 1941, 224.

[72] G. L. Trager and B. Bloch, იქვე, 226; Zellig S. Harris, Structural Linguistics, Chicago, 1960, გვ. 79 შმდ.

[73] Robert T. Harms, Introduction to Phonological Theory, New Jersey, 1968, p. 111.

[74] ვსარგებლობდით ნ. მარის გამოცემით: Древнегрузинские одописцы. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, т. IV, პეტერბურგი, 1902.

[75] ასეთი კალამბურების აღსანიშნავად ქართულში არსებობდა სპეციალური ტერმინი „ზმა“, რომელიც აკაკის „თორნიკე ერისთავის“ წყალობით ყველასათვის ცნობილია. ტერმინის მნიშვნელობა მოცემული აქვს ჯერ კიდევ ეკვთიმე ბოლხვიტინოვს (ხს. ნაშრ.).

[76] ასეთი შეფერადებული სტილითა და სიტყვების თამაშით პოეტური ნაწარმოების თხზვა გავრცელებული იყო მთელს აღმოსავლეთში X/XI—XIV საუკუნეებში. ასეთი სტილით არის ნაწერი, მაგ., ცნობილი არაბული მაკამები ალ-ჰამადანი-სა (968—1008 წ.) და ალ-ჰარირი-სა (1054—1122); სპარსული მაკამები ჰამიდ ალ-დინ ალ-ბალხი-სა (1156 წ.); ებრაული ვერსიები ალ-ჰარიზი-სა (დაახლოებით 1170—1230; ე. წ. sefer Taḥkemōnī), სირიული ვერსიები 'აბდიშო'-ისა (ებედაშუ') და სხვ. იხ. C. Brockelmann EI, III, გვ.174—177, აგრეთვე D. S. Margoliouth - Ch. Pellat, EI, NE, III, 1966, p. 221—222.

[77] H. A. Gleason, An Introduction to Descriptive Linguistics, New York, 1956, გვ. 44—45; რუსული თარგმანი, მოსკოვი, 1959, გვ. 83 შმდ.

[78] John Hollander, The Metrical Emblem, Style in Language, edited by Thomas Sebeok, Cambridge, 1966, p. 191 (The old and by now outmoded distinction between „meter" and „rhythm").

[79] შდრ. L. Klages, Vom Wesen des Rhythmus, 1931; B. Hrushovski, On Free Rhythms in Modern Poetry, Style in Language, p. 178, შმდ.

[80] H. Whitehall, Style in Language, p. 201.

[81] B. Hrushovski, op. cit., p. 179.

[82] G. Weil, 'arūḍ, EI, NE, I, p. 671.

[83] W. K. Wimsatt, Jr., M. C. Beardsley, The Concept of Meter: an Exercise in Abstraction, Style in Language, p. 194.

[84] А. Белый, Символизм, книга статей. Москва, 1910, книгоиздательство „Мусагет", განსაკუთრებით გვ. 286 შმდ.

[85] В. М. Жирмунский, Введение в метрику, теория стиха, Academia, Ленинград, 1925.

[86] Б. В. Томашевский, Русское стихосложение, Метрика, Петроград, 1923.

[87] ამის შესახებ იხ. Ю. М. Лотман, Анализ поэтического текста, изд. „Просвещение", Ленинград, 1972, გვ. 46, შმდ.

[88] W. K. Wimsatt, Jr., and M. C. Beardsley, The Concept of Meter: an Exercise in Abstraction, pp. 193—196.

[89] A. Meillet, Origines indo-européennes des mètres grecs, Paris, 1923. 344.

[90] R. Jakobson, Slavic Epic verse. Studies in comparative metrics. Selected Writings, IV, Slavic Epic Studies, Mouton and co., The Hague-Paris, 1966, pp. 414—463. ადრე დაიბეჭდა Oxford Slavonic papers, 3. 21—66, 1952.

[91] Calvert Watkins, Indo-European Origins of a Celtic Metre. Poetics, Poetyka, Поэтика, Warszawa, 1961, p. 99—117.

[92] R. Jakobson, op. cit., გვ. 414 შმდ.

[93] C. Watkins, op. cit., გვ. 99.

[94] შდრ., ა. შანიძე, ხევსურული პოეზია, თბილისი, 1928.

[95] H. Mapp, Вступительные и заключительные строфы Витязя в Барсовой коже Шоты из Рустава, Санктпетербург, 1910, გვ. VI.

[96] ა. შანიძე, ვ. თოფურია, მ. გუჯეჯიანი, სვანური პოეზია. თბილისი, 1939.

[97] თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. თბილისი, 1965; გ. წერეთელი, სონანტთა სისტემისა და აბლაუტის გამო ქართველურ ენებში, იქვე, გვ. 022, შმდ.

[98] მეტრიკული ტიპოლოგიის შესახებ იხ. John Lotz, Metric Typology, Style in Language, p. 135 შმდ., აგრეთვე J. Levý, A Contribution to the Typology of Accentual-Syllabic Versification, Poetiks, Poetyka, Поэтика 1961, გვ. 177—188.

[99] ადრინდელი ავტორებისათვის „მახვილის" ცნება უცნობია. ისინი ლექსის სტრუქტურას მუხლების სილაბური მოცულობის მიხედვით განსაზღვრავენ. მაგ., ქართული ლექსის პირველი მკვლევარი მამუკა ბარათაშვილი (იხ. თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1969, გ. მიქაძის გამოცემა; გ. მიქაძე, მამუკა ბარათაშვილი, თბილისი, 1958; აგრეთვე გ. მიქაძე, ქართული პოეტიკის ქრესტომათია XVIII—XIX სს., თბილისი, 1954). მარცვალთა მიხედვით ყოფს ლექსს მუხლებად.

ასევე აქვს წარმოდგენილი იოანე ბაგრატიონს თავის „ქალმასობაში" ლექსი მუხლებისაგან, ხოლო მუხლები მარცვლებისაგან შედგენილად (ქალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1936, გვ. 272—301, შდრ. გვ. 273).

პლატონ იოსელიანით, „Стихосложение грузинское есть силлабическое или слогочислительное подобно стихосложению итальянцев, англичан(?) и французов". Путевые заметки от Тифлиса до Мцхеты, Тифлис, 1871, XXII, გვ. 47.

დავით ჩუბინაშვილისათვისაც ქართული ლექსწყობის საზომია „მარცვლოვანი, სადაც დაიცვენ მარცვალთა რიცხვთა" (იხ. გ. მიქაძე, ქართ. პოეტ. ქრესტ., გვ. 93); ამავე აზრისა არიან ლ. ისარლიშვილი (შდრ. მისი სიტყვები: „ქართული ლექსების თვისება ანუ ლექსთ წყობილება სილაბურია", ქრესტ., გვ. 137), არქიმანდრიტი კირიონი და გრიგოლ ყიფშიძე (ქრესტ., გვ. 157 შმდ; იხ. აგრეთვე გრიგოლ ყიფშიძის სტატია, იქვე, გვ. 206 შმდ.). ქართული ლექსის სილაბური ხასიათი კარგადა აქვს დახასიათებული ა. ფედოროვს: იხ. А. Федоров. О путях и средствах передачи грузинского стиха. გვ. 227 შმდ; კრებულში Грузинские романтики (А. Чавчавадзе, Н. Бараташвили, Г. Орбелиани, В. Орбелиани) в переводе русских поэтов под редакцией Н. С. Тихонова и Ю. Н. Тынянова. Ленинград. Советский писатель, 1940; მისი აზრით, „Грузинский стих—силлабический, т. е. строящийся на постоянстве числа слогов" (გვ. 227); შდრ. აგრეთვე „Принцип силлабо-тонической метрики, ее размеры и ритм не имеют отношения к грузинскому стиху, строящемуся по своим особым принципам" (გვ. 226).

არსებითად ამავე აზრის არიან პ. ინგოროყვა (გიორგი მერჩულე, გვ. 562, 568), გ. გაჩეჩილაძე („მნათობი", 10, 1970, გვ. 154, აგრეთვე „Литературная Грузия, 9—10, 1969, გვ. 106), პ. ბერაძე (ხს. ნაშრ. გვ. 142), ნაწილობრივ ნ. მარი (Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 13 შმდ.) და რიგი სხვა ავტორები.

განკერძოებით დგას ექვთიმე ბოლხოვიტინოვი (ხს. ნაშრ., გვ.

ბ3), რომელმაც ქართული პროსოდია ტონურად გამოაცხადა „მსგავსად ბერძნულისა და ლათინურისა“, იხ. ზევით, I, შენიშვ. 4.

ლავრენტი არდაზიანის მიხედვითაც, „ქართულსა ენასა შესდგამს მეტრიკელი ანუ რავდენობითი სტიხთ-შერთვა, რომელიცა დაეფუძნების ზომასა ზედა მარცვალთასა“ (ქართ. პოეტ. ქრესტ., გვ. 91—92).

მეორე მხრივ ქართული ლექსი სილაბურ-ტონურად მიიჩნია რიგმა ავტორმა: თბილისის პირველი გიმნაზიის მოსამზადებელი განყოფილების შტატგარეშე მასწავლებელმა (сверхштатный учитель) ნ. გულაკმა (Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 4, 1884), კოტე დოდაშვილმა (იხ. ქართული პოეტ. ქრესტ., გვ. 99 შმდ.), ქუთაისის რეალური სასწავლებლის მასწავლებელმა მღვდელმა მელიტონ კელენჯერიძემ (ქართ. პოეტ. ქრესტ., გვ. 164—195), ს. გორგაძემ (ქართული ლექსი, ტფილისი, 1930), ვ. ბერიძემ (რუსთველოლოგიური ეტიუდები, გვ. 40) და სხვ.

[100] K. L. Pike, The Intonation of American English, Ann Arbor, 1946, გვ. 35, 180; Jiří Levý, A Contribution to the Typology of Accentual-Syllabic Versifications, Poetics, Poetyka, Поэтика, Warszawa, 1961, გვ. 177—178.

[101] ალექსანდრიული ლექსის შესახებ იხ. Georges Lote, Histoire du vers français, Paris, ტ. I, 1949, ტ. II, 1951, ლექსის სტრუქტურული ელემენტების შესახებ, განსაკუთრებით იხ. ტ. I, გვ. 167 შმდ.; რუსულში ალექსანდრიული ლექსის შესახებ Л. Поливанов, Русский Александрийский стих, წიგნში Гофолия (Athalie) трагедия Ж. Расина, მოსკოვი, 1892, გვ. XVI.

[102] G. Lote, I, გვ. 293—294 (მაგ., Gautier de Dargies, Passion du Palatinus-ის ავტორი და სხვ.); აგრეთვე V. Zhirmunski, The Versification of Majakovski, Poetics, Poetyka, Поэтика, Mouton, 1966, p. 217—218.

[103] R. Jakobson, The Modular Design of Chinese Regulated verse, p. 598.

II

რითმა

[1] რითმის შესახებ ქართულში იხ. კ. ჭიჭინაძე, რითმა ქართულ ლექსში, „ქართული მწერლობა“, № 1—2, 1929, გვ. 150 შმდ.; ს. გორგაძე, ქართული ლექსი, თბილისი, 1930, გვ. 90 შმდ.; კ. ჭიჭინაძე, ვეფხისტყაოსნის გამოცემის ბოლოსიტყვაობა, თბილისი, 1934, გვ. 321, შმდ.; შ. ღლონტი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი, 1961; ა. ხინთიბიძე, ლექსთმცოდნეობის საკითხები, თბილისი, 1965, გვ. 101 შმდ.; ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი, 1966, გვ. 356; ივ. იმნაიშვილი, ქართული პოეტური ენის საკითხები, თბილისი, 1966; ხინთიბიძე, ვეფხისტყაოსნის პოეტიკიდან, თბილისი, 1969; ე. კვიტაიშვილი, ვაჟა ფშაველას რითმა, თბილისი, 1971; ე. ხინთიბიძე, აკაკის რითმა, თბილისი, 1972; რ. ფირცხალაიშვილი, ვეფხისტყაოსნის რითმის ზოგიერთი საკითხი, „ქართული ლიტერატურის საკითხები“, თბილისი, 1968, გვ. 3—16.

[2] ამ სტროფთან დაკავშირებით ერთი ავტორი წერს: «შედარებით(?) იშვიათია(?) ხუთმარცვლიანი სიტყვების გამოყენება ქორეულ კლაუზულაში, თუმცა რამდენიმე შემთხვევა(?) ცნობილია(?) ჯერ კიდევ რუსთაველთან. მაგ.,

სტროფი 139: ასე (sic!): ადრე: უყვითლესადრე: უგრძესადრე: წესადრე».
2 2 3 4 3

ეს მტკიცება გაუგებრობაზეა დამყარებული. „ქორეულ“ კლაუზულაში ხუთმარცვლიანი სიტყვების გამოყენება ვეფხისტყაოსანში „შედარებით იშვიათი“ კი არა, გამორიცხულია, რადგან „ქორეული“ კლაუზულა მხოლოდ მაღალ შაირშია, მაღალ შაირში კი, როგორც ეხლა უკვე გარკვეულია, ვეფხისტყაოსანში ხუთმარცვლიანი სიტყვის ხმარების არც ერთი შემთხვევა არაა დადასტურებული. აქედან ცხადია, რომ ვეფხისტყაოსანში „ქორეულ“ კლაუზულაში არ შეიძლება ხუთმარცვლიანი სიტყვა იყოს გამოყენებული. განცხადება „რამდენიმე შემთხვევა ცნობილია ჯერ კიდევ რუსთველთანო“ არ ემყარება ვეფხისტყაოსნის ტექსტის ცოდნას.

ამ თითქოს და „რამდენიმე შემთხვევიდან“ ასახელებენ მხოლოდ ერთ სტროფს (139, ჩვენი გამოცემით 138), მაგრამ ამ სტროფში „ქორეული“ კლაუზულა (ორმარცვლიანი რითმა) კი არ არის (ა დ რ ე), არამედ სამმარცვლიანი რითმაა: ე ს ა დ რ ე, როგორც ჩანს, ეს სტროფი მაღალი შაირისა ჰგონიათ. სინამდვილეში კი აქ გვაქვს დაბალი შაირი სამმარცვლიანი რითმით.

1 2 2 3 2 3 1 2
თქვა: „მზეო, ვარდსა | სიშორე || შენი დამაჩნდეს | ეს ადრე,

2 1 2 2 1 3 5
ბროლი და ლალი | გასრულ ვარ || ქარვისა | უყვითლესად-რე.

2 2 1 3 1 2 1 4
მაშინ რაღა ვქმნა, | ვერ-ჰვრეტა || რა მომხვდეს | კვლა უგრძესად-რე!

1 4 3 2 1 2 3
ხამს მოყვრისათვის | სიკვდილი, || ესე მე დამიც | წესად-რე.

მეორე მხრივ ორმარცვლიანი რითმა მრავლადაა გამოყენებული ხუთმარცვლიან სიტყვებში მეხოტბეებთან, მაგ., რითმა ლისა: **შიში უფლისა — დავრდომილისა — ძალი ცეცხლისა — ნელსაცხებლისა** (12); რითმა აგან: **ბედთა მათთაგან — ცხოველისაგან — სხივთა მისთაგან — თვისთა სხივთაგან** (17); რითმა ლითა: **სიყვარულითა — სურვილითა — იდუმალითა — სიხარულითა** (22); რითმა ოსა: **სიხშოსა — დიადოხოსა — პირმშოსა — პერიპატოსა** (53) და სხვ. მრავალი.

მრავლადაა შემთხვევები მეხოტბეებთან ხუთმარცვლიანი სიტყვების გამოყენებისა შინაგანი ორმარცვლიანი რითმისათვისაც. შდრ.

არისტოტელმან
მეძიებელმან
თავი თვით მისცა
საძიებელად (XI, 24).

იქ, სადაც არის ორმარცვლიანი რითმა ხუთმარცვლიან სიტყვებში (მეხოტბეებთან), ზოგიერთი მკვლევარი ამას ვერ ხედავს, სადაც არ არის ასეთი წარმოება (ვეფხისტყაოსანში), იქ ცდილობს მის გამოვლენას.

[3] В. Е. Холшевников, Русская и польская силлабика и силлабо-тоника, «Теория стиха», Ленинград, 1968, 35.

[4] „შეუცნობლად“ იმიტომ, რომ მათთვის სრულებით უცნობი იყო ცნება ლინგვისტური უნივერსალიებისა, რომელსაც თანამედროვე საენათმეცნიერო კვლევა-ძიებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. უნივერსალიების შესახებ იხ.: Б. А. Успенский, Структурная типология языков, М., 1965; აგრეთვე სერია სტანფორდის უნივერსიტეტის გამოცემებისა J. Greenberg-ისა და Ch. Fergusson-ის ხელმძღვანელობით; Working Papers on Language Universals. Stanford., 1969—1972. ჯერჯერობით გამოვიდა რვა ტომი.

[5] ს. გორგაძე, ქართული ლექსი, გვ. 92; შდრ. აგრეთვე კ. ჭიჭინაძე: „რითმა იზომება მხოლოდ მახვილიანი ბგერის მარჯვნით მოთავსებული მარცვლების რაოდენობით“, რითმა ქართულ ლექსში, „ქართული მწერლობა“, 1929, № 1—2, გვ. 152. ამ განმარტებას შემდეგში იმეორებს რიგი მკვლევარი.

[6] უნდა აღინიშნოს, რომ ს. გორგაძის ღვაწლი ქართული ლექსთწყობის დარგში უსამართლოდაა მიჩქმალული.

საერთოდ ქართული ლექსთწყობის შესწავლის ისტორიის საკითხები ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გაშუქებული.

[7] ს. გორგაძე, იქვე, გვ. 106—107.

[8] ეს მცდარი თვალსაზრისი ყველა გამომდინარე გაუგებრობით საფუძვლად უდევს ზოგიერთს ბოლო დროის გამოკვლევას კლასიკური ქართული ლექსის შესახებ.

[9] აქ მხედველობაშია რ. იაკობსონის ადრინდელი შრომა О чешском стихе преимущественно в сопоставлении с русским. Берлин и Москва, 1923.

[10] В. Е. Холшевников. Русская и польская силлабика и силлабо-тоника. «Теория стиха», Ленинград, 1968, გვ. 35.

[11] В. Е. Холшевников. იქვე, გვ. 35-36.

П. Н. Берков, К спорам о принципах чтения силлабических стихов XVII-начала XVIII в. «Теория стиха», გვ. 311.

[13] А. М. Панченко, О рифме и декламационных нормах силлабической поэзии XVII в. «Теория стиха», გვ. 292.

[14] В. Е. Холшевников, იქვე, გვ. 55 შმდ., აგრეთვე А. М. Панченко, ხს. ნაშრ., გვ. 280- შმდ.; И. П. Еремин, Симеон Полоцкий — поэт и драматург. წიგნში Симеон Полоцкий, Избранные сочинения, М.-Л. 1953, 257;

[15] В. Е. Холшевников, ხს. ნაშრ. გვ. 55 შმდ.; А. М. Панченко, ხს. ნაშრ. გვ. 293.

[16] Антиох Кантемир, Собрание стихотворений. Вступительная статья Ф. Я. Приймы, подготовка текста и примечания З. И. Гершковича, Письмо Харитона Макентина к приятелю о сложении стихов русских. Ленинград, изд. „Советский писатель“, 1956, გვ. 407, შმდ., შდრ. აგრეთვე В. Е. Холшевников, ხს. ნაშრ. გვ. 56; П. Н. Берков, ხს. ნაშრ., გვ. 313.

[17] А. Белый, Символизм, Книга статей, книгоиздательство „Мусагет“, Москва, 1910.

[18] ასევე გაუგებრობაზეა დამყარებული ზოგიერთი ავტორის მტკიცება, თითქოს ტიუტჩევის კარედში (Silentium)

как звезды ясные в ночй
любуйся ими и молчй

სიტყვაში в ночй მახვილი „გადატანილია“. ეს მტკიცება ემყარება რუსული ენის ელემენტარულ უცოდინარობას: в ночй სიტყვაში მახვილი გადატანილი კი არ არის რითმისათვის, არამედ არის ნორმალური ფორმა (ე. წ. второй предложный падеж), რუსული სალიტერატურო ენის ნორმა ტიუტჩევის დროს, თუმცა ზეოცე საუკუნის დასაწყისშიც იხმარება, მაგ., ა. ბლოკის მიერ: в ночй, когда уснет тревога (Александр Блок, Стихотворения, поэмы, театр. Москва, 1955, том 1, გვ. 6, შდრ. აგრეთვე გვ. 23: В ночй, исполненной грозою,...). ამჟამად ეს ფორმა აღიქმის როგორც არქაული დღევანდელ нóчью-სთან შედარებით. *в нóчи (ვარსკვლავი თანამედროვე აღწერითს. ენათმეცნიერებაში აღნიშნავს არარსებულს, ენისათვის მიუღებელ ფორმას შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერებისაგან განსხვავებით, სადაც თეორიულად აღდგენილი, სავარაუდო ფორმის აღსანიშნავად იხმარება) რუსულში არ არსებობს და არც ოდესმე არსებობდა. რუსულში არის არა მახვილის გადატანა, არამედ ერთი და იმავე სიტყვის ორი აქცენტუალური დუბლეტის გამოყენება. ყოველი სიტყვა-ფორმის მახვილი რუსულში წინასწარ მოცემულია, მაგრამ ზოგიერთი სიტყვისათვის არსებობს ორნაირი მახვილი. ეს არ არის მახვილის გადატანა. აქცენტუაცია სიტყვების ორმაგი მახვილით დეტალურად არის დამუშავებული В. Жирмунский-ს მიერ (Введение в метрику. თავი: Двойственное ударение, გვ. 90—130).

ძირითადი მეტრიკული პრინციპი ასეთი სიტყვების აქცენტუაციისა ფორმულირებულია რუსული ლექსის აქსიომატიკაში კოლმოგოროვის მიერ (А. Колмогоров, А. Прохоров, К основам русской классической метрики. კრებული „Содружество наук и тайны творчества“, Москва, 1968, გვ. 397 შმდ.).

ორმაგმახვილიან სიტყვებში არის სიტყვები პოტენციალური მახვილებით (А. Колмогоров, А. Прохоров, ხს. ნაშრ. გვ. 409) და სავალდებულო მახვილებით. სიტყვები პოტენციალური მახვილით ღებულობენ მახვილებს, თუ ისინი არიან ან ძლიერ მარცვალზე, სადაც მეტრის მიხედვით სავალდებულოა მახვილი, ან თუ არ ეწინააღმდეგებიან მეტრიკული სქემის სუსტ მარცვალზე მახვილის დასმის წესს.

მახვილის საკითხი ერთმარცვლიან სიტყვებში დეტალურადაა განხილული В. Кипарски-ს შრომაში, О колебаниях ударения в русском литературном языке, I. Односложные имена существительные. Хельсинки, 1950, გვ. 12, სადაც ერთმარცვლიანი სიტყვები რუსული ენისა ხუთ ტიპად არის დაყოფილი. II ტიპს ეკუთვნის ის სიტყვები, რომლებიც მრ. ნათეს. ბრუნვიდან დაწყებული მახვილს ატარებენ ფლექსიაზე, მაგ. ночь: нóчи (მხ. ნათ.)—нóчи: ночéй (მრ. ნათ.); зуб: зýба—зýбы: зубóв; гость: гóстя—гóсти: гостéй.

შემდეგ В. Кипарски აღნიშნავს: „Здесь м. ед. на—й составляет правило (в ночй), м. ед. на—ý встречается часто (на зубý)“, გვ. 12.

სპეციალურად ეხება ერთმარცვლიანი სიტყვების მახვილის საკითხს А. А. Зализняк-ი შრომაში: Русское именное словоизменение. Москва, 1967, Институт славяноведения. მისი კვალიფიკაციით, ისეთი სიტყვები, როგორიცაა мы́ши и ночй, горбý и гербé არის нестандартная форма $П_2$ ед. (второго предложного падежа ед. ч. გვ. 134). ამათი различительный признак: нестандартное выражение 2-го предложного падежа (გვ. 284). შემდეგ ჩამოთვლილია ის სიტყვები, სადაც $П_2$ выражен нестаидартно (существительное женского морф. рода II субст. склонения): бровь, кровь, щель, тень, степь, цепь, ось, рысь (бег), часть (полицейский участок, *устар.*), горсть, печь, ночь, пещь (*устар.*).

Некоторое число словоформ $П_2$ на -ý, -ю, -й выступает в устойчивых фразеологических сочетаниях (обычно наречного характера): на бегý, на своем векý, в видý неприятеля, иметь в видý, быть на видý და სხვ. გვ. 287.

ვისაც ამ სპეციალურ ლიტერატურაზე ხელი არ მიუწვდება, დ. ნ. უშაკოვის ლექსიკონში მაინც შეეძლო ჩაეხედა (Д. Н. Ушаков, Толковый словарь русского языка, т. II, Москва, 1938, გვ. 599) და ნახავდა, რომ მეორე თანდებულიანი брунёвая в ночй (და არა *в нóчи), თანაც მოტანილია მაგალითი ნეკრასოვიდან; ასევე აქვს С. И. Ожегов-ს (Словарь русского языка, Москва, 1960, გვ. 409); იგივე ფორმა ნაჩვენებია ჩვიდმეტტომიან განმარტებით ლექსიკონში (Словарь современного русского литературного языка, т. VII, Москва, 1958 გვ. 1431—1432), როგორც არქაული (ნაჩვენებია მაგალითები კრილოვიდან, ოგარიოვიდან, მაგ. ходит он в ночй безлунной); ამგვარადვეა ვ. დალის ლექსიკონში (Толковый словарь живого великорусского языка, С.-Петербург-Москва, 1914, გვ. 1446) და სხვ.

[19] ნ. ს. ტრუბეცკოის ეს სიტყვები ციტირებული აქვს ვ. ჟირმუნსკის: „Если Р. Якобсон и прав, утверждая, что всякая просодия есть насилие над языком, не следует забывать, что, выражаясь образно, терпение языка все-таки не безгранично и что не всякое насилие язык может вытерпеть. Во всяком языке есть такие элементы, которые необходимо должны быть так или иначе использованы просодией, если она желает быть жизнеспособной: таково, например, в русском языке ударение, в польском — число слогов. Русская просодия, пренебрегающая ударением, или польская, пренебрегающая числом слогов, была бы нежизнеспособна... Таким образом, число возможных и допустимых для данного языка «насилий» всегда ограничено и определяется характером языка» (Slavia, т. II, 1923—1924, 452—460)». В. М. Жирмунский, О национальных формах ямбического стиха, «Теория стиха», გვ. 9.

[20] ამასთან დაკავშირებით ვ. ჟირმუნსკი აღნიშნავს: „При обсуждении моего доклада «Язык и стих» в Институте литературных исследований Польской Академии наук в октябре 1959 г. Р. О. Якобсон сообщил, что в настоящее время он отказался от своей прежней формулы. «Критерием поэтической функции» он считает «отбор» (selection) и „сочетание“ (combination)“. В. Жирмунский, ხს. ნაშრ., გვ. 9, შენიშვნ. 8.

მართლაც თავის შრომაში Linguistics and Poetics (Style in Language, გვ. 350 შმდ.) R. Jakobson-ი ლაპარაკობს არა „ენაზე პოეტური ძალადობის“ შესახებ, არამედ პირიქით, იმაზე, რომ „სელექცია ხდება ეკვივალენტობის, მსგავსებისა და არამსგავსების, სინონიმიისა და ანტონიმიის საფუძველზე, მაშინ როდესაც კომბინაცია, ე. ი. თანმიმდევრობის შედგენა, ემყარება კონტაქტებს. პოეტური ფუნქცია იძლევა ეკვივალენტური პრინციპის პროეცირებას სელექციის ღერძიდან კომბინაციის ღერძზე. სელექცია გადადის თანმიმდევრობის კონსტრუქციულ ხერხში. პოეზიაში ერთი მარცვალი უთანაბრდება იმავე თანმიმდევრობის რომელიმე სხვა მარცვალს: სიტყვის მახვილი მიიღებს თანაბარ სიტყვის მახვილს, ისე როგორც მახვილის უქონლობა უთანაბრდება მახვილის უქონლობას; პროსოდიულად გრძელი შეეფარდება გრძელს და მოკლე — მოკლეს; სიტყვის საზღვარი ეთანაბრება სიტყვის საზღვარს, საზღვრის უქონლობა ეთანაბრება საზღვრის უქონლობას; სინტაქსური პაუზა ეთანაბრება სინტაქსურ პაუზას, პაუზის უქონლობა ეთანაბრება პაუზის უქონლობას. მარცვლები გადაიქცევიან ზომის ერთეულებად და ასევე მორები ან მახვილები (Linguistics and Poetics, გვ. 358). ამის შესახებ იხ. В. В. Виноградов-ის მეტად მნიშვნელოვანი და ფუძემდებელი გამოკვლევა: Стилистика-Теория поэтической речи-Поэтика, Москва, 1963, გვ. 175 შმდ., 207 შმდ.

[21] Webster's Seventh New Collegiate Dictionary, 1965, გვ. 739.

[22] Edward Stankiewicz, Linguistics and the Study of Poetic Language, Style in Language, გვ. 78.

[23] ვაჟას რითმის შესახებ იხ. ე. კვიტაიშვილის გამოკვლევა: ვაჟა-ფშაველას რითმა, თბილისი, 1971; შდრ. გვ. 52: აკაკის რითმისათვის ა. ხინთიბიძე, აკაკის რითმა, თბილისი, 1972.

[24] И. Ю. Крачковский, Абу-л-Фарадж ал-Ва'ва Дамасский, Петроград, 1914, გვ. 136.

[25] შეზღუდული უნივერსალიების შესახებ იხ. Б. А. Успенский, ხს. ნაშრ., გვ. 12 შმდ.

[26] კ. ჭიჭინაძე, რითმა ქართულ ლექსში, „ქართული მწერლობა“, 1929, №№ 1—2, 152.

